

გამოვიარე გზა შორეული



დავით გვებაძე-
ბახსენება...
ამოგონებები...



9.11.1960

გამოვიარე გზა შორეული



დავით გენსადე-
ბასსენება...
მოგონებები...

თბილისი
2014

ქსეზი
9.11.1962.

ISSBN 978-9941-0-6767-9



დამატებით იხილეთ გვერდი "ფაისბუკ"-ზე:

www.facebook.com/Davit Getsadze - დავით ოქროპირის ძე გეწაძე

მხატვრული და კომპიუტერული გაფორმება - მერაბ გეწაძე

©Merab Getsadze. 2014

ავტობიოგრაფია

დავით ოქროპირის ძე გენაძე

ახალი ქართული ენის კათედრის
პროფესორი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი,
დიდი სამამულო ომის მონაწილე,
თადარიგის უფროსი ლეიტენანტი.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

დავიბადე 1917 წლის 28 აგვისტოს ქ.
ზესტაფონში, გლეხის ოჯახში.

1936 წელს დავამთავრე ბათუმის
ინდუსტრიული ტექნიკუმი. ამის
შემდეგ ვმუშაობდი ზესტაფონის
ფეროშენადნობთა ქარხანაში.

1938 წელს სწავლა დავიწყე
ქუთაისის ალ. ნუღუკიძის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის
ფაკულტეტზე.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. 1941 წლის აგვისტოში, როდესაც მე-IV კურსზე ვიყავი
გადასული, მობილიზაციის წესით გამიწვიეს წითელი არმიის რიგებში.

1941 წლის სექტემბრიდან 1942 წლის მარტამდე ვსწავლობდი თელავის სამხედრო
სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მომანიჭეს ლეიტენანტის წოდება და განმანესეს
414-ე ქართულ დივიზიაში, ქ. ბუინაკსში.

ვმონაწილეობდი დიდი სამამულო ომის ბრძოლებში. 1942-1943 წწ. სხვა სამხედრო
შენაერთებთან ერთად ჩვენმა დივიზიამ გერმანელი ფაშისტებისაგან გაათავისუფლა ქალაქები
და სტანიცები: იშჩორსკაია, მოზდოკი, პროხლადნი, პიატიგორსკი, გეორგიევსკი, მინვოდი,
ნევინომისკი, ჩერქეზსკი, უსტლაბინსკი, ანაპა, ნოვოროსიისკი და სხვ. 1943 წლის დეკემბერში
ბრძოლით გადავედით ყირიმის ნახევარკუნძულზე. 1944 წლის პირველ ნახევარში 414-ე ანაპის
ქართულმა მსროლელმა დივიზიამ მონაწილეობა მიიღო ქერჩის, ფეოდოსიის, სიმფეროპოლისა
და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის წარმოებულ მძიმე ბრძოლებში, რის შედეგადაც
დივიზია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1367-ე ლეგიონს, სადაც მე
ვმსახურობდი, მიენიჭა სევასტოპოლის სახელი.

1944 წლის მარტში ყირიმის ნახევარკუნძულზე მიმიღეს სკკპ წევრად.

1943 წლის თებერვალში დავიჭერი აზოვის ზღვის პირას, ს. კალაბატკაში. ვმკურნალობდი
ქ. მახაჩკალაში, №4650 ჰოსპიტალში. 1944 წლის თებერვალში დავიჭერი ქერჩის პლაცდარმზე
და ვმკურნალობდი №1415 ევაკოჰოსპიტალში. ამჟამად ვარ დიდი სამამულო ომის III ჯგუფის
ინვალიდი, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს პენსიონერი.



ომის დროს ვმსახურობდი 414-ე ანაპის წითელდროშოვანი ქართული მსროლელი დივიზიის 1367-ე სევესტოპოლის ლეგიონის ჯერ 82 მმ. და შემდეგ 120 მმ.ნაღმსატყორცი ბატარეის ოცეულის მეთაურად, ხოლო დროდადრო ამავე ბატარეის მეთაურის მოადგილედ.

სარდლობის საბრძოლო დავალებათა კარგად შესრულებისათვის მიღებული მაქვს მთავრობის ჯილდოები: წითელი ვარსკვლავის ორდენი (1943), დიდი სამამულო ომის ორდენი (1944 წ.), მედლები: “კავკასიის დაცვისათვის” (1944 წ.) და “გერმანიაზე გამარჯვებისათვის” (1945 წ.). დიდი სამამულო ომის დროს მივიღე უმაღლესი მთავარსარდლის 4 მადლობა ჩრდილოეთ კავკასიის, ტამანის ნახევარკუნძულის, ქერჩისა და სევესტოპოლის ბრძოლებისათვის.

ჩემი მცირეოდენი დამსახურების შესახებ დიდი სამამულო ომის ბრძოლებში ლაპარაკია შემდეგ წიგნსა და სტატიებში:

ვ. ჯანჯღავა, 414-ე წითელდროშოვანი. თბ., 1968, (წიგნი). გვ. 392;

ვ. ჯანჯღავა, სევესტოპოლისათვის ბრძოლებში. გაზ. “თბილისი” №62, 16. III. 1965.

ვ. ჯანჯღავა, კალაბატკის გმირები, გაზ. “თბილისი” №196, 22. VII. 1967.

ვ. ჯანჯღავა. შურისმაძიებელთა ცეცხლით. გაზ. “თბილისი” №273, 20. XII. 1971.

რ. შამელაშვილი. დ. გენაძე-ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. გაზ. “ქუთაისი” №71, 3. VII. 1971.

Р. Шамелашвили, Д. О. Гецадзе - Доктор Филологических наук. газ. “Кутаисская правда” №103 2.IX. 1971.

დ. მელაძე. მეგობრები ისევ მეგობრობენ. გაზ. “განთიადი” (კასპის რაიონი) №65, 30. V. 1972.

ამჟამად იწერება ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების ისტორია, სადაც, ვფიქრობ ჩემი სახელიც იქნება მოხსენიებული.


1947 წელს დემობილიზაციის წესით დავბრუნდი საბჭოთა არმიის რიგებიდან და სწავლა განვაგრძე ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის IV კურსზე. იმავე წელს დამინიშნეს ი. სტალინის სახელობის სტიპენდია.

ინსტიტუტი წარჩინებით დავამთავრე 1948 წელს. 1948 წლის 1 სექტემბრიდან 1968 წლის თებერვლამდე ვმუშაობდი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1968 წლის მარტიდან ვმუშაობ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე.

1954 წელს დამაჯილდოვეს “სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით”.

1953 წელს დავიცავი საკანდიდატო, ხოლო 1970 წელს სადოქტორო დისერტაცია.



იხსენებს მე-18 არმიის ვეტერანი...

ნარკვევი

ძნელია, მეტად ძნელია გარდასულ დღეთა მოგონება. მით უმეტეს, თუ ეს მოგონება ომს ეხება და თანაც დიდ სამამულო ომს. მაგრამ სიბნელეს ფანტავს სიმართლით სავსე ბრძოლათა მოგონება. და ივსებიან ფურცლები წრფელი მოგონებებით.

1942 წლის მარტში ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შეიქმნა 414-ე მსროლელი დივიზია, რომელიც დაკომპლექტებული იყო უმთავრესად ქართველი მეზრძოლებით და მეთაურებით. ანაპის 414-ე "ქართულმა მსროლელთა ნითელდროშოვანმა დივიზიამ, - წერს ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი ვ. ჯანჯღავა თავის წიგნში "414-ე ნითელდროშოვანი" - ღირსეული წვლილი შეიტანა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე დიად ისტორიულ გამარჯვებაში. მან დიდ სამამულო ომში მრავალი სისხლისმღვრელი ბრძოლა გადაიხადა და არაერთხელ ისახელა თავი. ომის პერიოდში მის რიგებში იბრძოდა 20 ათასამდე მეომარი, მათ შორის 2 ათასამდე ოფიცერი". ანაპის 414-ე ქართული ნითელდროშოვანი დივიზიის შემადგენლობაში იბრძოდნენ ჩვენი უნივერსიტეტის წარგზავნილებიც: მაიორი შალვა ბინაძე, კაპიტანი სერგო ბარამიძე, უფროსი ლეიტენანტი ზაქარია შველიძე, უფროსი ლეიტენანტი დავით ქამუშაძე. უფროსი ლეიტენანტი გრ. დარჯანია, უფროსი ლეიტენანტი დ. შამათავა... დივიზიამ დიდი ბრძოლები გადაიხადა კავკასიონის მისადგომებთან, ყუბანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ტამანის ნახევარკუნძულზე, ქერჩსა და ყირიმში. სწორედ ამ დივიზიაში იბრძოდა 1942 წლის გაზაფხულიდან 1947 წლის თებერვლამდე დავით ოქროპირის ძე გენაძე, ამჟამად ჩვენი უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი, ამავე კათედრის გამგის მოადგილე, 1367-ე ლეგიონის ნალმმტყორცნელთა ბატარეის ოცეულის მეთაური.

განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გადაიხადა 414-ე ქართულმა დივიზიამ, სოფ. კალაბატკის განთავისუფლების დროს. "414-ე ქართულმა მსროლელთა დივიზიამ - წერს ვ. ჯანჯღავა, - კალაბატკისათვის ბრძოლებში მტერს დიდი ზარალი მიაყენა, მაგრამ თვითონაც მძიმე დანაკლისი განიცადა დაკარგა 717 კაცი. აქედან ნახევარზე მეტი -- 392 მეზრძოლი მოკლულთა სახით, რომელთაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მალლა ეჭირათ სამშობლოს დიდების დროსა". აქ 23 თებერვალს დაიჭრა დავით გენაძე. "კალაბატკის განთავისუფლე-

ბისათვის გააფთრებული ბრძოლების დროს, - იგონებს დ. გენაძე, - 1943 წლის 23 თებერვალს, ჩემს ოცეულთან ერთად მტრის ჭარბი ძალების წინაშე აღმოვჩნდი. ჩემთან ერთად იყო უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ დარჯანია. ნალმები გაგვითავდა, ნალმმტყორცნები დადუმდა. "არც ერთი ნაბიჯი უკან!" ასეთი იყო ჩვენი გადანყვეტილება... ცა და მიწა ცეცხლში გაევიდა, გათავსედებული მტერი დაურიდებლად მოინევდა წინ. ნალმმტყორცნების ნაცვლად ყველანი შაშხანებს მივწვდით. თავგანწირვით შევებით მოწინააღმდეგეს. სიკვდილი თეაღწინ გვედგა, მაგრამ უკანდახვევა არც კი გვიფიქრია. უცებ მარჯვენა ფეხში რალაცამ ხანჯალსავით გამკრა და თოფი ხელიდან გამაგდებინა. ერთხანს ვეცადე ბრძოლის ველი არ მიმეტოვებინა, მაგრამ ძალღონე გამომელია და ლელიანში დავეცი. რის ვაი-ვაგლახით მივხობდი მახლობელი ტბის პირას. იქ ადგილობრივი მცხოვრები მოხუცი მომეშველა და ერთ პატარა ხუტორში მიმიყვანა. სასწრაფოდ ჭრილობა შემხვივის, მომიარეს და მომასვენეს. სროლის ხმა არ წყდებოდა. მოსუცი ცოლ-ქმარი, გვარად ტიხომიროვები, მთელ ღამეს ფეხზე იდგნენ, შიშობდნენ, ხუტორში გერმანელები არ შემოჭრილიყვნენ და ტყვედ არ ჩავეგდეთ. ინათლა თუ არა, მასპინძელმა ცხენები ფორანში შეაბა და ჩემს დაჭრილ მეზრძოლ ამხანაგთან-უფროს ლეიტენანტ აკაკი გოგობერიშვილთან ერთად სამშვიდობოს გამიყვანა. საგზალიც გაგვატანა და ჰოსპიტლისაკენ გზა დაგვილოცა. ეს შემთხვევა გამონაკლისი როდი გახლდათ: მოსახლეობა სულსა და გულს არ იშურებდა ფრონტელი მეზრძოლებისათვის, რითაც შეეძლოთ ხელს გვიწვდიდნენ და გვეხმარებოდნენ. ვინ დათვლის, რამდენ ჩვენგანს შეუნარჩუნეს ამ კეთილმა ადამიანებმა ჯანმრთელობა და სიცოცხლე! ამის დავინწყება არ შეიძლება!"

414-ე ქართული დივიზია 1943 წლის შემოდგომის დასაწყისში შეაუერთდა მე-18 არმიას. ამ დროს არმიის სარდალი იყო გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე, პოლიტგანყოფილებას კი განაგებდა პოლკოვნიკი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

1943 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გენერალ-ლეიტენანტი კ. ლესელიძე და პოლკოვნიკი ლ. ბრეჟნევი 414-ე ქართულ მსროლელთა დივიზიის მეზრძოლებსა და მეთაურებს შეხვდნენ, ესაუბრნენ, შეამოწმეს მეზრძოლთა მზადყოფნა და მოაუწოდეს ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. არმიის სარდალთან და პოლიტგანყოფილების უფროსთან შეხვედრამ დივიზიის მეომრების აღფრთოვანება გამოიწვია. ისინი დებდნენ ფიცს, რომ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვით იბრძოლებდნენ.

იმ დროს. 414-ე ქართულ მსროლელთა დივიზიას მეთაურობდა პოლკოვნიკი - (ამჟამად გენერალ-მაიორი) გ. ყურაშვილი, ხოლო დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო პოლკოვნიკი ვ. ჯანჯღავა. 1367-ე ლეგიონს სათავეში ედგა პოლკოვნიკი ე. ქანთარია, მისი მოადგილე

თველოს უძველესი ქალაქი, ქუთაისი ამოარჩია. ქართული ნერა-კითხვა ისწავლა აგრეთვე ბატარეის შვილობილმა, 12 წლის რუსმა ბიჭუნამ, სლავა დუდინმა. იგი საშობლოში დაბრუნების შემდეგ დავით გენაძეს ქართულად სწერდა ბარათებს.



სურათზე: საპუნ-გორას მიდამოებში ბრძოლის შემდეგ. 1944 წლის 10 მაისი. დ. გეჭაძე (მარცხნიდან პირველი - პირველ რიგში) თანამებრძოლთა შორის.

პოლიტნაწილში იყო მაიორი ამბერკი ლორია, ხოლო ნალმმტყორცნელთა ბატარეას, რომელშიც იბრძოდა ოცეულის მეთაური დავით გენაძე, მეთაურობდა უშიშარი ქართველი ვაჟკაცი, კაპიტანი პავლე ტაბატაძე. ამ ბატარეაში დავით გენაძის მხარდამხარ იბრძოდნენ შესანიშნავი და მამაცი ოფიცრები: ლეიტენანტები გ. ჯანბერიძე და თ. კუტალაძე, რიგითი ჯარისკაცები და უმცროსი მეთაურები კ. ჩოგოვაძე გ. ჩარბაძე, გ. ხარებაშვილი, გ. ანდრიაშვილი, შ. ნიორაძე, შ. პატარქალაშვილი, ვ. მსუქნიშვილი, ნ. იაშალაშვილი, პ. დაუშვილი, ვ. ცინცაძე, გ. ხაინდრავა, ს. ლომუაშვილი, დ. მახაშვილი, ა. სეხნიაშვილი, შ. ქეიშვილი, შ. მესროპოვი, ზ. ქაცანაშვილი, ი. ცხვედიანი, ა. ვასაძე, მ. კურატაშვილი, ალ. ლომაშვილი, მ. გაბისონია, ჯ. მაისურაძე, ნ. მაისურაძე, ტ. კოტორაშვილი.

ბატარეაში ქართველებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ რუსი ხალხის შვილები: კ. სტეფანოვი, მ. ტრიფონოვი, დ. ვლასოვი, რომლებმაც ქართველ მებრძოლებთან ყოფნის დროს შეისწავლეს ქართული ენა და თავისუფლად ლაპარაკობდნენ ქართულად. ხოლო კ. სტეფანოვმა საცხოვრებელ ადგილად საქარ-

ტყვიამფრქვევები, ამით ბატალიონს წინსვლისათვის გზა გაეხსნა.

დივიზიაში თავდადებული ბრძოლით გაათავისუფლა ანაპა. გადარჩენილი მოსახლეობა დიდი აღტაცებით ეგებებოდა მათ განმათავისუფლებლებს-ქართველ მებრძოლებს და მეთაურებს. უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის ბრძანებით 414-ე დივიზიას სწორედ მაშინ მიენიჭა ანაპის სახელი.

ტამანის ნახევარკუნძულის გათავისუფლების დროს დივიზიის მებრძოლებთან იყვნენ საქართველოდან ჩასული მწერლები: გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები ა. ხორავა, უ. ჯაფარიძე და სხვები, ისინი საქართველოს ამბებს აცნობდნენ მებრძოლებს, ამხნევებდნენ და ახალისებდნენ. ანაპის 414-ე დივიზია გამორულად იბრძოდა ყირიმის ნახევარკუნძულის გასათავისუფლებლად "განსაკუთრებით დაუფინყარია ჩემთვის, იგონებს დ. გენაძე, გამირი ქალაქის, სევასტოპოლის-განთავისუფლებისათვის ბრძოლა. შეტევა დავიწყეთ 7 მაისს, გამთენიის ხანს, 9 მაისს კი სევასტოპოლი თავისუფალი იყო. ჩვენი ბატარეა დილიდან დაღამებამდე იბრძოდა,

ნოვოროსიისკისათვის გრანდიოზული ბრძოლების შემდეგ დაიწყო შეტევა ქალაქ ანაპის გასათავისუფლებლად. ეს იყო 1943 წლის სექტემბერის ბოლო რიცხვებში. მტერს აქ ჰქონდა აგებული თავდაცვის ძლიერი ზღუდეები. ნალმმტყორცნელთა ბატარეა არტილერიის ცეცხლით უჭერდა მხარს შეტევაზე გადასულ ბატალიონს, მაგრამ მას წინ აღუდგა მონინალმდეგის ტყვიამფრქვევები. საჭირო იყო მათი განადგურება და ნალმმტყორცნელებმა მიუხედავად არახელსაყრელი პოზიციისა, მოსპეს ფაშისტთა

სპობდა და ანადგურებდა საპუნ-გორას მიდამოებში ჩაბეტონებულ საცეცხლე წერტებს, მუსრს ავლებდა მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას. სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში სევასტოპოლის მცხოვრებლებთან შეხვედრა: ხალხი სარდაფებიდან მზის სინათლეზე გამოვიდა და უსაზღვრო სიყვარულით ხვდებოდა თავისუფლების მომნიჭებელთ. ყველანი აღფრთოვანებულნი ვიყავით... უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, ორ ლეგიონს მოგვენიჭა სევასტოპოლის სახელი, ხოლო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დივიზია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით”.

დემობილიზაციის შემდეგ, ორგზის დაჭრილი, "წითელი ვარსკვლავის", "დიდი სამამულო ომის" ორდენებისა და მრავალი მედლის კავალერი, დავით გენაძე ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, 1953 წელს იცავს საკანდიდა-

ტო დისერტაციას, ხოლო შემდეგ ხდება ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მეცნიერებაში მამის კვალს მიჰყვებიან მისი ვაჟიშვილები: ზურაბი-თსუ გეოფიზიკის კათედრის ასპირანტი, ხოლო როსტომი - თსუ ფუნქციონალური თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის ასპირანტი.

ომის ქარიშხალმა კარგა ხანია გადაიარა. მაგრამ ახლაც, ღვანღმოსილი მეცნიერი, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ხშირად იგონებს თანამებრძოლ ამხანაგებს და გულისტკივილით ფიქრობს იმ ნამდვილ ვაჟკაცებზე, რომლებმაც გამირულად მიიტანეს თავიანთი ახალგაზრდული სიცოცხლე სამშობლოს წმინდა საკურთხეველზე.

ზურაბ ცეცაური

მოზონება კალაბატკის ბრძოლების შესახებ

1943 წლის თებერვალში ვმსახურობდი 1367 მსროლელი ლეგიონის პირველი ბატალიონის 82მმ ნალმტყორცნი ბატარეის პირველი ოცეულის მეთაურად. მაშინ ლეგიონის მეთაური იყო ალექსანდრე შავლიაშვილი, კომისარი ამბერკი ლორია, 82მმ ნალმტყორცნი ბატარეის მეთაური პავლე ტაბატაძე. პირველი ბატალიონის მეთაური იყო ავთანდილ კვარაცხელია, მისი მოადგილე გრიგოლ დარჯანია. პოლიტხელი ვ. ჯანჯღავა. ოცეულის მეთაური დომენტი შამათავა. 17 თებერვალს, ღამით, პოზიციები გვეჭირა სტანიცა გრივენსკოასთან.

დივიზია შეტევისათვის ემზადებოდა, ამ გადამწყვეტ მომენტში მტრის ტყვიამ იმსხვერპლა დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ნიკოლოზ სულიზოვი.

მიუხედავად მძიმე დანაკარგისა, ჩვენი რიგები არ შერყეულა.

18 თებერვალს გამთენიის ხანს გერმანელმა ფაშისტებმა გამანადგურებელი დარტყმა იგემეს და უკუიქცნენ.

ჩვენი ნაწილები მტერს დაედევნენ და საღამოს ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში შეჩერდნენ. ღამით ბრძანება მივიღეთ: 19 თებერვალს უნდა გაგვეახლებინა საბრძოლო ლაშქრობა, შემოგვევლო სტანიცა პეტროვსკიასათვის და თავი მოგვეყარა დასახლებულ პუნქტ კალაბატკაში.

მახსოვს სასწრაფოდ დაგვიძახეს მეთაურებს და თათბირი ჩაგვიტარეს. ლეგიონის მეთაურმა - ალექსანდრე შავლიაშვილმა ყოველგვარი მიხვევ-მოხვევისა და შეფერადების გარეშე გაგვაცნო ის მძიმე მოცანა, რისი შესრულებაც ჩვენ გვევალებოდა, თან გაგვაფრთხილა, რომ არტილერია მხარს ვერ დაგვიჭერდა. შეზღუდული იყო 82მმ-იანი ნალმტყორცნი ბატარეის ბრძოლისუნარიანობაც. დაიწყო ჩვენი დივიზიის ისტორიაში უმძიმესი ლაშქრობა.

მივდიოდით ლაქაშებსა და ლელიანებში. ღამით საშინლად ყინავდა, დღისით თითქოს სითბო დაჰკრავდა და ყინულს ასუსტებდა. ახლაც თვალწინ მიდგას წყალში ჩაძირული ფურგონები, დასალუპავად განწირული ცხენების გულისშემალონებელი გამოხედვა. წყალში ცვიოდნენ მებრძოლებიც, რის ვაივაცხად ვშველოდით ერთმანეთს. თითო ლუკმა ხორცი და ერთი ციცქნა პურის ნაჭერი მაშინვე შევჭამეთ როგორც კი დაგვირიგეს.

მივდიოდით მშიერ-მწყურვალნი, გაუთავებელი ბრძოლებითა და ლაშქრობით დაქანცულნი. მახსოვს, ბატარეის მთელმა პირადმა შემადგენლობამ გადმოვქექეთ საზურგე ჩანთები, ჯიბეები და სიმინდის მარცვლებით, პურის ნაფხვენებითა და მზესუმზირის ნარჩენებით ერთი ქვაბუნა



ძლივს შევავსეთ, ზედ ჭაობის წყალი დავასხით, ლერწმის ცეცხლი შევუნთეთ და ძლივსძლივობით მოვხარშეთ ეს უცნაური ფაფა. თითოს ორ-ორი კოვზი შეგვხვდა, მხოლოდ ბატარეის უფროსს ვარგეთ ხუთი კოვზი. ასეთ დღეში იყვნენ ლეგიონებისა და ბატალიონების მეთაურებიც. 21 თებერვალს ჩვენი ლეგიონი შევიდა სოფელ ჩერნოერგოვსკაიაში.

საერთო განწყობილებას ამ სოფლის სახელწოდებაც როგორღაც ამძიმებდა, ეს “ჩერნო” კარგს არაფერს გვიქადდა. შეღამდა, ხმა გავარდა, რომ ღამეს აქ გავათევდით. უმრავლესობას გვეგონა, რომ აქ მხოლოდ ღამეს გავათევდით და დილით ისევ ლაშქრობას განვაგრძობდით.

სინამდვილეში კი თურმე კბილებამდე შეიარაღებული მტრის ცხვირწინ ვიდექით და მოულოდნელი, ვერაგული დარტყმა გველოდა. როცა ამას ვიხსენებ, სულ კინოსურათი “ჩაპაევი” მაგონდება, ღამით დაცვა რომ შეასუსტეს და

ნაწილი საბედისწერო განსაცდელში ჩავარდა.

მე, ჩემი ოცეულით, სკოლის შენობაში დავბინავდი. გვიან ღამით, როცა უკვე დასაძინებლად ვემზადებოდი, ძლიერი სროლის ხმა შემოგვესმა. გარეთ გამოვცვივდით და რა დავინახეთ:

ჩვენი მეზობელი სოფელი ცეცხლის ალში იყო გახვეული, მანათობელი ტყვიები ნიაღვრად მოედინებოდა. იქ დაბანაკებული იყვნენ 1371 და 1375 ლეგიონები. საბრძოლო განგაშის ხმაზე 1367 ლეგიონის მთელი შემადგენლობა წამოიშალა და ვისაც როგორ შეეძლო ბრძოლაში ჩაება. ჩვენც ჩვენი ნაღმტყორცნები გავმართეთ და ცეცხლი მტრისაკენ მივმართეთ.

მეორე დღეს 22 თებერვალს კალაბატკაში რომ შევედით, ჩვენს თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა: მიწის ყოველი მტკაველი სისხლით იყო შეღებილი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გადაბუგულ ისლიან ქოხებში მებრძოლთა დამწვარი გვამებიც ეყარა. აშკარად ჩანდა მტრის თავდასხმას არავინ მოელოდა.

დახოცილ მებრძოლთაგან ზოგს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გახდილი ქონდა, დაღლილ-დაქანცულნი, დასაძინებლად თუ ემზადებოდნენ...

რალა თქმა უნდა, 1367 ლეგიონის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, მაგრამ სულით არ დავცემულვართ. 1371 და 1375 ლეგიონების ცოცხლად გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად 1367 ლეგიონის პირადი შემადგენლობა პოზიციების გამაგრებას შეუდგა. წინა დღის მწარე გაკვეთილი გვასწავლიდა, რომ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად აუცილებელია წინასწარი მზადება, სიფხიზლე და ყოველნუთში მზად ყოფნა...

მტერი მოსვენებას არ გვაძლევდა, რამდენჯერმე ძლიერ დაბომბეს ჩვენი პოზიციები. ცეცხლი ეკიდებოდა სახლებს, იღუპებოდნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები. ვცდილობდით, რითაც შეგვეძლი მათ დავხმარებოდით და უმწეო ადამიანები დალუპვას გადაგვეჩინა. ასე განვლო 22-მა თებერვალმა. გერმანელმა ფაშისტებმა კალაბატკისკენ ფეხი ვეღარ გადმოდგეს. დაღამდა, ყველაფერი მიჩუმდა და მიწყნარდა.

1943 წლის 23 თებერვალი წითელი არმიის შექმნის დღე, კალაბატკაში ნისლიანი გათენდა. გარიჟრაჟიდან ფეხზე ვიდექით და მტერთან შესაბამელად ვემზადებოდით. ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ნისლის გამო ხილვადობა შესუსტებული იყო, წუთი წუთს მისდევდა და სიტუაციაც თანდათან დაძაბული ხდებოდა... უცებ, თითქოს ტყვიისფერ ღრუბლებით დაფარულ ცას ჭექა-ქუხილმა გადაუარაო, ყველაფერი ახმაურდა და აგუგუნდა. მტერმა ერთდროულად აამოქმედა

ქვემეხები და ნალმტყორცნები, ავტომატები და ტყვიამფრქვევები, ტანკები და თვითმფრინავები. კალაბატკა ჯოჯოხეთური ცეცხლის ალში გაეხვია.

დივიზიის ნაწილები მტერს გამირულად შეხვდნენ. ადგილიდან არავინ დაძრულა, მაგრამ ქართველ მეომართა თავგანწირვასა და ვაჟკაცობას ზურგს ვერ უმაგრებდა საბრძოლო ტექნიკა: არ გვექონდა ქვემეხები, ვერ გვეხმარებოდა ავიაცია...

მახსოვს., საბრძოლო ვაზნები წინა დღით ჩამოგვიყარეს “უ2” თვითმფრინავიდან ორცხობილებთან ერთად. ჩემს ოცეულში ორი ნალმტყორცნისათვის მხოლოდ 18 ნალმი გვექონდა.

ვეფხვივით იბრძოდნენ ბატარეის მეთაური კაპიტანი პავლე ალექსის ძე ტაბატაძე, მისი მოადგილე გრიგოლ დარჯანია. ოცეულის მეთაურის მოადგილე დომენტი შამათავა. პოლიტბელი ვარლამ ჯანჯღავა. ჩვენებრძოლები: პ. ბ. მელიქიძე, ს. ვ. თორთლაძე, ს. მ. მჭედლიძე, შ. კიკნაველიძე, გ. ხაჩიძე, ლ. თათვიძე. დ. ცუცქერიძე, შ. გულიკაშვილი, ს. ლაცაბიძე, ა. ბაბაშვილი და სხვა.

ბრძოლის ველს თავს დასტრიალებდნენ და უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ბატალიონის მეთაური ავთო კვარაცხელია. ბატალიონის შტაბის უფროსი მ. როსტომაშვილი, ჩვენთან ერთად იბრძოდა საგანგებო ნაწილის უფროსი შ. თოფურიძე. დიადი სამშობლოს მრავალი ერთგული შვილი დაეცა კალაბატკისათვის ბრძოლებში, მათი სახელები დიდებით არის მოხსენიებული წიგნში “414-ე წითელდროშოვანი” და აქ აღარ გავიმეორებ. განსაკუთრებით მძიმე იყო ჩვენთვის ბატალიონის მეთაურის ავთო კვარაცხელიას დაღუპვა. იგი იყო მართლაც ნამდვილი გმირი, ნიჭიერი მეთაური და მებრძოლთათვის მზრუნველი მამა. აქვე მინდა ვახსენო მამაცი მეთაურის სერგო დუმბაძის სახელი. რამდენი ერთი უნდა დავასახელო?

ჩემთან ერთად იყო ბრძოლის დროს ბატარეის მეთაურის მოადგილე გრიგოლ იასონის ძე დარჯანია. როცა მტერი გააფთრებულ იერიშზე გადმოვიდა, უკანასკნელი 18 ნალმი დავაყარეთ მათ წინა რიგებს, შემდეგ შაშხანები ავიღეთ ხელში და გადავწყვიტეთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გვებრძოლა.

ჭურვების გუგუნ გრიალში ბატარეის მეთაურის ხმა შემოგვესმა, იგი პოზიციის გამოცვლას გვიბრძანებდა, ის იყო მებრძოლები წამოვიშალეთ და ახალ ზღუდეზე გადასასვლელად მოვემზადეთ, რომ ამ დროს მტრის მიერ ფლანგიდან ნასროლმა ტყვიამ მხარი გამიხვრიტა, მძიმედ დაიჭრა გრიგოლ დარჯანიაც. სანამ შეგვეძლო ბრძოლის ველი არ მიგვიტოვებია, შემდეგ კი ზურგში გადმოვედით, ჭრილობები შეგვიხვიეს და ჰოსპიტლისაკენ გაგვამგზავრეს.

ჰოსპიტლიდან 1943 წლის ივლისში ისევ ჩემს დივიზიაში დავბრუნდი, განმანესეს 1367 მ/რ ლეგიონის 120მმ ნალმტყორცნი ბატარეის ოცეულის მეთაურად. მონაწილეობა მივიღე დივიზიის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში, მაგრამ კალაბატკის მსგავსი ბრძოლა არსად აღარ შემხვედრია.

გ ა ზ ე თ ი “ ქ უ თ ა ი ს ი ” . 4 ი ვ ლ ი ს ი 1971 წ .

ღ ა ვ ი თ გ ე ჯ ა კ ე - ფ ი ლ ო ლ ო გ ი ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა დ ო ქ ტ ო რ ი

ჩვენი ქალაქის მკვიდრმა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა დავით ოქროპირისძე გენაძემ გასულ წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს წარუდგინა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე “სულხან-საბა ორბელიანის ენა (“სიბრძნე სიცრუისა”, “მოგზაურობა ევროპაში”). დაცვა შედგა სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1970 წლის 2 დეკემბერს.

ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრე ლლონტი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. მარტიროსოვი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. ჭუმბურიძე. საჯარო პაექრობაზე ოფიციალურმა ოპონენტებმა მაღალი შეფასება მისცეს დ. გენაძის სადოქტორო დისერტაციას.

საენათმეცნიერო საბჭომ დ. გენაძეს ერთხმად მიაკუთვნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება.



დ. გენაძემ სადოქტორო დისერტაციად აიღო დაუმუშავებელი თემა და თავისი გამოკვლევის მიზანი ასე ნათლად და გასაგებად ჩამოაყალიბა: წინა მდებარე ნაშრომი სწორედ “სიბრძნე სიცრუისა” და “ევროპაში მოგზაურობის ენის მონოგრაფიულ შესწავლას ისახავს მიზნად.

ნასრომში მოცემულია ცდა ამ თხზულებათა ენობრივი თავისებურებების დადგენისა, ერთი მხრივ ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და მეორე მხრივ საშუალო და ახალი ქართული ენისადმი მიმართებით.

ყურადღება მახვილდება “სიბრძნე სიცრუისას” და “ევროპაში მოგზაურობის” სტილურ ნიშანზედაც. ცალკე თავი ეძღვნება იმ დიდი დამსახურებისა და ღვაწლის ნათელყოფას, რომელიც სულხან-საბას მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის სინმინდის დაცვისა და შესწავლა გავრცელების საქმეში.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორი შრომატევადი სამუშაო შეასრულა დ. გენაძემ, შევნიშნავთ რომ

მისი სადოქტორო დისერტაცია შეიცავს 1101 გვერდს და შედგება გამოკვლევისა და საბას ზემოაღნიშნული ორი ნაწარმოების სიმფონია-ლექსიკონებისაგან. ოპონენტებმა საჯარო პაექრობაზე გულახდილად განაცხადეს, რომ დ. გენაძის გამოკვლევა ეყრდნობა მდიდარ მასალას, ავტობიოგრაფიულ ნუსხებს, ხელნაწერებს: ღრმად დასაბუთებული და სემონმებული მაგალითებითაა ილუსტრირებული ნაშრომის ძირითადი დებულებები, ზუსტადაა აღნუსხული საანალიზო ტექსტებში დადასტურებული ძირითადი ფონეტიკური პროცესები, გამოვლენილია ძვ. ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენები სახელთა ბრუნებაში, ზმნათა უღლებაში, ლექსიკასა და სინტაქსში, წარმოჩენილია ძვ. ქართულისაგან განსხვავებული მოვლენები და სტილისტიკური თავისებურებანიც.

“ორივე ძველის სიმფონია-ლექსიკონი სედგენილია საქმის პროფესიული ცოდნით, გამონერვილი და გაანალიზებულია ტექსტებში ნახმარი ყველა სიტყვა. სწორადაა ნაჩვენები თოთოეული სიტყვის სემანტიკა და სტრუქტურა. ლექსიკური ერთეულების განმარტების საფუძვლად აღებულია საბას “სიტყვის კონა” და ქართული ენის შემდეგდროინდელი ლექსიკონები” (პროფ. ა. ლლონტის რეცენზიიდან).

პროფ. ზ. ჭუმბურიძემ საჯარო პაექრობაზე ხაზგასმით შენიშნა, რომ ზოგი ენობრივი მოვლენის გავრცელების სიხშირისა და ურთიერთშეფარდების თაობაზე მკვლევარი პირდაპირ სტატისტიკურ ცნობებს იძლევა. მაგითად, დისერტანტის გამოანგარიშებით :სიბრძნე სიცრუისაში ნახმარია სხვადასხვა სიტყვის 35 000 ფორმა, აქედან 10 000-ზე მეტი ზმნაა. მაშასადამე, როგორც დ. გენაძე ასკვნის, ზმნაშემასმენელთა სიუხვე სულხან-საბა ორბელიანის სტილის ერთერთი დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. ეს დასკვნა სანდოა და გასაზიარებელი.

მაღალი შეფასება მისცა დ. გენაძის ნაშრომს გამოჩენილმა ენათმეცნიერმა, ქართველური ენების შესანიშნავმა მკვლევარმა პროფ. არამ მარტიროსოვმა. მისი სიტყვით, დ. გენაძის სადისერტაციო ნაშრომი, ხანგრძლივი, კეთილსინდისიერი მუშაობის მშვენიერი ნაყოფია, რომელსაც შეაქვს გარკვეული წვლილი ქართული ენის შესწავლის საქმეში. ქართული ენის მომავალი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის დ. გენაძის ამ ფუნდამენტურ გამოკვლევას.

დ. გენაძემ განვლო მეტად შინაარსიანი ცხოვრების გზა. იგი დაიბადა გლეხის ოჯახში ქ. ზესტაფონში 1917 წელს. იქვე დაამთავრა 7-წლიანი სკოლა. 1932 წელს სწავლა დაიწყო ქალაქ ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც 4 წლის შემდეგ დაამთავრა ტექნიკოს მანქანათმშენებლის სპეციალობით. ამის შემდეგ მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ტექნიკო-

სად, თუჯის მდნობელად, იყო სტახანოვური მოძრაობის ორგანიზატორი.

1938 წელს დ. გენაძემ ჩააბარა მისაღები გამოცდები ალ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიკურ ინსტიტუტში და ნაცვლად ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტისა, სადაც პირველად ქონდა შეტანილი განცხადება, ჩარიცხეს ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტად.

დ. გენაძე მეოთხე კურსზე იყო, როცა დაიწყო დიდი სამამულო ომი. 1941 წლის აგვისტოში იგი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1942 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და გაანაწილეს 414-ე ანაპის წითელდროშოვან ქართულ მსროლელთა დივიზიის 136-ე მსროლელი ლეგიონის ნაღმტყორცნთა ბატარეის ოცეულის მეთაურად. მონაწილეობდა ბრძოლებში ჩრდილო კავკასიაში, ქერჩის ნახევარკუნძულზე, სევასტოპოლში. დაიჭრა ორჯელ. მამაცური ბრძოლებისათვის დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავისა და დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, მიღებული აქვს რამდენიმე მედალი.

დ. გენაძე საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნდა 1947 წელს და სწავლა განაგრძო პედაგოგიკურ ინსტიტუტში. კარგი და ბეჯითი სწავლისათვის მას დაუნიშნეს ი. სტალინის სახელობის სტიპენდია. ინსტიტუტი დაამთავრა 1948 წელს. იმავე წლის 1-ლი სექტემბრიდან ინვევევ ქართული ენის კათედრის ასისტენტად. 1949 წლიდან ასპირანტურის კურსს გადის, ხოლო 1953 წლის 27 ოქტომბერს იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე “გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში” (მეცნიერი ხელმძღვანელი გ. როგავა) ოფიციალური ოპონენტის აკადემიკოს გ. თოფურას დასკვნით, ამ ნაშრომით “ავტორმა გადადგა ნაბიჯი წინ ქართული ზმნის ისტორიულ ასპექტში შესწავლის საქმეში. სრომა ქართული ენის ისტორიის საკითხს ეხება. იგი წარმოგვიდგენს ქართული ენის ზმნის დრო-კილოთა ერთი არსებითი ხასიათის სერიის განვითარების საფეხურს ათას ხუთასი წლის მანძილზე”.

დ. გენაძე მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიკურ ინსტიტუტში ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ დოცენტის თანამდებობაზე. 1958 წლის აპრილში სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დააჯილდოვეს “სახალხო განათლების წარჩინებულის” სამკერდე ნიშნით, ხოლო 1960 წელს აირჩიეს მეთოდოლოგთა კათედრის გამგედ.

დ. გენაძე ლექციებს კითხულობდა ქართულ ენაში. ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობას, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას, პირნათლად ასრულებდა საზოგადოებრივ და პარტიულ დავალებებს, კითხულობდა ლექციებს საზოგადოება “ცოდნის” ხაზით, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის “შრომების” გამოცემის საქმეს და სხვ.

1968 წელს დ. გენაძე სამუშაოდ გადადის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე (გამგე პროფ. შ. ძიძიგური, საქართველოს მეცნ. აკადემიის წევრ კორესპონდენტი), ჩვენი ქალაქის მკვიდრმა უნივერსიტეტშიც განაგრძო მუყაითი და ენერგიული მუშაობა (კითხულობს ლექციებს, ხელმძღვანელობს პედაგოგიკას, არის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს ქართული ენის სექციის მდივანი, ამავე სამინისტროს სასწავლო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს წევრი, ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსთან არსებული მეთოდკომისიის წევრი და სხვა).

დ. გენაძე 40-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. საენათმეცნიერო პრობლემების გარდა იგი წერს ქართული ენის სწავლების აქტუალურ საკითხებზე, შეადგინა და გამოსცა მეტად საინტერესო დამხმარე სახელმძღვანელო “ქართული ენა ლექსიკოლოგიისა და სემასოლოგიის პრაქტიკულში”.

დ. გენაძე ამჟამად გამოსაცემად ამზადებს მონოგრაფიას “სულხან-საბა ორბელიანის ენა”, მისი მხატვრული თხზულებების სიმფონია ლექსიკონები, მუშაობს ქართველურ ენათა აფიქსების გენეზისისა და ურთიერთმიმართების საკითხებზე.

ვუსურვოთ შესანიშნავ მეცნიერს შემდგომი წარმატებები სამეცნიერო მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში.

რ. შამქლაშვილი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ქ. დავით გენაძის მემორიალური მუზეუმი
 ქ. თბილისი, მ. ჭავჭავაძის ქუჩა, 14, რედაქციის შენობაში.

დავით ნავდარაშვილი ის გაუმარჯოს

პროფ. დავით გენაძეს

ნუ ჩამომართმევთ ცრუ პირფერობად,
 პირველობაში ვერვინ გაჯობა.
 ჯერ გეთაყვანე შენს იმერობას,
 მერე საოცარ კაცურ კაცობას.
 დრომ ოცნებათა ჯერი გაცრიცა,
 ბრვე, სიყვარულის მკაში გათეთრდი,
 დიახაც არის შენი ღვაწლიცა,
 რომ ვიბუმბლებით ენის კათედრით.
 შესტრფოდი მთიებს ცად მოციალეს,
 ზეამაღლება ვსურდა მისითა.
 ეშხი გამოგყვა სამოციანელს
 ლამაზმანების ქუთაისიდან.
 დღესაც ისეთი ნეტავ ფრთა ებას,
 მოეფერე და მოემზიანე.
 რა ძალა ქონდა ნეტარ პაემანს,
 რიონის პირად რომ ეზიარე.
 ედემის ბაღში ვარდების ბარდნა,
 გელათი, რიწა, შოვი, საირმე

სულ მაღლა-მაღლა
 გაფრენდნენ მართლაც,
 ვარსკვლავეთელებს გაეშაირე.
 თბილი გრძნობები გულუხვად დასძარ
 გამარჯვებათა მაღარიჩებად.
 როგორც ბაგრატის დიდებულ ტაძარს
 არ მოგაკლდება თაყვანისცემა.
 ზოგჯერ როგორღაც თავს მოიბაღლებ,
 იმ ალტაცებას გული ვერ იტევს-
 როცა თბილისში გადმოიბარგე
 და შეეხიზნე უნივერსიტეტს.
 მაგრამ როდემდის უნდა გემწირა,
 გამოსავალი ნახე აქ ერთი -
 საბურთალოზე ყოფნა გემცირა,
 ფალიაშვილზე გაგვივაკელდი.
 ალალი კაცის პოვნა მამღერებს
 ვეთაყვანები კაცურ-კაცობას.
 ეს გაუმარჯოს იმერ-ამერებს
 და სეხნიების ლხინში გაცნობას.



დ. ი. გ ე ნ ა ძ ე —

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტმა დავით იქროპირის-ძე გეწაძემ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო სამეცნიერო საბჭოს ღია სესიონზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „სულხან-საბა ორბელიანის ენა“.
 სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა დ. ი. გეწაძისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.



880008 თბილისი-8, ლენინის 14, რედგანდის — 98-22-98, მრეწველობის — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნ

ფილოლოგიის
მუშაობისათვის დიდი წილის
პროექტის

დავით თორნიკის ძე ბეჭაძეს

60

ძვირფასო ბატონო დავით!

ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, სამეცნიერო საბჭო, პარტბიურო და პროფ-ბიურო მხყრვალედ ვილოცავენ თქვენ, ცნობილ ენათმეცნიერს, ქართული ენის დაყდა-ღაჲ მჷვლეჲანს დაბადების საშოცნი წლის თაჲს.

თქვენ გაამდიდრეთ ჩვენი საენათმეცნიერო ძიებათი მრავალი შესანიშნავი გამოკვლეუთი.

სამაგალითთა თქვენი მოღვაწეობა ახალგაზრდა კადრებისა და მეცნიერ-მკვლეღართა აღზრდის საქმეში. თქვენ დაყდაღაჲ მხრსუნველობით, სათყთი გყლისხმეიებით ზნდით ახალგაზრდობას და ყწერგავთ მათ მალათ მოქალაქეობრივ იდეალებს. თქვენი აღზრდილი სწეციალისტები ნაყოფიერად მყშაობენ ჩვენი ქვეყნის სკოლოებში, ორგანიზაციას-დაწესებულებებსა და ყმაღღის სასწავლოებლოებში. თქვენ მიღი აღზრდილი ბეღრი ახალგაზრდა ამყამად მეცნიერიებათა კანღღატი და ღოცენტი და ზარმაცებით ივლეღეს ქართული ენის რთყლ საკითხებს.

თქვენ აქციყრად მოწანილოებთ სამოგაღთებრივ ცხოვრებაში, ბრძანებთ მრავალი საბჭოსა და კომისიის წეღრი როგორც ყწივერსიტეტში, ისე მის ჯარგლებს გარეთ.

განსაყთრებთ აღსანიშნავა თქვენი მამაშვილოყრი დამოკიდებულება სტყდენტებთან, რომეღთათვისაც თქვენ გარეღებთ შეტი ხართ, ვიდრე მხოლოდ ზეღაგოგი.

თქვენ განვლეთ მამაყი ჭომრის სახელოყანი ჭხა და მეღღრად იბრძოღით გერმანელი ჯაშისტების წინაღიმდეგ ჩვენი ღიადი სამშობლოს ღირსებისა და დამოყკიდებლობის დასაყავად.

გისყრეღებთ, ძვირფასო ბატონო დავით, ჯანმრთელობას, სანგრძღვ სიცოცხლოს, ბეღნიერებას და ახალ ზარმაცებებს თქვენს ზემღგომ მეცნიერიყლ და ზეღაგოგიყრ საქმიანობაში.

ფილოლოგიის ფაკულტეტის
დეგანი, პროფესორი : *მ. სანჯიატ* / ე. ხინთიბიძე /

პარტბიუროს მდივანი,
ლოცენტი : *ვ. იმანიშვილი* / ვ. იმანიშვილი /

პროფბიუროს თაღმჯღმარე : *მ. გ. ლაღ* / თ. გოღიადე /

**ქვემოთ მოქროპირის ქვე და თანამებრძოლო
დახმარების ქვე!**

ანაპის 414-ე წითელდროშოვანი ქართული მსროლელთა დივიზიის ვეტერანთა საბჭო სულითა და გულით გილოცავთ თქვენი დაბადების მე-60 წლისთავს.

ქვემოთ მოქროპირის ქვე!

თქვენ, დიდი სამამულო ომის დანებების პირველი დღეები- დანვე, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის IV კურსიდან გაგინვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1942 წლის მარტიდან, სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, წარმატებით მეთაურობდით 414-ე ქართულ მსროლელთა დივიზიის 1367-ე პოლკის ნაღმმტყორცნთა ბატარეის ოცეულს. ომის მრისხანე წლებში აქტიურად მონაწილეობდით დივიზიის ყველა საბრძოლო ოქერაციაში. აქვე გახდით ლენინური კომუნისტური პარტიის წევრი, თავდადებით იბრძოდით გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ და თქვენს მებრძოლ ამხანაგებთან ერთად ზეიმით შეხვდით ვერაგ მტერზე გამარჯვების დაუვინყარ დღეს. სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის თქვენ დაჯილდოვებული ხართ საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელეთ, შემართებით ხელი მოჰკიდეთ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას, დაულალავი შრომითა და გარჯით მიაღწიეთ იმას, რომ 1953 წელს დაიცავით საკანდიდატო, ხოლო 1970 წელს - სადოქტორო დისერტაცია. ჩვენ, თქვენი თანამებრძოლები, ვამაყობთ იმით, რომ ამჟამად მუშაობთ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორად და მონდომებით უზრდით სამშობლოს მაღალკვალიფიციურ კადრებს; აქტიურად მონაწილეობთ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში; პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებთ პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს.

ჩვენო მებრძოლო ამხანაგო დავით ოქროპირის ქვე!

თქვენი უახლოესი ამხანაგები და მეგობრები გულწრფელად ვისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, მტკიცე ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ბედნიერებას, სიხარულს და ყოველივე სიკეთეს ოჯახთან ერთად.

ანაპის 414-ე წითელდროშოვანი ქართული
მსროლელთა დივიზიის ვეტერანთა საბჭოს

ბიუროს თავმჯდომარე - *ქვემოთ*

ვ.ს. ჯანჯოავა

მ რ ი ვ ა ნ ი - *ქვემოთ*

მ.ს. მენთეშაშვილი

" --- " ----- 1978 წ.

დავით ოქროპირის კე გეწაქე

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა საენათმეცნიერო სკოლამ. მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველურ ენათა ცნობილი მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1943 წლიდან დავით ოქროპირის ძე გეწაქე.

დ. გეწაქე დაიბადა ქ. ზესტაფონში 1917 წელს. ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1936-38 წლებში, იგი მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნოლოგად.

1938 წელს დ. გეწაქე შევიდა ალ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, საიდანაც 1941 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1941-დან 1945 წლამდე იგი იბრძოდა დიდ სამამულო ომში. მან, როგორც ნალმცყორცნი ბატარეის ოცეულის მეთაურმა, გაიარა საბრძოლო ცხოვრების მეტად რთული და ძნელად სავალი გზა, დაიჭრა ორჯერ. გმირობისა და თავდადებისათვის დაჯილდოებული იყო "სამამულო ომის" მეორე ხარისხისა და "ნათელი ვარსკვლავის" ორდენებით. აგრეთვე საბრძოლო მედლებით.

ომის ქარცეცხლიან დღეებში 1943 წელს დ. გეწაქე შევიდა სკკპ რიგებში, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა ღრმა სიყვარული და ერთგულება მშობლიური ქვეყნისადმი.

ომის დამთავრების შემდეგ იგი უბრუნდება მშობლიურ ინსტიტუტს და წარჩინებით ამთავრებს მას 1948 წელს. ამავე წლიდან სწავლას აგრძელებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში ქართული ენის სპეციალობით. ქუთაისში მიიღო მან პირველი მეცნიერული და პედაგოგიური ნათლობა, აქვე დავაჟიყვანა ის როგორც მეცნიერი და პედაგოგი.

1953 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე "გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა მე-3-ე ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში". 1955 წელს არჩეულ იქნა დოცენტად.

1959-60 წლებში დ. გეწაქე მუშაობდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1960 წლიდან 1968 წლამდე - დანაწილებითი განათლების მეთოდის კათედრის გამგედ.

1968 წლიდან ინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტად.



1970 წელს მოიპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მისი კვლევების ობიექტს ამჯერად დიდი ქართველი მწერლისა და ლექსიკოგრაფის - სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა ენისა და სტილის საკითხების გარკვევა შედგენდა. 1975 წელს მიენიჭა პროფესორის ნოდება.

დავით გეწაქის საკვლევადიებო ინტერესების სფეროში ძველი ქართული ენის ისტორიის პრობლემები შედიოდა. იგი წარმატებით იკვლევდა აგრეთვე ახალი ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის საკითხებს. მას ეკუთვნის 40-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომა, რომლებშიც გაშუქებულია ქართული ენის არაერთი პრობლემატური საკითხი.

1978 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი "მართლწერის საკითხების სწავლებისათვის სკოლაში", რომელიც ყოველთვის დარჩება სამაგიდო ნიგნად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის.

ლექციები, რომლებსაც იგი კითხულობდა 30 წლის მანძილზე ჯერ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით, თხრობის მიმ ზიდველობით და პედაგოგიური ხელოვნებით. ამასთან ერთად, იგი მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და მონდომებით ზრდიდა ახლაგაზრდა სამეცნიერო კადრებს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა რამდენიმე ასპირანტი, დაიწერა საკანდიდატო დისერტაციები. ხშირად გაუწევია მას ოპონენტობა სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთათვის.

დავით გეწაქე მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პარტიული და საზოგადოებრივი დავალებების შესრულებას. წლების მანძილზე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი განათლების სამინისტროს ქართული ენის მეთოდური კომისიის თავმჯდომარე.

კეთილსინდისიერი და უანგარო მუშაო-

ბისათვის დააჯილდოვეს მედლით “შრომითი წარჩინებისათვის”

თავისი ცხოვრების უპირველეს მიზნად, პატრიოტულ და მამულიშვილურ მოვალეობად მას ყოველთვის მიაჩნდა ახალგაზრდა კადრების მომზადებისათვის ზრუნვა. უანგაროდ განუხელი სამსახურით მან ღირსეულად მოიხადა ვალი მშობლიური ხალხის წინაშე, მაგრამ ბევრი ჩანაფიქრი და წამოწყება დარჩა კიდევ განუხორციელებელი. წავიდა ჩვენგან შემოქმედებითი მომნიჭების ხანაში მაშინ, როცა ჯერ კიდევ დიდი სამსახურის განევა შეეძლო ხალხისა და ქვეყნისათვის.

მგზნებარე პატრიოტი, თვალსაჩინო მეცნი-

ერი, მისაბაძი აღმზრდელი, მოსიყვარულე და გულისხმიერი მეგობარი, უანგარო, სპეტაკი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი - აი ასეთად დარჩება კოლეგებისა და აღზრდილების მეხსიერებაში დავით გენაძე, რომელიც თავისი შეგნებული ცხოვრების მთელ მანძილზე, სიტყვითა თუ კალმით თავდადებით ემსახურებოდა ქართული მეცნიერების, ქართული კულტურის წინსვლისა და განვითარების საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
აღ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი;



დავით “სახალხო განათლება”. 1979 წ.

დავით გენაძე

ქართულმა საბჭოთა ენათმეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი, სკკპ წევრი 1944 წლიდან, დიდი სამამულო ომის ვეტერანი **დავით ოქროპირის ძე გენაძე**.

დ. ო. გენაძე დაიბადა 1917 წელს ქ. ზესტაფონში, გლეხის ოჯახში. იქვე დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. 1938 წელს დ. ო. გენაძე ქუთაისის აღ. ნულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

1941 წელს გაიწვიეს არმიაში. 1945 წლამდე მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. იბრძოდა “მცირე მიწის” დამცველთა რიგებში. ომის დროს გახდა სკკპ წევრი.

1947 წელს ომგადახდელი დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს, რომელიც დაამთავრა 1948 წელს და მიწვეულ იქნა ქართული ენის კათედრაზე ასისტენტად. 1949-1952 წელს დ. ო. გენაძე სწავლობდა ასპირანტურაში, 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად. 1960 წელს არჩეულ იქნა დანაწილებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის კათედრის გამგედ, ხოლო 1968 წლიდან მუშაობდა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე. 1970 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “სულხან-საბა ობელისანის ენა”.

1973 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ახალი ქართული ენის კათედრის გამგის მოადგილე.

დ. ო. გენაძე 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიისა, რომლებიც ეძღვნება ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორცაა ძველი ქართული ზმნის სისტემა, მწერლის ენა და სტილი, ცალკეულ გრამატიკულ კატეგორიათა წარმოების თავისებურებანი და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ დ. გენაძის ნაყოფიერი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური ძიებები, რომლებსაც სათანადო მნიშვნელობა აქვს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ფორმებისა და მეთოდების დამუშავებისა და გაუმჯობესებისათვის.

პროფ. დ. გენაძე ზედმიწევნით პუნქტუალური, თავაზიანი და კეთილშობილი პიროვნება იყო. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება;
ქუთაისის აღ. ნულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი;

ღავით ოქროპირის ძე გენაძე

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა საენათმეცნიერო სკოლამ. მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველურ ენათა ცნობილი მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1943 წლიდან ღავით ოქროპირის ძე გენაძე.

ღავით ოქროპირის ძე გენაძე დაიბადა ქ. ზესტაფონში 1917 წელს. ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1936-38 წლებში, იგი მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნოლოგად.

1938 წელს დ. გენაძე შევიდა ალ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, საიდანაც 1941 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1941-დან 1945 წლამდე იგი იბრძოდა დიდ სამამულო ომში. მან, როგორც ნაღმტყორცნი ბატარეის ოცეულის მეთაურმა, გაიარა საბრძოლო ცხოვრების მეტად რთული და ძნელად სავალი გზა, დაიჭრა ორჯერ. გმირობისა და თავდადებისათვის დაჯილდოებული იყო "სამამულო ომის" მეორე ხარისხისა და "წითელი ვარსკვლავის" ორდენებით. აგრეთვე საბრძოლო მედლებით.

ომის ქარცეცხლიან დღეებში 1943 წელს დ. გენაძე შევიდა სკკპ რიგებში, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა ღრმა სიყვარული და ერთგულება მშობლიური ქვეყნისადმი.

ომის დამთავრების შემდეგ იგი უბრუნდება მშობლიურ ინსტიტუტს და წარჩინებით ამთავრებს მას 1948 წელს. ამავე წლიდან სწავლას აგრძელებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში ქართული ენის სპეციალობით. ქუთაისში მიიღო მან პირველი მეცნიერული და პედაგოგიური ნათლობა, აქვე დავაჟიყვანდა ის როგორც მეცნიერი და პედაგოგი.

1953 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე "გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა მე-3-ე ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში". 1955 წელს არჩეულ იქნა დოცენტად.

1959-60 წლებში დ. გენაძე მუშაობდა ის-

ტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1960 წლიდან 1968 წლამდე - დანყებითი განათლების მეთოდ-კათა კათედრის გამგედ.

1968 წლიდან ინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტად.

1970 წელს მოიპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მისი კვლევების ობიექტს ამჯერად დიდი ქართველი მწერლისა და ლექსიკოგრაფის - სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა ენისა და სტილის საკითხების გარკვევა შედგენდა. 1975 წელს მიენიჭა პროფესორის ნოდება.

ღავით გენაძის საკვლევადიებო ინტერესების სფეროში ძველი ქართული ენის ისტორიის პრობლემები შედიოდა. იგი წარმატებით იკვლევდა აგრეთვე ახალი ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის საკითხებს. მას ეკუთვნის 40-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომა, რომლებშიც გაშუქებულია ქართული ენის არაერთი პრობლემატური საკითხი.

1978 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი "მართლწერის საკითხების სწავლებისათვის სკოლაში", რომელიც ყოველთვის დარჩება სამაგიდო წიგნად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის.

ლექციები, რომლებსაც იგი კითხულობდა 30 წლის მანძილზე ჯერ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით, თხრობის მიმ ზიდველობით და პედაგოგიური ხელოვნებით. ამასთან ერთად, იგი მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და მონდომებით ზრდიდა ახლგაზრდა სამეცნიერო კადრებს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა რამდენიმე ასპირანტი, დაიწერა საკანდიდატო დისერტაციები. ხშირად გაუწევია მას ოპონენტობა სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთათვის.

ღავით გენაძე მაღალი პასუხიმგებლობით ეკიდებოდა პარტიული და საზოგადოებრივი დავალებების შესრულებას. წლების მანძილზე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი განათლე-



ბის სამინისტროს ქართული ენის მეთოდური კომისიის თავმჯდომარე.

კეთილსინდისიერი და უანგარო მუშაობისათვის დააჯილდოვეს მედლით “შრომითი წარჩინებისათვის”

თავისი ცხოვრების უპირველეს მიზნად, პატრიოტულ და მამულიშვილურ მოვალეობად მას ყოველთვის მიაჩნდა ახალგაზრდა კადრების მომზადებისათვის ზრუნვა. უანგაროდ განეული სამსახურით მან ღირსეულად მოიხადა ვალი მშობლიური ხალხის წინაშე, მაგრამ ბევრი ჩანაფიქრი და წამოწყება დარჩა კიდევ განუხორციელებელი. ნავიდა ჩვენგან შემოქმედებითი მომნიშვნელობის ხანაში მაშინ, როცა ჯერ კიდევ დიდი სამსახურის განევა შეეძლო ხალხისა და ქვეყნისათვის.

მგზნებარე პატრიოტი, თვალსაჩინო მეცნიერი, მისაბაძი აღმზრდელი, მოსიყვარულე და გულისხმიერი მეგობარი, უანგარო, სპეტაკი, თავის კუთხეზე-ზესტაფონზე უსაზღვროდ შეყვარებული, ყველა ზესტაფონელისათვის საამაყო საყვარელი შვილი, ძმა და მეგობარი - აი ასეთად დარჩება კოლეგების, აღზრდილებისა და თავისი მშობლიური კუთხის მეხსიერებაში დავით გენაძე, რომელიც თავისი შეგნებული ცხოვრების მთელ მანძილზე, სიტყვითა თუ კალმით თავდადებით ემსახურებოდა ქართული მეცნიერების, ქართული კულტურის წინსვლისა და განვითარების საქმეს.

ახანათა ჯგუფი

გაზეთი “ლენინელი”. 1979 წ.

მეგობრის სსოვნას

გამოთხოვება

რაც მეტად გვაშორებს დრო დიდი სამამულო ომის ქარცხელიან დღეებს, მით უფრო მტკიცდებს სისხლის წვიმაში, შიმშილსა და მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში წარმოშობილი მეგობრობა და ძმადნაფიცობა.

ძვირფასო დავით, სათაყვანებლო მეგობარო და ძმაო, სასიქადულო მამულიშვილო, რატომ ასე ნაადრევად განწყვიტე ჩვენი ფრონტული მეგობრობის უბრწყინვალესი სიმი?

მტერთან კვეთებისას იშჩენს კაიასთან ბრძოლების დროს განსაცვიფრებელი მამაცობა გამოიჩინეთ თქვენ და პირველი საბრძოლო ჯილდოც დაიმსახურეთ. ყველასათვის მისაბაძი იყო თქვენი შეუპოვრობა. ვაჟკაცური შემართება ხუტორ კალაბაკისათვის ყოვლად დაწყევლილ უთანასწორო ბრძოლაში. აქ თქვენ, თქვენს მეომრებთან ერთად, კბილებამდე შეიარაღებული მრავალი ჰიტლერელი დაასამარეთ, შური იძიეთ დაღუპული მეგობრების, მშვიდობიანი მცხოვრებლების - ქალების, ბავშვების და მოხუცების მხეცური წამებისათვის.

მთავრობამ მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი აღნიშნა თქვენი და თქვენი ოცეულის მებრძოლთა თავდადება გმირ ქალაქებთან - ნოვოროსიისკთან, ანაპასთან, ქერჩთან და სევასტოპოლთან წარმოებულ სამკვდრო საციცოცხლო ბრძოლებში.

ლეგენდარული მე-18-ე არმიის და ცალკე ზღვისპირეთის არმიის შენაერთების მხედართმთავართა მოგონებებში თვალსაჩინოდაა გადმოცემული თქვენი გმირული შემართება, სამშობლოსათვის თავდადება. სწორედ ამისათვის გაქვთ მიღებული უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის რამდენიმე მადლობა და სახელმწიფო ჯილდოები.

იყავით რა 414-ე მსროლელი ანაპის წითელდროშოვანი ქართული დივიზიის ვეტერანთა საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი, აქტიურ სამხედრო-პატრიოტულ აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდით ახალგაზრდობაში.

რომელი ერთი დადებითი თვისება ჩამოვთვალოთ? იყავით ვაჟკაცი, კაცი კაცური და მეგობარი უძვირფასესი, მარად ასეთივე დარჩებით თქვენ ჩვენს გულებში ძვირფასო ძმაო.

სერგო გოშხათელიანი

სერგო ცინცაძე

ფრონტელი მეგობრები

უანგარო მეგობარი

ძალიან ძნელია შეურიგდე აზრს იმის შესახებ, რომ აღარაა დავით გენაძე, ადამიანი უანგარო, პატიოსნების, სინდისისა და კაცადკაცობის განსახიერება. მას ხომ მხოლოდ სიყვარული და ერთგულება შეეძლო, დავითმა ხომ ჭეშმარიტად არ იცოდა, რა არის სიძულვილი, შური და ბოროტება.

განსაკუთრებული ბუნებრივი ნიჭი, იშვიათი შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა განასხვავებდა მას ჩვენგან, თანაკურსელებისაგან.

დათიკოს (ასე ვეძახდით მას ახლო მეგობრები) საერთო ენის გამონახვა შეეძლო ყველა უბრალო ადამიანთან, ყველა უყვარდა, გულწრფელად ევლებოდა თავს არამარტო რჩეულ მეგობრებს, არამედ იმათაც, ვინც მხოლოდ ორიოდეჯერ ენახა.

გვიტაცებდა მისი საუბარი, სიტყვა-პასუხი, რომელსაც ყოველთვის თან ახლდა შეზავებული იუმორიც. ჩვენ გვჯეროდა დავითის, ის იყო ჩვენი წინამძღოლი, მრჩეველი და უანგარო დამხმარე.

ომმა შეწყვიტა ჩვენი ტკბილი მეგობრობა. იმ ძნელბედობის დღეებში დავითი იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს. "რუსეთის ველებს

მინათებს, ელვა ერეკლეს ხმლისაო" - ინერებოდა სამშობლოს ერთგული გუშაგი, მენატრებითო "მაგრამ ვინა თქვა ვაჟკაცი, ომის დროს შინა მჯდომიო" და დავითმაც ბოლომდე სდია მტერს. გამარჯვებული დაგვიბრუნდა ომგადახდილი მეგობარი. შინაც მრავალი გამარჯვება იზეიმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გახდა, პროფესორობა მიენიჭა, რაოდენ გვახარებდა ყოველივე ეს მის ახლო მეგობრებს, და რაოდენ საწყენია, რომ ასე მოულოდნელად გამოგვტაცა იგი სიკვდილმა.

წავიდა ჩვენგან სათაყვანო მეგობარი, სამაგალითო ადამიანი, შესანიშნავი მეცნიერი.

ვაი, რა კეთილი გულისძგერა შეწყდა, რა უანგარო მოქალაქე დადუმდა.

დადუმდაო ვამბობთ. მაგრამ არა, შენ კვლავ ჩვენთან იქნები შენი ნათელი აზრის სიცხადით ენათმეცნიერებაში თქმული ბევრი ახალი სიტყვით ჩვენთვის - მასწავლებლებისათვის დაწერილი სამაგიდო ნიგნით "მართლწერის საკითხების სწავლებისათვის სკოლაში".

ბ. გარეჩილაძე

ქ. ზესტაფონისის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

დიდი სინდისის ადამიანი

ადრე წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მყოფი, ჩვენი - მეტალურგების საპატიო კოლეგა, **დავით ოქროპირის ძე გენაძე**.

ჯერ კიდევ ომამდე - 1937-38 წლებში მუშაობდა დავითი ჩვენს საამქროში. აზრიანი, გამრჯე, კეთილსინდისიერი ახალგაზრდა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ყურადღების ცენტრში იყო. მალე დაგვმორდა სწავლის გაგრძელების გამო.

ომის ცეცხლი გიზგიზებდა, დიდი საპატიო ამოცანა ქონდა გადასაწყვეტი მეტალურგებს. სამშობლო ჩვენგან მოითხოვდა რაც შეიძლება მეტ ლითონს, გვიჭირდა, გვაკლდა მუშახელი. ხშირად ცვლაში 10 კაცის მაგივრად 4-5 კაცი მუშაობდა და რაოდენ დიდი იყო ჩვენი სიხარული, როცა დავით გენაძე კვლავ ქარხანას დაუბრუნდა და ჩვენთან ერთად მონაწილეობდა ლითონის დნობაში. მრავალნაჭრილობევი, ომახიანი ვაჟკაცი, ფრონტული ჯარისკაცული სიმტკიცითა და სიმამაცით ტრიალებდა ღუმელთან. მის ადამიანურ სიტბოს, მის დიდ შრომისმოყვარეობას, განცვიფრებაში მოვყავდით, შემდეგშიც კი, როცა მეცნიერების უმაღლეს მწვერვალებს დაეუფლა, დავითი ხშირად მოგვიკითხავდა, ეცნობოდა ჩვენს შრომით საქმეებს. უნდა გენახათ, რა სიხარულით აბუბუნდებოდა, როცა წარმატებებს შევავებდით. როგორ მოინყენდა თუ შეფერხებულს გვანახავდა, მაგრამ მაშინაც კი რწმენას, ხვალინდელი დღის რწმენას გვინერგავდა და მომავალში ნაყოფიერი შრომისათვის განგვანყობდა.

და რა დასანანია, რომ ჩვენს შორის აღარ იქნება ადამიანი - სინდისის, კაცური კაცის განსახიერება. დავით გენაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ზესტაფონელი მეტალურგების გულებში.

ფეროშენადნობთა ქარხნის ვეტირან მეტალურგთა სახელით

3. სუჯაძე. №1 საამქროს მდნობელთა ბრიგადირი

3. გვალია. კ. ქოჩიაშვილი, შრომის ვეტერანები.

უნივერსიტეტი გლოვოს

ძნელად დასაჯერებელი ამბავი შევიტყვეთ, წინა დღით დავცილდით სრულიად ჯანსაღ დავით გენაძეს. მეორე დღეს კი მისმა კეთილშობილმა გულმა შეწყვიტა ძგერა. გლოვის ჟამი დაუდგა ქართულ საენათმეცნიერო სკოლას, მძიმე დანაკლისი განიცადა უნივერსიტეტის ფილოლოგიურმა ფაკულტეტმა.

დავითი ერთ-ერთი ჩვენგანის ასპირანტი იყო, მაგრამ თავისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის გამო ერთბაშად შეძლო აკადემიური ტიპის მეცნიერად ჩამოყალიბება და მალე დაგვიდგა გვერდით, როგორც ღირსეული კოლეგა. მისი სადოქტორო დისერტაცია სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის შესახებ თავისებურად უნიკალური მონოგრაფიაა, რადგანაც ჩვენ ჯერჯერობით თითქმის აქცა გვაქვს ნაშრომები, სადაც შუა საუკუნეების ქართველი მწერლების გრამატიკისა და სტილის საკითხები თანამედროვე ენათმეცნიერების დონეზე იყოს გამოკვლეული.

სანიმუშო იყო დავით გენაძე როგორც თანამშრომელი და საზოგადოებრივი მუშაკი. მას ერთი წუთსაც ვერ ნახავდით უსაქმოდ. ყოველ დავალებას დაუზარებლად და ერთგულად ასრულებდა. იშვიათია კაცი, რომელსაც ისე პუნქტუალურად შეეძლოს დაიცვას საქმის გაძღოლის ნესრიგიანობა, როგორც ეს დავითს გამოუდიოდა ხელიდან. ამით იგი მიწყობდა მუშაკ ძველ ქართველ კალიგრაფებს მოგვაგონებდა. ამიტომაც ირჩევდნენ ხოლმე მას სამეცნიერო მეთოდური კომისიებისა და რიგი საბჭოების წევრად. კათედრის დოკუმენტაციაც ყოველთვის ფაქიზად და სუფთად ჰქონდა მოვლილ ნაპატრონები.

უბრალო და გულმართალი კაცი იყო დავით გენაძე. შესამური პედაგოგიური ალლო ქონდა და ერთგული მეგობრობა იცოდა. ჭირში გაუტყებელს, ნაომარს, სიკვდილთან თვალგანასწორებს ენამზეობა და სიკეთის თესვა ეხერხებოდა.

პირდაპირიც იყო და პრინციპულიც, მაგრამ უნივერსიტეტში სულ ათიოდე წლის მანძილზე მაინც დიდი სიყვარული მოიმკო. ამიტომ და-

აგლოვა მისმა უდროოდ გარდაცვალებამ აკადემიკოსი თუ პროფესორი, დოცენტი თუ ასპირანტი, ლაბორანტი თუ სტუდენტი. ჩვენც დიდი გულისტკივილით ვემშვიდობებით საყვარელ კოლეგას და მეგობარს.

**აკადემიკოსი შოთა კიკიბური
პროფესორები გიორგიროგავა,
ივანე ქავთარაძე.**

თვალსაჩინო მეცნიერი, უბრო მეგობარი

დავით ბენაძეს ჩვენ სტუდენტობის დროიდან ვიცნობდით. ომიდან დაბრუნებულს, საბრძოლო ორდენებით მკერდდამშვენებულს მას ინსტიტუტში მისვლისთანავე დაუნიშნეს, მაშინ ერთადერთი სახელობითი სტიპენდია.

საკვირველად ნიჭიერი კაცი იყო და არაჩვეულებრივად მობილიზებული. წიგნებს კი არ კითხულობდა, პირდაპირ "ნთქავდა". სტუდენტთა სამეცნიერო თუ თეორიულ კონფერენციებზე ისეთი მოხსენებით გამოდიოდა, უკვე ზრდადამთავრებული მეცნიერი გეგონებოდათ. ასეთი ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩა და იგი ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დატოვეს ასპირანტად. მან დიდი ენერგია შეაღია ქართული ზმნის გარდამავლობისა და სულხან-საბას ენის კვლევას. გასულ წელს ფრიად საინტერესო და საჭირო მონოგრაფია გამოაქვეყნა ქართული მართლწერის საკითხებზე.

დავითი მომხიბლავი პიროვნება, სადა და სპეტაკი ადამიანი, გულმხურვალე პატრიოტი, უანგარო პედაგოგი და უებარი მეგობარი იყო. იგი ყველასაგან და ყოველთვის დიდი სიყვარულით იყო გარემოსილი. თვითონაც სხვებს ასეთსავე გრძნობით უმურველად პასუხობდა. უაღრესად საინტერესო მოსაუბრე, იგი თავის აზრებს ზოგჯერ ლექსადაც გააწყობდა ხოლმე. ამ ლექსებში ყოველთვის გამოსჭვიოდა იუმორი, რაც დავითის დიდი ნიჭიერების კიდევ ერთი დასტური იყო.

ათი წლის წინათ იგი სამუშაოდ თბილისის უნივერსიტეტში მიიწვიეს, ის აღიარებაც იყო

და პასუხიმგებლობაც, ერთბაშად იგი უნივერსიტეტისათვის მეტად საჭირო კადრი აღმოჩნდა. როგორც ერთერთი წარჩინებული მეცნიერი. ამას წინათ მთავრობის მაღალ ჯილდოზეც წარადგინეს. სამწუხაროდ, მისი მიღება აღარ დასცალდა.

ქუთათურებს ზრუნვას თბილისიდანაც არ აკლებდა. რამდენიმე ახალგაზრდა მეცნიერს გაუმართა ხელი. ზოგიც აწი მოელოდა მის რჩევა-დარიგებას, იგი ხომ ჩვენი უნივერსიტეტის სრულუფლებიანი დესპანი იყო მეცნიერების

დიდ ტაძარში. უდროოდ და ენერგიით აღსავსე წავიდა ჩვენგან ძვირფასი დავითი. წავიდა და ცარიელი დატოვა დიდი ადგილი, რომელსაც მხოლოდ იგი ავსებდა, ტახტი რომელზეც გვირგვინოსნობა მხოლოდ მას ეკუთვნოდა. დაობლებული ოჯახისა და გულშეძრული მეგობრების იმედი მხოლოდ მისი ნათელი ხსოვნის მარადიულობაა.

პროფესორი დ. ბრეხვაძე
დოცენტი გ. მჭედლიძე

დავით გენაძე-მოსიყვარული პროფესორი

საყვარელი ადამიანი, საყვარელი კაცი. ეს არის პროფესორი დავით გენაძე, რომელსაც შეეძლო დაერწმუნებინე, რომ ამ ქვეყნად არსებობს კეთილი, სათნო, საქმის ერთგული და სამშობლოს უსაზღვროდ მოსიყვარულე ადამიანი. ყველა ეს თვისება თვითონ ბატონ დავითს გააჩნდა და ალბათ ამიტომ იყო და არის ყველა-სათვის საყვარელი ადამიანი.

დღესაც თვალწინ მიდგას მისი მუდამ მომღიმარი და მშობლიური ალერსით სავსე თვალელები, მისი მუდამ საქმიანი იერი და რაც მთავარია, მის არსებაში უსაზღვროდ იყო სიყვარული თავისი საქმისადმი, თავისი ხალხისადმი, თავისი სტუდენტებისადმი.

სრულიად გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი დავით გენაძე იყო პირველი და ერთადერთი ადამიანი, რომლითაც შემეძლო და თან დღესაც შემიძლია ვიამაყო, დიდი სიხარულით ვთქვა, რომ ქართულ ენას მიკითხავდა პროფესორი დავით გენაძე.

რათქმა უნდა მიყვარდა ქართული ენა, მაგრამ ბატონმა დავითმა ეს სიყვარული უკიდურესობამდე გააღრმავა და გააფართოვა. რით? განა იმით, რომ თავში ძალით გვიტენიდა თავის აზრებს, არა, იგი იყო ადამიანი, რომლის ზემოქმედება იმდენად დიდი იყო არამარტო ჩემზე, არამედ ყველა სტუდენტზე, რომ არ შეიძლებოდა მისი საგანი, რომელსაც რამდენიმე ათეული წელი შეაღია ბატონმა დავითმა, დიდი გულსყურითა და სიყვარულით არ შეგესწავლა. რა საოცრად იცოდა სტუდენტის შექება, რათა მეტი მონდომებითა და სიყვარულით დაუფლებოდა საგანს. მახსოვს, ერთხელ მესა-

მე კურსზე, სინტაქსის სწავლა რომ დავინწყეთ, დავალება მოგვცა და წახალისების მიზნით ნიშნებსაც გვინერდა თავის საკუთარ ჟურნალში. ერთხელ გამომიძახა და მკითხა, წინადადების წევრები, ქვემდებარე და შემასმენელი. როცა ჩემი პასუხი მოისმინა, დიდად შემაქო და ბავშვებს უთხრა: “აი გოგო, ოჯახიც აქვს და სწავლასაც მშვენივრად ახერხებსო”. ამ დღიდან თითქოს გამიათქვეცდა ძალა და ენერგია, ყოველთვის პატიოსნად ვასრულებდი ბატონ დავითის ყოველგვარ დავალებებს. ბატონი დავითი კი ყოველთვის ქება-დიდებას მასხამდა. დარწმუნებული ვარ, არაფერს არ ვაკეთებდი ისეთს, რომ ლექტორს გაკვირვებოდა. სტუდენტმა რომ დავალება შეასრულოს ეს ხომ აუცილებელია, მაგრამ მას სურდა, რომ მე დავეინტერესებინე და ეს თავისი მისია პირნათლად შეასრულა კიდევ.

არ გეგონოთ თითქოს მარტო ჩემს მიმართ იყო ასეთი გულთბილი და გულისხმიერი ბატონი დავითი. არა, მან არ იცოდა სტუდენტის გარჩევა, იგი ყველას მამა, მასწავლებელი და ამავდროს უახლოესი მეგობარიც იყო. იგი ისე ახლოს იყო ყოველ სტუდენტთან, რომ თუკი ვინმეს რაიმე “სატკივარი” ქონდა. ბატონი დავითი იყო პირველი ექიმი და ყოველმხრივ თავდაუზოგავი კაცი, რომელსაც შეეძლო თითოეული სტუდენტის ტკივილი საკუთარ გულში დაემატებინა და საკუთარ ტკივილად განეცადა.

ნონა ბელაშვილი

თსსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

სამგლოვიარო

ძმავ დავით, ასე უეცრად
შენი სიცოცხლის კარი დახურე,
მართალო კაცო, კაცურო კაცო,
ქართული ენის მოჭირნახულევ
ომის აღმურში ტყვიით აქრობდი
მტრისგან დანთებულ ცეცხლის
მწველ ალებს,
შინ რომ დაბრუნდი კალმით იპყრობდი
მეცნიერების ახალ მწვერვალებს
შარშანნინ გნახე, ხარიტონის ძე
ჩვენ მივაბარეთ მაშინ სამარეს,

შენც სერგოსავით გიმტყუნა გულმა,
ვერ მოგეშველეთ და ეს გვამნარებს
დღეს მიგაცილებთ ცივ სამარემდის
ახლობელი და ყველა კეთილი
არ დაგივინყებთ, რადგან სიკეთე
ყველას გულში გაქვს შენ დანერგილი
ძვირფასო დავით, ასე უეცრად
შენი სიცოცხლის კარი დახურე,
მართალო კაცო, კაცურო კაცო,
ქართული ენის მოჭირნახულევ

დიმიტრი ბაქალაძე
1977 წლის 7 ივლისი

ყველასთვის საყვარელი პროფესორის დავით ბენაძის ხსოვნას

ძნელია საუბარი საყვარელ ადამიანზე, მითუმეტეს თუ ეს ადამიანი ჩვენ გვერდით აღარაა, ძნელია გახსენება დავით ბენაძისა ისე, ცრემლი რომ არ მოგერიოს. ის ვისაც ერთხელ მაინც საშუალება შეხვედროდა ბატონ დავითს, მოესმინა მისი ბუბუნა ხმა, დაენახა მისი კეთილი ღიმილი, ველარასოდ დაივინყებს მას.

მე მახსოვს, როგორ ეცვლებოდათ მოლიმარი სახეები სტუდენტებს, როგორ უკანკალებდათ ნიკაპი, როცა დავითის უეცარი გადრდაცვალება გაიგეს, გვიჭირდა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შესვლაც კი, თითქოსდა მთელი უნივერსიტეტი დაცარიელებულიყო, ფერი ეცვალა. ბატონ დავითს ყველას და ყველაფრის უსაზღვროდ სიყვარული შეეძლო. მას ჰქონდა შესაშური სიკეთე, სითბო და სიყვარული. ბატონი დავითი წმინდა იესოს გავდა, იგი ხალხში მოარული სიკეთე იყო. მაღლს იზამდა, ქვაზე დადებდა და შედეგს არც კი დაუცდიდა, სვა სიკეთის დასათესად მიდიოდა.

მე მგონია, ზენა რამდენიმე ათეულ წელიწადში ერთხელ დაბადებს ხოლმე ასეთ ადამიანს, შეამკობს საოცარი კეთილშობილური თვისებებით, ასეთი ადამიანები ლეგენდასავით შემოდინა ხალხთა გულებში, გაათბობენ მას, კაცის თვალს სიკეთეს დაანახებენ და მერე ლეგენდასავით ქრებიან, ადამიანები, სიცოცხლეს სინმინდესა და ნათელს რომ აძლევენ. ასეთი მაღლით იყო მირონცხებული ბატონი დავითიც.

კაცი-ლეგენდა

პატივცემულ პროფესორს დ. ბენაძეს

გიყვარდა მინა, მამულის ქარი
ქართული ენის გნამდა მშვენება,
ამბობდი, მუხას ასე ფესვმაგარს
არ უნერია გადაშენება.

შენ ყველაფერი ძლიერ გიყვარდა,
მზეს აფიცხებდი წარსულ იარებს,
არა კვენსოდი, თუმც ტკივილებმა
მრავალჯერ გულზე გადაგიარეს
უმღერდი მამულს, უმღერდი შვილებს,
ქალის სიკეთეს სულით პოეტი,
არა გჩვეოდა ცბიერი ცრემლი,
უგულო კაცის მიეთ-მოეთი.

გზებზე სიკეთის რგავდი ყვავილებს,
ღმერთის მაღლით და კაცის სახეთი

და მერე როგორც კივილი გულის,
ან გაფიქრება, ისე ნახვედი.
დალაი, მზეო გამალე თმები,
დალაი, სევდად შეკრულა ხალხი,
დალაი, ცოლო აწვიმე ცრემლი,
დალაი, ვაჟებს ჩაუცვამთ თალხი.
წამით შედგება აშარი ქარიც,
ზეცას ღრუბლები მოქცალება,
სიკვდილს, ო სიკვდილს სულაც არ ნიშნავს
დავით, ეგ შენი გარდაცვალება.
როგორც სურადან თასებში ღვინო
შენ დანანილდი, ისე მალულად,
გულიდან გულში, გულიდან გულში
სიკეთედ, სითბოდ და სიყვარულად.

მაცვალა გონაშვილი

სიტყვა ღვინო ბენაქს

ბექგანიერო ყონალო,
გულს ნუ ჩაიხვევ დარდს!
მოვდექით შენი მოძმენი
შენი სამარის კარს.
მირიადები ვარსკვლავთა
გაფრქვევს სანუკვარ ცვარს
ძირს ნიავექარი გიგალობს,
მზის შუქი გივლის გარს.
აბა ვინ დაასამარებს
ავტორიტეტის დარს,
ელვას მის ცისარტყელათა,
მისთა ფერების დასს?
ჩვენს ინსტიტუტში გენაძის
ხატება სვეტად დგას.
ოი, რა სავალალოა-
მალა ვერ წევდე მხარს!
ვერ დაუქროლო ღიღინით
ზურმუხტის მთა და ბარს,
ვერ კითხულობდე რუსთაველს
მგოსანთა ამირბარს,
ვერ სჭექდე გალაქტიონის
ამაღელვებელ პნკარს,
გაუღვიძებლად მწოლარე
ფიქრს მისცემოდე მწარს!
თასით ვერ გამოეჯიბრო
ყველა მეგობარ არსს?
ლაზათი აკლდეს უშენოდ
ტოლუმბამობის კლასს?
უღვთოა ადრე სიკვდილი
მისი, ვინც გავდა მთას
და აკვნესებდა კაი ყმის
სალამურსა და თარს.
ბიჭებს გვიტოვებ შევარდნებს
არ ენახვიან ავს.
ორივე მამის სარკვა
მტერს მათი შური წვავს.
ვერ მოესწრები ძმობილო,
ორ უსაყვარლეს რძალს,
მათთა ქორნილთა ზეიმებს
და მაშხალების ალს,
აბობოქრებულ მაყრიონს
ვერ სტყორცნი მადრიგალს.
საფლავში გამომწყვდეულო,
ამოდებულო ზვავს,
ვის ბადალს დედა ბუნება
ძვირად თუ შეკიონდავს,
დათხოვებისხარ მედეას,
ურისხებ გლოვის ზარს-
ტრაურში ჩამჯდარ დედოფალს,
შენს ერთგულ ამორძალს.
მაგრამ რა დაასამარებს
ავტორიტეტის დარს,
ბრწყინვას მის ცისარტყელათა,
მისთა ფერების დასს?
ბექგანიერო ყონალო,
გულს ნუ ჩაიხვევ დარდს!

მოვდექით შენი მოძმენი
შენი სამარის კარს.
ჟამი ვერ შეერკინება
ტალანტის მინანქარს,
როგორც ვერ მოგრებს ზეფირი
ტიანშანების რქას.
ცენტურიონად ედექი
მამულიშვილთა ვალს
კავკასიონის მედიუმს,
თბილისის გულის წვას.
ფაშიზმის ლიუციფერი
ფუჭად გეხვეწა ზავს,
სევასტოპოლთან დაარტი
მონმედ სტალინი გყავს.
შენი ბრძოლის და კაცობის
სახოტბო ვინ არ თქვას?
ბუბუნა ხმების ემბაზო,
არაფრით გავდი სხვას.
ვინ დაგზარდება დალოცვას,
ლიტანიების თქმას,
შენი უჭკნობი კაცობის
შესანდობარის სმას?
დავითის შარავანდედი
გააპობს ლოდის ქვას,
გოლფშტრომის ზვირთად გაჰყვება
შვილიშვილების ზღვას,
საუკუნეთა დინებას,
შთამომავლობის ჯარს,
ტკბილ ხსოვნად მოველინება
ქართულ ტომსა და გვარს
ვერ მოგერევა სამარე,
რაც უნდა იყოს ღრმა,
სალუტებს აგიგრიალებს
ერი, ბერი და ყმა.
მოკითხვის უსტარს მოგანვდის
მთვარის სხივების ძნა,
არ დაეღვევა ამ საფლავს
მოპილიგრიმე ძმა!
ქვესკნელში გამომწყვდეულო
ამოდებულო შვავს,
შენს მაჯობინარს ბუნება
ან ძვირად შეკინდავს,
არ ვაზვიადებ ღვთისმადლმა,
ვერც წაამეტებს სხვა,
ვით კენჭის გადმონივლება
მთიდან მოხეთქილ ზვავს!
სტუდენტის დამტყვევებელო,
ლექციით მონუსხავ,
მეგობარ-ამხანაგებში
ავთანდილობის ზღვავ,
სამარადისოდ იდიდოს
შენი განვლილი გზა!
შენი ნათელი გონება,
შენი ჯანსაღი ფხა,
შენი სახელის ლეგენდა,
ხალხში რომ დაირხა!

ღვინო ჯანელიძე
7.IX.79. ქუთაისი

პატივცემულო ჯუმბერ!

თქვენმა წერილმა დიდად სასიხარულო ამბავი მამცნო - ძვირფასი და მარადდაუვიწყარი დავით გენაძის შესახებ წიგნი გამოიცემა.

დიდი სურვილითა და სიყვარულით ვასრულებ თქვენ დავალებას, გიგზავნით მოგონებებს, და თუ იგი ამ საქმეში ერთ პატარა ადამიანურ აგურად გამოგადგებათ, დიდად ბედნიერი ვიქნებოდი.

მე ბედმა მარგუნა ომის ყველაზე მრისხანე დღეებში (1942-წლის მარტი - 1943 წლის მარტი) მაშინ როდესაც, კავკასიის ხალხებს და მთელ საბჭოთა ხალხს უდიდესი განსაცდელის ჟამი დაუდგათ, ვყოფილიყავი დავით გენაძის გვერდით.

იგი თანდაყოლილი ჰუმანურობითა და კეთილშობილებით გამოირჩეოდა, მაგრამ გენახათ მისი ზიზლით აღსავსე სახე, როდესაც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო გადმოსცემდა გერმანელთა მხეცობის ამბავს ან ომის გზებზე ფაშისტ-მხეცების ნამოქმედარს რომ ნავანყდებოდა.

თუმცა დავითის მონოდება ოფიცრობა არ ყოფილა, მაგრამ რახან საქმე ომზე მიდგა, მან ზედმინევენიტ შეისწავლა სამხედრო საქმე, კარგად იცოდა ტექნიკა, სხვადასხვა იარაღიდან სროლაში კი ძნელად თუ ვინმე შეეცილებოდა.

მაგრამ დავითს ხელთ ქონდა ისეთი მძლავრი იარაღი, რომელიც მას სხვებზე მთელი თავით მაღლა აყენებდა - ადამიანის გონების დაპყრობის, მათ ფიქრებში ჩანვლომისა და და მათი გულების მონადირების არაჩვეულებრივი უნარი.

დავითი იყო უშიშარი, მამაცი რაინდი, იგი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მეზობლებს. მისი დამსახურება სამშობლომ მრავალი ჯილდოთი, მათ შორის “წითელი ვარსკვლავისა” და “სამამულო ომის” ორდენებით აღნიშნა.

მტერზე ჩვენს გამარჯვებაში მილიონების სისხლს დავითის სისხლიც ურევია.

და თუ მას არ ქონია მაღალი სამხედრო წოდება ან თანამდებობა, ეს მხოლოდ მისი სურვილიდან, მისი მომავალი გეგმებიდან გამომდინარეობდა.

დავითი ოპტიმისტი იყო, მას მტკიცედ სწამდა ჩვენი გამარჯვებისა და მაშინაც კი მეცნიერულ მუშაობაზე ფიქრობდა, მთიელთა ენებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. იარაღთან ერთად წიგნები და რვეული იყო მისი მუდმივი თანამგზავრი.

ღიას! დავითი სასწაული ადამიანი იყო, იგი თავისთავს სხვებზე მაღლა არ აყენებდა, ხელქვეითებისგანაც კი სწავლობდა, გასაჭირში ჩავარდნილს უანგარო დახმარების ხელს უწვდიდა.

დავითის თანამებრძოლთაგან დღეს ცოტანი დარჩნენ. დალუპულებს რომ შეეძლოთ წამოდგომა, ისინი დავითის საფლავთან ცრემლის მდინარეს დააყენებდნენ.

ასეთი იყო ომის წლებში და ასეთად დამრჩება დავით გენაძე ჩემს მესხიერებაში.

მე ბედნიერება მარგუნა ბუნებამ, “ფრონტზე დათქმულმა” მეგობრობამ უფრო ფართოდ გაიდგა ფეხი. მშობლები, მეუღლეები, და-ძმები, ჩვენი შვილები, ახლობლები, ყველანი ჩააბა დავითმა ამ ფერხულში და ამიერიდან ერთ მთლიან, დიდ ოჯახად შეაერთა, ამის უნარი მხოლოდ მას ქონდა.

ცოტა იცხოვრა დავითმა ამ ქვეყნად, მაგრამ ბევრი გააკეთა, დაგვიტოვა შესანიშნავი ოჯახი, მეცნიერული მემკვიდრეობა და რაც მთავარია გული, მოსიყვარულე გული.

პრ. დარჯანია

პატივცემულო ჯუმბერ!

ჭრილობის შემდეგ დავითი კვლავ თავის ნაწილში მოხვდა. ომის შემდეგ მან გამაცნო ახალგაზრდა კაცი, გვარად ჯანბერიძე, ჩემი სეხნია და მითხრა - შენს მაგივრობას მიწვედაო. არ ვიცი ამჟამად სად არის ის ამხანავი.

პავლე ტაბატაძე ცოცხალი არ არის, მაგრამ დავითმა იმდენი დაწერა მის შესახებ” - გააცოცხლა” იგი.

კეთილი სურვილებით გ. დარჯანია

1980 წლის 5 თებერვალი

ჩემი საყვარელი პროფესორის - ბ-ნ. ღავით ბენაძის ბახსენება

უკვე რამდენიმე დღეა, რაც თქვენ - პატ. მანანა დაგვაგაღებთ ბატონ დავითზე თემა დაგვენერა, მე კი ვერაფრით ვერ მოვკიდებ სანერკალამს ხელი. ყოველ დღე ვდებდი ამ საქმეს, მაგრამ ეს სიზარმაცით არ იყო გამონვეული. უბრალოდ ვერიდებოდი მასზე ფიქრს, დიახ, ვერიდებოდი ფიქრს საყვარელ პროფესორზე, იმ ადამიანზე, რომელსაც ჩემი გადაცემით, თითქმის ყველა ჩემი მეგობარი იცნობდა, რომელზედაც არაერთხელ გვისაუბრია და არც არასდროს მომწყინებოდა ლაპარაკი და ფიქრი ბატონ დავითზე. დღეს კი ველარ ვახერხებ, ვერიდები, მიჭირს იმის გახსენება, რომ იგი ცოცხალი აღარ არის და არ შემოძლიან ამ აზრს შევეგუო. ჩემდაუნებურად თვალეხი ცრემლით მევსება და ფიქრს ვწყვეტ.

ბატონი დავითის გარდაცვალების ამბავი კაჭრეთში შევიტყვე. პიონერთა ბანაკში, სადაც ამ ზაფხულს ვმუშაობდი, დედა ამოვიდა ჩემს სანახავად და მან მითხრა, თუმცა ჩემ დას დაურიგებინა, ჯერ ნუ ეტყვი, თამრიკოს ძალიან უყვარდა ბატონი დავითი და გული ეტკინებო, მაგრამ დედამ ვერ შეძლო ამ ამბის დამალვა, მერე კი ძლიერ ინანა, რადგან არ იქნა ჩემი გაჩერება, ბანაკში კაცი არ დარჩა არ ვენუგეშებინე.

ძალიან, ძალიან განვიცადე ბატონი დავითის გარდაცვალება. იგი მოელოდნელი იყო ჩემთვის და ალბათ, არა მარტო ჩემთვის.

მოუთმენლად ველოდებოდი პირველ სექტემბერს, ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდი უნივერსიტეტში, მეგონა მისი კედლები შვებას მომგვრიდნენ, მანუგეშებდნენ. მართალია ვიცოდი რომ ბატონი დავითი ცოცხალი არ იყო, მაგრამ არ მინდოდა დამეჯერებინა და პირველ კორპუსში იმ იმედით შევდგი ფეხი, იმ ფიქრით, რომ მას ვნახავდი. ეჰ, პირიქით კი მოხდა. ნუგეშის მაგივრად უფრო მწვავედ ვიგრძენი სინამდვილე, უფრო ცხადად განვიცადე ყოველი... თითქოს არაფერი მომხდარიყოს, უნივერსიტეტს ასეთი დანაკლისი თითქოს არც განეცადოს, აქ ისევ ძველებურად, ხალისიანად სჩქეფდა სიცოცხლე და ვიგრძენი რომ ძალიან, ძალიან მტკიოდა გული.

ერთხელ ბატონმა დავითმა გვთხოვა, რომ ახალი ქართული ენის კაბინეტის თაროების დალაგებასა და წიგნების დანყოფაში მივხმა-

რებოდით, ჩვენც არ დავზარდით და ვისაც შეგვეძლო, დანიშნულ დღეს მივედით. იმდენი არაფერი გაგვიკეთებია, ანკი რა დაგვლლიდა, ექვსი თუ შვიდი გოგონა ვალაგებდით ერთოთახს. ბატონ დავითის სიზარულს კი საზღვარი არ ქონდა, რამდენი გვაქო და გვადიდა, მოხმარებისათვის წიგნებითაც დაგვაჯილდოვა, რომლებსაც მიაწერა - ჯილდოდ ახალი ქართული ენის კაბინეტში მოღვაწეობისათვისო. ეხლა იმ წიგნს სათუთად ვინახავ და უუფრთხილდები, რადგანაც იგი ბატონ დავითის ნაჩუქარია.

არა, იმის გადმოცემა შეუძლებელია, თუ რა დიდი სითბოთი და სიყვარულით გვეკიდებოდა ბატონი დავითი თვითოეულ ჩვენთაგანს. ნათქვამია, რომელი მასწავლებელიც ძალიან გიყვარს, მისი საგანიც მეტად გაინტერესებს და ყველაზე კარგი გგონია, ალბათ, ჩვენი კურატორის გამოც იყო, რომ ჯგუფის ნახევარს გვსურდა ლინგვისტიკას გავყოლოდით.

ლექციაზე მჯდომს ხშირად მეჩვენება, გაიღება კარები და ბატონი დავითი შემოვა გალიმებულნი, როგორც ყოველთვის, სათითაოდ მოგვიკითხავს ყველას, არავინ არ გამოვრჩებით, არცერთს არ დაგვაკლებს თავის სითბოს და ალერსს, არავის დაგვტოვებს უყურადღებოდ.

არ ვიცი, ნუთუ შეიძლება ასეთი ადამიანის დავინწყება.

ბოლო ლექციაზე დაგვემშვიდობა, ბედნიერი დასვენება გვისურვა - აბა თქვენ იცით, სექტემბრამდელი გვითხრა. ეჰ, რა ვიცოდით ჩვენ, ან მან, რომ ეს მისი უკანასკნელი ლექცია იქნებოდა და სექტემბერში ველარ ვნახავდით ერთმანეთს. მენანება ბატონი დავითის ლექციების ის თვითოელი ნუთიც კი, რომელიც საპატიო, თუ არასაპატიო მიზეზის გამო გამიცდენია, ნეტავი შეიძლებოდა იმ ნუთებისა თუ საათების დაბრუნება.

სწორედ, ბატონი დავითის გამო გადავიფიქრე დღის განყოფილებაზე გადასვლა, ვერ შეველიე მას და ნამდვილად არ იყო ადვილად დასათმობი კაცი.

ჩვენი ჯგუფი ველარ იამაყებს იმით, რომ მისი კურატორი ბატონი დავითია.

თამრიკო ბარისაშვილი

ცრემლად ქცეული ზღვა სიკეთისა

ის პირველი სექტემბერი მაგონდება ტკბილად და მწარედ, ის პირველი სექტემბერი, თეთრად შეფეთქილ აუდიტორიაში რომ შეგვიძღვა თერთრთმიანი და ნათელიმილიანი კაცი-თქვენი თავი მე ჩამაბარეს და აბა თქვენ იცითო! - ჩაიბუბუნა მამაშვილურად.

წუთი წუთს მიყვია, საათი საათს, დღე კი დღეს და “აბა თქვენ იცით, მე თქვენთან ვარო” - გვესმოდა დღენიადაგ, გვესმოდა ნაშინ, როცა რაღაც გვიჭირდა ან გვიხაროდა, გვესმოდა მაშინ, ყოველი სემესტრის ბოლოს, ყოველ გამოცდაზე, ჩვენთან ერთად რომ იდგა აუდიტორიის კარებთან და ღიმილით ელოდა ჩვენს ნიშნებს. თანატოლივით დაგვიმეგობრდა და ვგრძნობდით, თუ როგორ იყოფდა ჩვენს სიხარულს და ვარამს, როგორ უცმიციმებდა თვალეები სიკეთის შუქით ჩვენს დანახვაზე, -“ჩემი ბოლო სახელმძღვანელო ჯგუფი ხართ და სუყველანი უნდა დაგაბინაოთ, ისე ვერ მოვისვენებო”. თავს დაგვტრიალებდა და შუაგულ ზამთარში ნატრობდა ჩვენთან ერთად გაზაფხულის სიმწვანეს - გაზაფხულდება და გაუფყვით სვანეთის გზებს, ხუთი თითივით ვიცით. ნატრობდა ჩვენთან ერთად მოველო საქართველოს მთა-ბარი. გვავალებდა - ზაფხულის არდადეგებზე ზოგი იმერეთს რომ ესტუმრებით და ზოგი რაჭას თუ ლეჩხუმს, არ დაგავინყდეთ კუთხური გამონათქვამების ჩანიშვნა და მერე ანალიზი ერთად გავაკეთოთო. აბა ამის შეხსენება რად გვინდოდა, მაგრამ გული არ აძლევდა, რომ არ ეთქვა, ქართულ სიტყვაზე გამიჯნურებულს.

ერთხელ დავალება მოგვცა - “ჩემი თავგადასავალი”, მოგონებებში დიდი ნაწილი ჩემს საყვარელ ბებიას დავუთმე, აღფრთოვანებული იყო, ეს რამხელა სიყვარული შეგძლებია, ჩემმა შვილიშვილმაც რომ ასე გამიხსენოს, ხომ მეორედ დავიბადები კაციო...

კიდევ რამდენი ტკბილი მოგონება ნამოტივტივდება ხოლმე - სევდანარევი ტკივილად შემორჩენილი მოგონება. სულ ვფიქ-

რობდი, მოვა დრო და ათმაგად გადავუხედი ბატონ დავითს ამაგსა და მამაშვილურ მზრუნველობას-თქო... სწორედ ამ დროს, სიცოცხლისა და სტუდენტური ცხოვრების ქაოსში, ბრუნვასა და ტრიალში ჩართულებს ჩუმად წამოგვპარვოდა ჟამი განშორებისა...

ისევ ის თეთრად შეფეთქილი აუდიტორია და განწყობა სხვაგვარი, წამნამებზე ცრემლებდაკიდებული “ყაჩაღანა გოგონები”, მწუხარედ რომ დაეტოვებინათ “ბავშვობიდან გამოყოლილი სიცელქე.” მერე ისევ პირველი სექტემბერი მაგრამ სხვაგვარი, ისევ ის გოგონები თვალეგაფართოებულნი რომ შესცქეროდნენ მარმარილოს დაფას, რომლიდანაც ისევ გვიღიმოდა ბატონი დავითი. ისეთი გრძნობა დამეუფლა თითქოს დავობდით, მერე თავჩალუნულებმა წავიბუტბუტეთ: ჩვენ მოვედით ბატონო დავით, თქვენს საყვარელ იმერულ სახლში მოვედით, მერე ისევ ჩუმი ფიცი, რომ გვიყვარდით, თუ როგორ გამოიღო თოთოეულმა ხემ კვირტი, უთქვენოდ მოვედით, მერე ისევ ჩუმი ფიცი: ჩვენ ასე მოვალთ ყოველ სექტემბერს, მოვიტანთ სტუდენტური ცხოვრების სუნთქვას და სურნელს, რაც ასე გხიბლავდათ.

ვერ შევეგუეთ უთქვენობას, ზოგჯერ ახლაც გულაჩქროლებულები გაუფყვებით ხოლმე დერეფანს თქვენი ოთახისაკენ კეთილი რჩევის მოლოდინში და შემდეგ უცბად გვეყინება მზერა... დრო როდი ყოფილა ყველაფრის მკურნალი, ცრემლად გვადნება წამნამებზე ხსოვნა ჩვენი მასწავლებლისა, აღმზრდელისა და უპირველესად მეგობრის - ზღვა სიყვარულს რომ იტევდა უბეში, სიკეთისა და მზის სიყვარული ჩვენც რომ გვასწავალა და თვითონ სიკეთის ხატება ცრემლად იქცა.

გულიკო ბაღდავა

ფილოლოგიის ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი

დაუვინყარი პროფესორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დავით გენაძე. რამდენი რამ გვაკავშირებდა ამ სახელთან და გვართან. ვინ მოსთვლის, რამდენი ამბის მოგონება შეიძლება მასზე და რაოდენ სამნუხაროა, რომ ბატონი დავითი ჩვენს გვერდით აღარ გვეგულედა. მისი მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი მეხივით გავარდა უნივერსიტეტში. ივნისის ბოლოს, როცა ყველას გამოგვემშვიდობა პირველ სექტემბრამდე, მშობლიურ ზესტაფონში მოუსურვებია წასვლა მეუღლესთან ერთად, წავიდა და აღარ დაგვიბრუნდა.

ჩვენ ხომ სამი წლის მანძილზე არ დავშორებულვართ ერთმანეთს. ბატონი დავითი იყო სწორედ ის ლექტორი, რომელმაც პირველმა შემოალო ჩვენი აუდიტორიის კარი და სტუდენტობის შემდგომი გზა დაგვილოცა. რა უნდა იყოს იმაზე მეტი ბედნიერება სტუდენტისათვის, რომელმაც პირველად შემოგვა ფეხი უნივერსიტეტში და გულიცფანცქალით ელის ლექციის დაწყებას. ნამდვილად ბედნიერებაა როცა იმედი არ გაგიცრუვდება და სწორედ ისეთი ადამიანი შემოვა აუდიტორიაში, როგორზეც ოცნებობდი, როგორიც წარმოგედგინა. აუდიტორიაში შემოდის კაცი, რომელსაც თან შემოაქვს უსაზღვრო სითბო, სიკეთე და სიყვარული.

ბატონი დავითი თანამედროვე ქართული ენის კურსს გვიკითხავდა. ჩვენი ჯგუფის კურატორიც იყო. საოცარ სითბოსა და სიყვარულს იჩენდა თითოეული სტუდენტისადმი. არ იყო ჯგუფში სტუდენტი, რომლის შესახებაც მას დაწვრილებით არ სცოდნოდა ყველაფერი-რა უჭირდა, რა ულხინდა. სწორედ ამიტომ უყვარდათ ასე გამორჩევი სტუდენტებს, ბავშვივით გულლია იყო, არაფერი დაუმაღლავს ჩვენთვის და ჩვენც მასთან გავრბოდით გაჭირვებისას, რადგან ვიცოდით, რომ მისი სახით გვერდში გვყავდა საყვარელი პროფესორი და საიმედო მეგობარი, რომელიც მუდამ სტუდენტის კეთილდღეობისათვის ზრუნავდა.

პირადად ჩემი ახლო ურთიერთობა ბატონ დავითთან და მის ოჯახთან შემდეგმა ამბავმა განაპირობა. ეს იყო პირველ კურსზე, ერთ დღეს თემა დაგვანერჩინა “ჩემი თავგადასავალი”, რომელშიც დაწვრილებით უნდა მოგვეთხრო საკუთარ თავზე, ოჯახზე. ბატონ დავითს სახლში მისვლისთანავე წაუკითხავს ჩვენი ნა-

წერები და აღმოჩნდა, რომ მე მისი ძველი მეგობრის ქალიშვილი ვიყავი. მეორე დღესვე დიდი სიხარულით მაუწყა ამის შესახებ. ჩემთვის დაუვინყარი იქნება 1978 წლის 1 იანვარი, როდესაც ბატონი დავითი ესტუმრა ჩვენს ოჯახს მეუღლესთან ერთად და მისთვის ჩვეული სიტყბო და სიყვარული შემოიტანა ახალი წლის პირველ დღეს. მე ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემი “მიზეზით” ერთმანეთს შეხვდა ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი.

ისე როგორც ბატონმა დავითმა, ჩვენც - მისმა ტუდენტებმა ბევრი რამ ვიცოდით მის შესახებ. ვიცოდით თუ როგორ იბრძოდა დიდი სამამულო ომში. როგორ უყვარდა ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედ. ინსტიტუტი, სადაც წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს. ვიცოდით, რომ ბატონი დავითი იყო მოსიყვარულე მეუღლე და მზრუნველი მამა. მას ძალიან უყვარდა მისი მშობლიური კუთხე - ზესტაფონი, ასევე დიდ პატივს სცემდა მშობელი ხალხი ბატონ დავითს.

უამრავი ხალხი დაესწრო მის დაკრძალვას ზესტაფონში, მრავალი გამოსათხოვარი სიტყვა უთხრეს მას მეგობრებმა, ახლობლებმა, სტუდენტებმა. ჩვენც ვესწრებოდით დაკრძალვას და არ გვჯეროდა, რომ ბატონი დავითი ცოცხალი აღარ იყო, უფრო სწორედ, არ გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ დადგებოდა პირველი სექტემბერი და თანამედროვე ქართულ ენას დავით გენაძე არ წაგვიკითხავდა ისე ომანიანად, როგორც მას ჩვეოდა ხოლმე, აღარ შემოგვიღებდა აუდიტორიის კარს და აღარ მოგვიკითხავდა მისთვის ჩვეული კეთილი დიმილით, რომლითაც ასე შეგვაყვარა და დაგვამახსოვრა თავი. საცაა წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ბატონი დავითი გარდაიცვალა, კიდევ გაივლის მრავალი წელი, მაგრამ ჩვენი საყვარელი პროფესორის - დავით გენაძის სახელს ყოველთვის დიდი პატივისცემით და მოკრძალებით გაიხსენებენ მისი ყოფილი სტუდენტები.

ქეთიწო ახაიშვილი.

პირველ კურსზე

პროფესორი ასე ახლოს არასოდეს მინახავს და როდესაც დავით გენაძე გაგვეცნო, ჩემი წინანდელი წარმოდგენები მთლიანად წაიშალა და დაიმსხვრა. ამდენი სიტბო და გულისხმიერება არც ერთი უბრალო მასწავლებლიდანაც არ მიგვრძნია. ერთნაირი ყურადღება ყოველ ჩვენს პიროვნების ინტერესებისადმი, სურვილისადმი-ჩვენგან სიყვარულს და პატივისცემას ინვევდა მის მიმართ.

დალღილ-დაქანცულს სასიამოვნოდ ჩაგვესმოდა ბატონი დავითის ლექციები, მისი დარიგებანი და ჭკუის სწავლება. მის კაბინეტში ვიკრიბებოდით, აუდიტორიის უქონლობის გამო. ვიცოდით, ისიც დილიდან უნივერსიტეტში იყო და გვიკვირდა, გვშურდა, მისი დაუღლელობა, მისი ენერგიული სიტყვა და შეძახილი. ოთახში მთანმინდიდან მომღიმარი მთვარე შემოგვეცქეროდა, ხან დალეული, ხანაც სავსე, ბადრი მთვარე. ყველაფერი გავდა ახდენილ ოცნებას. ბატონი დავითი ყოველთვის ჩაგვეკითხებოდა ჩვენი პირადი თუ შემოქმედებითი საქმეების შესახებ. მაყვალა გონაშვილისა და მანანა ბეგიაშვილის აღმოჩენით კი ფრთაშესხმული დადიოდა. მაყვალა პოეტესა იყო, მანანა ნამდვილი პუბლიცისტური მსჯელობის გოგო, სხვები კი “აღმოუჩენელი ტალანტები” ვიყავით-მისი თქმით, გულს არაფერზე გვწყვეტდა. ოღონდ კაცმა მოინდომოს და ყველაფერს მიანღვესო, თვით პროფესორობასო.

დიდი სურვილი გაუჩნდა, რომ ის ყოფილიყო ჩვენთან მეოთხე კურსზეც, რადგან ძალიან მოეწონა ჩვენი ჯგუფი, თუმცა არ დასცალდა....

მისი ლექციები ყოველთვის სიახლეს წარმოადგენდნენ ჩვენთვის. იგი ინყებოდა საინტერესო წიგნების გაცნობით. თითქმის ზეპირად იცოდა, ვის რა ხასიათის წიგნი უნდოდა. ინერდა ხოლმე თავის გულის ჯიბის, პატარა ბლოკნოტში და ყოველთვის მოჰქონდა, ოღონდ კი სურვილი, ინტერესი გამოეჩინა ვინმეს. ის უსათუოდ მოძებნიდა და შემდეგ მეოთხედის ბოლოს მოიკითხავდა თავის “ვალეზს”.

მე, პირადად, ერთხელ, ლექციის დროს ვახსენე უშანგი ჩხეიძის თაყვანისმცემელი ვარ-მეთქი. ბატონმა დავითმა ჩაინიშნა, ჩვეულებრივ და შემდეგ ლექციაზე სათუთად შეხვეულ წიგნებს შორის, უშანგი ჩხეიძის წიგნიც აღმოჩნდა.

განუზომელი პატივისცემა და სიყვარული კიდევ მეტად გამიათქევდა. ერთხელ ახალგაზრდა ბიჭმა ჩაგვიტარა, ბატონი დავითის ნაცვლად, ლექცია, მაგრამ საშინლად დავიქანცეთ და გავვოცდით. ვერც იმ ყმანვილის ელეგანტურმა გარეგნობამ და ვერც საგნის ცოდნამ ვერ მიგვიზიდა. მეორე ნახევრიდან ორი გოგონას მეტი, ყველანი წავიდნენ. ამის შესახებ შემდეგ ბატონმა დავითმა გვისაყვედურა - ის კარგი ყმანვილია, ნიჭიერი, განათლებული, რატომ ნახვედით მეორე ლექციიდანო? ჩვენ თავჩაღუნულნი ვიდექით, ვერაფრის თქმას ვბედავდით, შემდეგ ისევ თვითონ გაგვიღიმა, ბეჭებზე ხელი მოგვითათუნა და სიყვარულით გვითხრა: სხვა დროს ასე აღარ მოიქცეთო.

ყველაზე მეტად მისი ბოლო ლექცია დამამახსოვრდა. პროგრამა როდესაც დავამთავრეთ, ბატონმა დავითმა ფანქრით დაწერილი ფრონტული დღიური გვაჩვენა. ყველანი გასუსულნი ვუსმენდით, კითხულობდა, წუთით ჩვენც სანგრებში, ჯოჯოხეთურ ქარცეცხლში გვეგონა თავი. საინტერესოდ ყვებოდა მის თანამებრძოლებზე. რომელი ერთილა ნაგიკითხოთო, ჩენთვის საინტერესო სიუჟეტს ეძებდა, ზარმა მოუსწრო... თავი რომ აიღო, ცრემლი შევნიშნეთ თვალებზე, მაგრამ მაინც თავისებურად იღიმებოდა, თან ცდილობდა, თავშებრუნებულს, ცრემლი შეუმჩნევლად მოეწმინდა. ზარის დარეკვა ვერ ვიგრძენით, ყოველთვის ათი-თხუთმეტი წუთით ადრე გვიშვებდა ხოლმე, გვეტყოდა, შორს ცხოვრობთ, დალღილები იქნებით, ეს ათი წუთიც გაჩერებამდე მისვლისთვის დაგჭირდებათო.

ყველაზე გვიან მე გამოვერკვიე, ჩემი დღიურები გამახსენდა. სურვილი გამიჩნდა ბატონი დავითისათვის წამეკითხებინა, მაგრამ ალბათ სულგრძელობა არ მეყო, გამბედაობამ მილაღატა, იქ ხომ არც საქვეყნო საქმეებზე ეწერა, არც ომზე და ქართველზე. სიყვარულის გამხელა კი თავხედობათ მივიჩნიე. დროებით უკან დავიხიე.

ჩათვლის დღეს მანანა არ გამოცხადდა, გათხოვების გამო, მაგრამ ბატონმა დავითმა უსიტყვოდ ჩაუთვალა. რომ ვიცი მისი ამბები, ვერ მოვიდოდაო. შემდეგ კი ახალდაქორწინებულებს კორიდორში შეხვდა და მამასავით მიულოცა გაბედნიერება.

ბოლო დროს სიყვარულით დავცილდით, თითქოს უნდოდა ყველაფერი ეთქვა, მოეთხრო, სამუდამო სახსოვრად დაეტოვა თავისი გამოცდილება და ბოლომდე მაინც ვერ ეთქვა, შემოდგომაზე ხომ შევხვდებით, ახლა ჯერი თქვენზე იყოსო.

დავალუბების რვეულში ჩაინიშნა ჩემზე “წუნუ დალაქიშვილი სექტემბერში მომიტანს ორმოცდაათ სტილისტურად გაუმართავ წინადადებებს. აბა შენ იცი როგორ მოინადინებო” - ხელი ჩამომართვა. მე შევეყვინდი და საბოლოოდ გავუბედე - “ბატონო დავით, ჩემი პატარა მოთხრობა “პირ-

ველი სხივის” რედაქციაში მივიტანე, მითხრეს დაგიბეჭდავთო. თან თუ გაქვს გამაცანო - მითხრა. არა, ეს ჩემი სიურპრიზი იყოს მეთქი - შევპირდი.

სიურპრიზი კი სიურპრიზად დარჩა....

P.S. ბატონმა დავით გენაძემ ჩვენი ჯგუფიდან რამდენიმე სტუდენტს გაგვაცნო ილია ნატროშვილი. მოიტანეთ ლექსები და ყველაფერი, რასაც წერთო- გვითხრა ილიამ. ეს გაცნობა კორიდორში მოხდა. ბატონმა დავითმა ჩვენ დაგვახასიათა, როგორც ნიჭიერი დამწყები ჟურნალისტები. ამდენად, ილია ნატროშვილთან ეს ჩვენი ურთიერთობაც მისი დამსახურებაა.

... მაგონდება შეხვედრა ლევან სანიკიძესთან. იმ დროს მან დაამთავრა “უქარქაშო ხმლები” წერა. ბატონმა დავითმა გულსხმიერად გაგვაცნო ლევანი. თავის კაბინეტში ლექციაზე მოიწვია. დაუსვით კითხვები, რაც გაინტერესებთო. ბატონ ლევანსაც ძალიან ესიამოვნა მომავალ ჟურნალისტებთან შეხვედრა.

ის ლექცია, მართლაც, შთამბეჭდავი იყო ყველა ჩვენთაგანისათვის და მთელი ცხოვრების მანძილზე გვემახსოვრება.

წესი დალაქიშვილი

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. IV კურსი

მოგონებანი დავით გენაძის შესახებ

ლეგენდასავით შემორჩა დავით გენაძის სახელი ჩვენს გულებში, დაუვინყარი და მუდამ დასამახსოვრებელი სახელი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ადამიანებზე, განსაკუთრებით სტუდენტებზე. სულ თვალწინ მიდგას მისი მუდამ ხალისიანი და გაბრწყინებული თვალები, მისი ბევრის მთქმელი და სანდომიანი სახე. სამი წელი არც თუ ისე ბევრია ადამიანის გასაცნობად, მაგრამ ამ სამმა წელმა ისე შეგვაყვარა და დაგვაახლოვა მასთან, რომ თითქოს ნახევარი საუკუნე ვიცნობდით. ბევრი რამ მახსენდება მისი ურთიერთობიდან სტუდენტებთან. არ შეიძლება არ გავიხსენო ერთი ამბავი. ერთ დღეს ბატონმა დავითმა დაგვავალა წერილები დაგვემუშავებინა. მეორე დღეს მივედი კაბინეტში და წერას შევუდექი. ამ დროს შემოვიდა იგი ხმაურით, სიცილით, ვილაცასთან ერთად, რომ დამინახა, გამიცინა, ხელი ჩამომართვა და როგორც პატარა ბავშვი, ისე შემაქო. როცა წერას მოვრჩი და გამოვდიოდი კაბინეტიდან, დავითმა შემაჩერა და მომცა პატარა ნიგნი, რომლის ავტორი თვითონ გახლდათ. ზედ წაანერა - “ჩვენს ნიჭიერსა და ბეჯით სტუდენტს - მთვარისას! ავტორი. 30.X.78”

უსაზღვრო იყო იმ დროს ჩემი სიხარული, ისე გამოვვარდი გარეთ და ისე ჩამოვირბინე კიბეებზე, რომ ვერც გავიგე როგორ მოვხვდი ქუჩაში. სახლში რომ მივედი, ყველას ვაჩვენებდი. მიხაროდა ბატონი დავითის ასეთი ყურადღება ჩემს მიმართ.

მე ის მუდამ უკვდავი მეგონა.

“სიკვდილს, ო სიკვდილს

სულაც არ ნიშნავს,

დავით, ეგ შენი გარდაცვალება”.

მართლაც, ვერ წარმომიდგენია მისი სიკვდილი, ყოველთვის ველოდი, ასე მგონია ახლა შემოვა-მეთქი ლექციაზე, ხელს ჩამოგვართმევს ყველას სათითაოდ, გამოგვკითხავს ჩაბარებული გამოცდების ამბავს და გვეტყვის: “აბა, შევუდგეთ ბავშვებო ახლა საქმეს” თითქოს თვალწინ მიდგას მისი სახე, ხმა, სიარული. ყოველ მის მოქმედებაში აღიბეჭდებოდა უბრალოება, ნდობა, სიყვარული საქმისადმი და ყოველგვარი სიკეთე.

განა ასეთი ადამიანი დასაავინყებელია და გასამეტებელია მინისათვის, იმ მინისათვის, რომელიც ადამიანებს ატყვევებს და სამუდამოდ აშორებს ამქვეყნიურ ზეცას და ბედნიერებას.

არა.

მე არასოდეს დამავინყებდა იგი ჩემს ცხოვრებაში. დავამთავრებ უნივერსიტეტს, დავინყებ მუშაობას, მექნება ოჯახი, მაგრამ ის მუდამ მემახსოვრება. მუდამ მემახსოვრება მისი მამა-შვილური ზრუნვა სტუდენტებზე, თითოეულ ჩვენთაგანზე.

უკანასკნელად იგი 1979 წლის 25 ივნისს ვნახე. ბოლო გამოცდას ვაბარებდით, კიბეებზე შემომხვდა, ხელი ჩამომართვა ორი დღის უნახავს და სიცილით მეკითხებოდა გამოცდების ამბავს. ბოლოს გამომემშვიდობა: “აბა შენ იცი მთვარისა, როგორ დაისვენებ ამ ზაფხულს და სექტემბერში ახალი ენერგიით შევუდგეთ მეცადინეობასო”.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. ძალიან ხშირად ვიხსენებ ამ ბოლო სიტყვებს და სინანულის ცრემლები მომდის თვალთაგან.

მთვარისა ელიზბარაშვილი

თსსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. 1980 წ.



პირველად იყო სიკეთე

გამოუცნობი ადამიანები სიკეთე, დიდი სულიერი სიმდიდრეა, დედის რძესავით საჭირო საარსებოდ, ყველანაირ ყინულს რომ ადნობს. ადამიანური სიტბოაო იგი, - დიდუდასაგან გამიგონია. მართლაც, რა შეედრება სიკეთით სავსე თვალებს ამ ქვეყნად.

... იგი მაშინ გავიცანით, როდესაც ცხოვრებამ ფართოდ გავვილო თავისი თბილი უბე. პირველკურსელების ცხრილში ქართული ენის გრამატიკის გასწვრივ აუდიტორიის ნომერთან ერთად ლექტორის ვინაობა იყო აღნიშნული - „პროფ. დავით გენაძე“.

მოუთმენლად ველოდით ლექციის დაწყებას. კარი გაიღო და საშუალო ტანის თმაჭალარა კაცი გამოჩნდა, პორტფელი მაგიდაზე დადო, ღიმილით გადმოგვხედა და გვითხრა:

-გამარჯობათ ახალგაზრდებო!

ტკბილად იყო ნათქვამი ეს სიტყვები. მათ თითქოს დასაბამი მისცეს ჩვენს უშუალო, მეგობრულ ურთიერთობას, რომლის ნაკლებობაც ერთხელაც არ გვიგვრძნია ჩვენი ერთნაირი ნაცნობობის განმავლობაში.

ყველას მიგვიხაროდა ქართული ენის გრამატიკის ლექციაზე: ვიცოდით იქ დაგვხვდებოდა თაფლისფერ თვალებიანი კაცი, კეთილად რომ გაგვიღიმებდა და მზრუნველ მზერას შემოგვაგებებდა.

- კარგი ქალი ხარ შენ, ყოჩაღ! - შეგვაქებდა მცირედი წარმატების დროსაც კი.

უნივერსიტეტში ტელევიზიის გადამღები ჯგუფი იყო მოსული. ამზადებდნენ გადაცემას “გაუმარჯოს გულახდილობას” რომელიც სტუდენტთა და პედაგოგთა დამოკიდებულებას ეხებოდა. გადაწყვიტე დავით გენაძეზე მესაუბრა. ვლელავდი, სიტყვებს თავს ვერ ვუყრიდი. მინდოდა ბევრი მეტქვა ამ კეთილ კაცზე. ძველად საქართველოში აღმზრდელ-მასწავლებელს მოძღვარი ერქვა. დავით გენაძეც ჩვენი მოძღვარი იყო. იგი მშობლიური ენის გრამატიკასთან ერთად ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გვასწავლიდა სიკეთეს, თავმდაბლობას და უხვად გვინანილებდა თავისი გულის სიტბოს.

ყველას გული დაგვწყდა, როდესაც გამოცდაზე გვითხრა, მომავალი სასწავლო წლიდან ერთად აღარ ვიმუშავეთო. მოვიწყინეთ, რა ვიცოდით, თუ ეს მასთან უკანასკნელი საუბარი, უკანასკნელი შეხვედრა იყო და ორიოდ დღის შემდეგ...

ივნისი იწურებოდა, გადაუღებლად წვიმდა იმ დღეს თბილისში, ჩვენ ზესტაფონში მივემგზავრებოდით, რომ სამუდამოდ გამოვთხოვებოდით ამ ზნეკეთილ ადამიანს, ერთხელ კიდევ შეგველო თვალი იმ კაცისათვის, ვინც ასე ჩინებულად გვასწავლა ადამიანებს შორის პატივისცემისა და სიყვარულის ფასი.

პატარა ეზო ხალხით იყო სავსე. ქუჩაშიც უამრავი ხალხი იდგა. ტანში გვზარავდა სვანური მოთქმის გაგონებისას. გაოგნებული ვიყავით: ძნელი იყო იმ აზრთან შეგუება, რომ უნივერსიტეტის დერეფნებში ვეღარ შევხვდებოდით მას, აღარ შემოგვაგებებდა სათნო ღიმილს, ვარლამ თოფურისას სახელობის ქართული ენის კაბინეტის კარს როცა შევალბდით.

- გზა მშვიდობისა, ტკბილო კაცო! - თითქოს შორიდან ჩაგვესმა ეს სიტყვები. ცრიდა. უხმოდ დავიშალეთ, ცრემლებს ვუმაღავდით ერთმანეთს...

გაივლის წლები. მუდამ გვემახსოვრება მისი დიდრონი, თაფლისფერი, სიკეთით სავსე თვალები, სპეტაკი თოვლისფერი თმები, ალალი ღიმილი და ბუხუნა ხმით ნათქვამი:

-გამარჯობათ ახალგაზრდებო!

ნიკო ქვიციანი

სალასი და განუმეორებელი

გაზაფხულია თბილისში, თბილი, ოდნავ ნესტიანი ამინდი, კვირტებდაბერილი ხეები, გამოცოცხლებული სახეები, იმედიანი ღიმილი. ღიმილი თუ გულიანი სიცილი, მაგრამ არა ისეთი, თქვენ რომ იცოდით, ბატონო დავით.

ყოველ ჩემს მეგობარს, ისე, როგორც მე, აღარ მიხარია უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, რადგან ამოდ დაუწყებთ დერეფანში ძებნას დავით გენაძეს, ადამიანს, კაცს, რომელსაც მუდამ გულთან მოჰქონდა ჩემი და ასობით ჩემისთანა უბრალო სტუდენტის თუ ისე ადამიანის გასაჭირი.

რამდენი რამე შეიძლება დაიტოს ადამიანის გულმა, კაცური კაცის მაღალმა სულმა და აკი ველარც დაიტია.

პირველად შეუძლებლად მიგვაჩნდა უთქვენოდ ქართული ენის ლექციის ჩატარება, ვერ წარმოგვედგინა, რომ აღარ შემოხვიდოდით კონსპექტებით, წიგნებით ხელში დათქვენი განუმეორებელი ბუბუნა ხმით აღარ გვეტყოდით: “გამარჯობათ თქვენი”.

თქვენთან იოლი იყო ჩვენთვის ლექცია, სემინარი, საკონტროლო წერა. არასოდეს არ მშინებია თქვენი პრაქტიკუმისა. საოცარი ის იყო, თუ როგორ ახერხებდით მთელი დღის მუშაობით გადაღლილი, საღამოს სტუდენტებს ასე დაუღლეელი და ხალისიანი გვჩვენებდით. მასხოვს, როდესაც თქვენი დალუპვის ამბავი შევიტყვეთ, თითქმის ყველა უკლებლივ ამას ვამბობდით - “დავით გენაძის ლექციაზე გვიხაროდა მოსვლა და ახლა რაღა გვინდა უნივერსიტეტში!?”.

მაგრამ დრო მართლაც მკურნალი ყოფილა. მიიწურა შემოდგომა, ზამთარი. გაზაფხულმა კარზე მოგვიკაკუნა და ცხოვრება კვლავ თავისი კალაპოტით მიედინება. ტკბილი, ხანმოკლე სიზმარივით გვეჩვენებდა ყველას და ასევე მოულოდნელად, სიზმარივით ნახვედით.

თქვენი სახე ცოცხლად შემოინახა ჩვენმა წარმოდგენამ, ამას ქალბატონ მედიკოსაც უნდა ვუმადლოდეთ, მისი თხოვნით არავინ ახლო ხელი თქვენს წმინდა სახეზე გადაფარებულ სუდარას - “დაე, ნუ ნახვენ მისი სტუდენტები დათიკოს შეცვლილ სახეს, ახსოვდეთ ისეთი, როგორიც იყო”.

გასულ გაზაფხულზე, სემესტრის ბოლოს უკანასკნელი ლექციიდან პირველად გამოგვიმვით რამდენიმე წუთით ადრე. მომდევნო ლექცია მეორე კორპუსში გვექონდა, ჯერ ადრე იყო და ამიტომ უნივერსიტეტის ბაღში სკამზე ჩამოვსხედით. ცოტა ხნის შემდეგ კიბეებზე თქვენც გამოჩნდით, თეთრი კიტელით, რომ დაგვინახეთ, თითქოს გულმა გიგრძნოთ რომ უკანასკნელად გხედავდით, მოგვიახლოვდით და ჩვენს გვერდით დაჯექით. ყოველ ჩვენგანს გაგვესაუბრეთ, იხუმრეთ, არცერთი არ დაგვრჩენილვართ ყურადღების გარეშე.

ჩვენს ჯგუფს ექსკურსიაზე უნდოდა კახეთში წასვლა და თქვენც გთხოვეთ, რომ წამოსულიყავით, თუმცა იმედი არ გვექონდა რომ თანხმობას გვეტყოდით, თქვენ მოულოდნელად თანხმობა განაცხადეთ, “დიდი სიამოვნებითო”, თანაც გვირჩიეთ - კახეთში შემოდგომით ჯობია წასვლა და ამიტომ ჩვენი ექსკურსია სექტემბრისთვის გადავდეთ.

თქვენ კი პირობა ველარ შეგვისრულეთ, სულ რამდენიმე დღეში თქვენი დალუპვის ამბავი შევიტყვეთ.

ცხოვრების ჭირ-ვარამ გამოვლილი, ნაშრომი, გადაღლილი, მაგრამ მაინც ხალისიანი, შემოდგომის მზეს მაგონებთ რატომღაც, მართლაც შემოდგომისა და არა ზამთრისა. ზამთრის მზე ხომ სითბოს მოკლებული და უხალისოა, თქვენ კი სიცოცხლე გწყუროდით, ყველასთვის სიკეთე გსურდით, აბნევდით ირგვლივ ამ სიკეთეს, ირგვლივ მყოფთ აბედნიერებით და თქვენც ბედნიერი იყავით, როცა თქვენი სიკეთის ნაყოფს ხედავდით. ჩემთვის ძნელია მოგონების დანერა თქვენზე, თქვენ ხომ შემთხვევითი ადამიანი არ იყავით ჩვენთვის, რომ მოჩვენებითი სითბო გამოგეჩინათ და შემდეგ ამ შემთხვევაზე მოგონება დამეწერა.

თქვენზე შეუძლებელია მოგონების დანერა, იმიტომ რომ მოსაგონებელი ბევრია და იგი ჩვენშია გაერთიანებული. ეს იმიტომ, რომ მუდამ ერთნაირად ხალასი და განუმეორებელი იყავით, როგორც მზე გარდასული შემოდგომისა: დაღლილი, მაგრამ მაინც თბილი, მშრომელი და მუდამ ალერსიანი.

მარინე თაბორიძე

IV კურსის სტუდენტი

დავით ოქროპირის ქე გენაძე

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

I. დავით ოქროპირის ქე გენაძე ქართული საენათმეცნიერო სკოლის ღირსეული წარმომადგენელია. იგი 31 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ფართო და მრავალმხრივი იყო დავით გენაძის საკვლევადიებო ინტერესების სფერო. მის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომლებშიც სათანადო სიღრმით გაშუქებულია ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის პრობლემატური საკითხები. დავით გენაძის ძიებისა და რუდუნების შედეგებზე საუკეთესოდ მეტყველებს მეცნიერული ხასიათის ის სიახლენი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ქართველოლოგიისათვის. არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა მან აგრეთვე ქართული ენის სწავლების საკითხებს.

დავით გენაძე იყო ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, მისთვის ჩვეული ენერგიითა და მონდომებით ემსახურებოდა მეცნიერული და პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეს.

საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებამ. განსაცვიფრებელმა ენერგიამ, მომადლებულმა ნიჭმა და გულმოდგინებამ დავით გენაძეს სიყვარული, პატივისცემა და ავტორიტეტი მოუპოვა სამეცნიერო წრეებში და სტუდენტ ახალგაზრდობაში.

დავით ოქროპირის ქე გენაძე დაიბადა 1917 წლის 28 აგვისტოს ქ. ზესტაფონში, გლეხის ოჯახში.

1936 წელს დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

19385 წლიდან სწავლა განაგრძო ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

მე-4 კურსზე ყოფნისას, 1941 წელს, მობილიზაციის წესით გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. 1941-1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ამ ხნის მანძილზე მან გაიარა საბრძოლო ცხოვრების მეტად რთული და ძნელად სავალი გზა. დაიჭრა ორჯერ. გმირობისა და თავდადებისათვის დაჯილდოვებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე საბრძოლო მედლებით.

1944 წლის მარტში, ყირიმის ნახევარკუნძულზე წარმოებული ბრძოლების დროს, მიიღეს სკკპ წევრად.

1947 წელს დემობილიზაციის წესით დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან და სწავლა განაგრძო ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. 1948 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და როგორც ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა, ქართული ენის კათედრის შუამდგომლობით დატოვებულ იქნა ამავე კათედრაზე სამუშაოდ.

1949 წელს დავით გენაძე ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის არსებულ ასპირანტურაში ქართული ენის სპეციალობით (ხელმძღვანელი პროფ. გიორგი როგავა), ასპირანტურა დაამთავრა 1952 წელს.

1953 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დავით გენაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად “გარდამავალი ზმნის დრო-კილოთა მე-3 ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში”. 1955 წელს არჩეულ იქნა დოცენტად.

1961 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბდა პედაგოგიური ფაკულტეტის მეთოდისკათა კათედრა. დავით გენაძე ამ კათედრის გამგედ მუშაობდა 1968 წლამდე.

1968 წელს იგი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე დოცენტად, ამვე დროს ასრულებდა კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობას.

1970 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დავით გენაძემ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მისი კვლევის ობიექტი ამჯერად დიდი ქართველი მწერლისა და ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის საკითხების გარკვევა შეადგენდა. 1973

წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. ამ წლიდან მოყოლებული სოცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დავით გენაქი დასახელებული კათედრის პროფესორია.

დავით გენაქის მოღვაწეობა მარტო უნივერსიტეტით არ შემოიფარგლებოდა. იგი წლების განმავლობაში იყო საქართველოს სსრ უმაღლესი განათლების სამინისტროს ქართული ენის მეთოდური კომისიის თავმჯდომარე.

მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე. ყველა მოვალეობას ასრულებდა პირნათლად და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით.

მთავრობამ ჯეროვნად დააფასა დავით გენაქის პედაგოგიური, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოვებული იყო „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით და „საპატიო ნიშნის ორდენით“

1979 წელს წარადგინეს „შრომის ვეტერანის“ წოდებაზე, თუმცა აღარ დასცალდა, ამ წოდების მინიჭებით გამოწვეული სიხარული განეცადა - მოულოდნელად გარდაიცვალა 1979 წლის 28 ივნისს. წავიდა ჩვენგან შემოქმედებითი მომნიჭების ხანაში მაშინ, როცა ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მეცნიერებისა და ხალხისათვის.

ჯერ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი კითხულობდა ლექციების კურსებს თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში, სინტაქსში, ძველ ქართულ ენაში, სტილისტიკასა და ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიაში.

სტუდენტ-ახალგაზრდობაზე უსაზღვროდ შეყვარებული დღენიადაგ მათ წრეში ტრიალებდა, შესაქებს შეაქებდა, გასაკიცხსაც გაკიცხავდა, მაგრამ გაჭირვებაში შველა იცოდა. სიკეთეს უხვად სთესდა და სიყვარულსაც უხვადვე იმკიდა. მშობლიურ ენაზე უსაზღვროდ შეყვარებული სტუდენტებსაც უნერგავდა მისადმი სიყვარულს და პატივისცემას. თავისი შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, საქმისადმი ერთგულებით, გულის სითბოთი და მოქალაქეობრივი სისპეტაკით იგი მართლაც რომ მისაბაძი მაგალითი იყო მათთვის.

2. დავით გენაქემ ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურა გაამდიდრა საყურადღებო გამოკვლევებით, რომლებმაც სპეციალისტების დიდი მონონება და აღიარება დაიმსახურა.

ქართული ენის სამეცნიერო კვლევით იგი ადრინდნვე დაინტერესდა. გასაოცარი ინტუიცია და გულმოდგინება, ერუდიცია და კვლევის უზადო ნიჭი, ფართო განათლება და მეცნიერული თვალთახედვა იმთავითვე დაეტყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა სპეციალისტის შრომებს.

მისი პირველი ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა “გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა III სერიის ფორმები ძველ ქართულში” საკანდიდატო დისერტაციად იყო გამიზნული. გამოკვლევის დიდი ნაწილი წერილების სახით გამოქვეყნდა ქუთაისის პედინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში. (ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამ წერილების შეკვრა და ცალკე წიგნად გამოცემა ვერ მოხერხდა, განზრახული ქონდა კი).

აღნიშნულ გამოკვლევაში ავტორი ეხება ქართული ენის გრამატიკული წყობის ერთ მეტად საინტერესო საკითხს: რა ცვლილებები განიცადა ისტორიული განვითარების პროცესში გარდამავალ ზმნათა III ჯგუფის ფორმებმა წარმოებისა და ფუნქციონალური გამოყენების თვალსაზრისით. ცვლილებების პარალელურად ყურადღება გამახვილებულია ძველი და ახალი ქართულისათვის დამახასიათებელ საერთო მოვლენებზე, რაც განპირობებულია გრამატიკული წყობის განვითარების წელი ტემპით, მისი გამძლეობით. აქვე გარკვეულია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის შემონახული ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ნორმები საერო ხასიათის ადრინდელ ლიტერატურულ ძეგლებსა და ქართული ენის დიალექტში.

საანალიზო მასალად ავტორს გამოყენებული აქვს უკვე გამოცემული ძეგლების დიდი ნაწილი, შემდეგდროინდელი საერო მწერლობის მთავარი ნაწარმოებები, XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა რამდენიმე თხზულება და ქართული ენის დიალექტთა მონაცემები.

გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმათაგან შედარებით უფრო ვრცლად, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, განხილულია თურმეობითი I და თურმეობითი II.

წყაროებიდან ამოკრეფილი მასალა გაანალიზებულია შემდეგი საკითხების მიხედვით: რისგან იწარმოება აღნიშნული ფორმების ფუძე, რა აფიქსებით აღინიშნება რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის პირი და რიცხვი, როგორაა წარმოდგენილი, დროის, კილოს, აქტის, ქცევისა და ასპექტის კატეგორიები თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორის ფორმებში, როგორია ამ ფორმების გავრცელების არე ძველსა და ახალ ქართულში. რაც შეეხება კავშირებით III -ს,

ეს ფორმა ძველ ქართულში ისე იშვიათია, რომ დასახელებულ საკითხთაგან მხოლოდ რამდენიმეს ეხება ავტორი ამ ნაშრომში და ისიც ზოგჯერ არასაკმაო სისრულით.

გზადაგზა ავტორი ცდილობს სათანადო შესწორებები შეიტანოს სამეცნიერო ლიტერატურაში ნამოყენებულ და გაბატონებულ დებულებებში, რის საჭიროებასაც ფაქტების სრული გათვალისწინება წარმოშობს.

ოფიციალურმა ოპონენტმა: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ვ. თოფურია და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოც. ა. მარტიროსოვმა მაღალი შეფასება მისცეს დავით გენაძის ნაშრომს.

ვ. თოფურია თავის რეცენზიაში აღნიშნული ნაშრომის შესახებ წერდა: “ავტორის მიერ მოცემული დრო-კილოთა ფორმების ანალიზი სწორია და სანდო. მიღებული მთავარი დასკვნები მართებული. შრომა დაწერილია საქმიანი და მომჭირნე ენით. ავტორმა აღწერა III სერიის დრო-კილოები, გამოყო თითოეული მათგანის ფუძე, რომელსაც შეიცავს III სერიაში შემავალი ესა თუ ის ნაკვთი (მწკრივი): თურმეობითი პირველი, თურმეობითი მეორე, კავშირებითი მესამე და ხოლმეობითი მესამე, უჩვენა პირის, რიცხვის, კილოს, დროს და სხვა კატეგორიათა გამოხატვის საშუალებანი და შეეცადა მოეცა ბევრი მათგანის წარმოშობისა და განვითარების სურათი. შეეცადა ეჩვენებინა III სერიაში შემავალი ამა თუ იმ ერთეულის გავრცელების არე, როგორც ძველ ქართულში, ისე ახალში... ძეგლების მიხედვით ნაჩვენებია III სერიის ფორმათა რაოდენობა და მათი ცვლის დინამიკა... ავტორმა გადადგა ნაბიჯი წინ ქართული ზმნის ისტორიულ ასპექტში შესწავლის საქმეში. ამდენად სადისერტაციო შრომა დავით გენაძისა წარმოადგენს გარკვეულ წვლილს ენათმეცნიერებაში”

ასეთივე აზრისაა ა. მარტიროსოვი. იგი თავის რეცენზიაში წერს: “სპეციალური ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნისა და ძველი ქართული ენის გამოცემული ძეგლების ანალიზის საფუძველზე დისერტანტი აყენებს და ზოგჯერ წარმატებით წყვეტს ძველ ქართულში გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა III ჯგუფის წარმოქმნის ცალკეულ საკითხებს. ამ შრომით დისერტანტმა გამოამჟღავნა ძველი ქართული ენის საკითხების კარგი ცოდნა და დამოუკიდებელი კვლევის უნარი”.

ძველი ქართული ენის საკითხები საინტერესოდ არის დასმული და გადანყვეტილი დავით გენაძის სახვა შრომებშიც, რომელთა დიდი ნაწილი თეზისებისა და წერილების სახით სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო შრომებსა და კრებულებში, ნაწილი კი გამოუქვეყნებელია და ინახება მკვლევრის პირად არქივში.

დავით გენაძის კვლევის ობიექტს უპირატესად ზმნის თავისებურებათა ანალიზი წარმოადგენს. ცნობილია, რომ ზმნა გრამატიკული სტრუქტურის ყველაზე უფრო რთული უბანია. დავით გენაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად გაართვა თავი ამ სირთულეს და თავის გამოკვლევებში შუქი მოჰფინა მანამდე საიდუმლოებით მოცულ არაერთ საკითხს.

ქუთაისის პედინსტიტუტის ასპირანტთა სამეცნიერო სესიაზე (1950 წ.) დავით გენაძემ წაიკიხა მოსხენება თემაზე “პირველი სერიის მწკრივთა საწარმოებელი აფიქსები ძველ ქართულში”.

მოსხენებამ სპეციალისტთა საყოველთაო მონონება დაიმსახურა. ძველი ქართული ენის მონაცემთა საფუძველზე მასში გარკვეულია ის ცვლილებები, რაც განიცადა ნაკვთთა ამ ჯგუფმა ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე.

მე-3 სუბიექტური პირის ნიშნის ისტორიის განხილვას მიეძღვნა დ. გენაძის გამოკვლევა “სუბიექტის მესამე პირის ნიშანი -დ ძველ ქართულში” (ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XI, 1952 წ.).

ძველი ქართული ენის ჩვენება ხელშესახებად ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში მანამდე გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ მე-3 სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდ რიცხვში -დ სუფიქსიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული (ვ. თოფურია, გ. როგავა)

გაირკვა, რომ -ს, -ა, -ნ, სუფიქსების პარალელირად -დ სუფიქსი მართლაც აღნიშნავდა III სუბიექტურ პირს სტატიკური ვნებითის ანმყოფი: უ პ ყ რ ბ ი ე-დ (იგი), უ ფ ლ ი ე-დ (იგი), ჰ გ ო ნ ი ე-დ(იგი) ... ბ) ნამყო ძირითადისაგან ნაწარმოებ მესამე პირის ბრძანებითის ფორმებში: ქ ა მ ე-დ მან, გ ა მ ო ი ლ ე-დ მან, მ ო ი ყ ვ ა ნ ე-დ, მან... და აგრეთვე გ) გარდამავალ ზმნათა თურმეობითის პირველში: ა ლ უ პ ყ რ ი ე-დ (იგი), მ ი ს წ ა ვ ლ ი ე-დ (იგი)...

სტატიაში “კავშირებითი მეორის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში”. (ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები მე-13, 1956) დ. გენაძე განიხილავს კავშირებითი მეორის საკითხს მიზნის გარემოებითსა და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში. შეპირისპირებულია ამ მიმართებით

ძველი ქართული ენის მონაცემები ახალთან და გამოტანილია დასკვნა: თუ ახალ ქართულში მიზნის გარემოებითა და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში კავშირებითი კილოს გადმოსაცემად II თურმეობითი იხმარება (როცა მთავარი წინადადებების ზმნა წარმოდგენილია წარსული დროის რომელიმე ფორმით), ძველ ქართულში, ახალი ქართულისაგან მკვეთრი განსხვავებით კავშირებითი II-ის გამოყენება დასახელებული ტიპის დამოკიდებულ წინადადებებში ჩვეულებრივი მოვლენაა: „მიერთგან ე ძ ი ე ბ და ჟამსა მარჯუესა რათა მისცეს იგი მათ“ ..., ოთხთ. მ. 26,16.

კავშირებითი II-ის ფუნქციით ახალ ქართულში თურმეობითი II-ის გამოვლენა ერთერთი დამადასტურებელი ნიშანია იმისა, რომ დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები მეორეული წარმოშობისაა. თურმეობითი II, როგორც შედარებით გვიან წარმოქმნილი ნაკვითი, დროთა განმავლობაში იძენს იმ ფუნქციას, რომელსაც ძველ ქართულში, გარკვეულ შემთხვევებში, კავშირებითი II ასრულებდა.

ნაშრომი „სტატიკური ვნებითის -ე სუფიქსის შესახებ ძველ ქართულში“ (ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები ტ.მე-15, 1956) არკვევს ე-ს გენეტიკურ კავშირს სტატიკურ ზმნებში. ავტორის აზრით -ე სუფიქსს სტატიკურ ზმნებში არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არ აქვს. იგი აქ გადმოსული უნდა იყოს I და მე-II პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან, სადაც ამავე პირთა მრავლობითობა აღნიშნულია არა-თ, არამედ -ეთ სუფიქსით. I და მე-II პირის მრავლობითი რიცხვების ფორმები -ე ფუძეს უნდა შეეკედლებოდა მას შემდეგ, რაც მრავლობითი რიცხვის ნიშნად გააზრებული იქნა მხოლოდ -თ. რაც შეეხება მე-3 პირის ფორმას (ჰ გ ო ნ ი ე ს), აქ -ე გაჩენილი უნდა იყოს I და II პირის ფორმათა გავლენით.

თავის მოსაზრებას დ. გენაძე ასაბუთებს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტებით.

ქართული ენის ისტორიის საკითხების განხილვას ეძღვნება აგრეთვე დ. გენაძის შრომები „არსებითი სახელი ძველ ქართულში“ (ქუთაისის პედინსტიტუტის 21 სამეცნიერო სესია, მუშაობათა გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1957), „სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში“ (ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები ტ.მე-17, 1957), „გარდამავალი ზმნების III სერიის ასპექტის შესახებ ძველ ქართულში“, (ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები ტ.23-ე, 1961) და სხვ.

ნაშრომში „გარდამავალი ზმნების III სერიის ასპექტის შესახებ ძველ ქართულში“ ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით და ასკვნის, რომ ძველი ქართული ენის ძეგლთა ჩვენების მიხედვით ასპექტის გამოხატვის უნარი გააჩნდათ მესამე სერიის ფორმებსაც.

წარმატებით იკვლევდა დავით გენაძე ქართველ მწერალთა ენისა და სტილის საკითხებსაც.

ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა უძღვნა მან ცნობილი ქართველი მწერლისა და ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ენის შესწავლას. მისი შრომა „სულხან-საბა ორბელიანის ენა“ („სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“) სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენს, რომელიც წარმატებით დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1970 წლის 2 დეკემბერს. ოფიციალურმა ოპონენტებმა, პროფესორებმა: ა. ლლონტმა, ა. მარტიროსოვმა და ზ. ჭუმბურიძემ საჯარო პაექრობაზე მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ნაშრომს.

მონოგრაფია ემყარება მდიდარ საილუსტრაციო მასალას, ავტოგრაფიულ ნუსხებს, ხელნაწერებს და შეიცავს მანქანაზე ნაბეჭდ 1101 გვერდს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველი ნაწილი გამოკვლევაა, ხოლო მეორე დასახელებული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი (სიმფონია-ლექსიკონი ცალცალკეა შედგენილი თითოეული ძეგლისათვის).

ნაშრომის მიზანდასახულობის შესახებ თვით ავტორი შემდეგ აღნიშნავს: „წინამდებარე ნაშრომიც სწორედ სიბრძნე სიცრუისას“ და „ევროპაში მოგზაურობის“ ენის მონოგრაფიულ შესწავლას ისახავს მიზნად. ნაშრომში მოცემულია ცდა ამ თხზულებათა ენობრივი თავისებურებების დადგენისა, ერთი მხრივ, ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და მეორე მხრივ, საშუალო და ახალი ქართული სალიტერატურო ენისადმი მიმართებით. ყურადღება მახვილდება „სიბრძნე სიცრუისა“ და „ევროპაში მოგზაურობის“ ზოგიერთ სტილურ ნიშანზედაც. ცალკე თავი ეძღვნება იმ დიდ დამსახურებისა და ღვაწლის ნათელყოფას, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის სინმინდის დაცვისა და შესწავლა გავრცელების საქმეში (გვ.11)“

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად წარმატებით განახორციელა მკვლევარმა დასახული მიზანი, სჯობს მოვუსმინოთ ოფიციალურ რეცენზენტებს: „მონოგრაფია ნამდვილად ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა და დიდი მომქანცველი შრომის შედეგია. ავტორს გულდასმით გაუცხრილავს საბა

ორბელიანის ორივე თხზულება, შეუჯერებია მათი ენობრივი ნიშან თვისებები, სკრუპულოზურად გამოუნვლილავს თხზულებათა ენის ფონეტიკური, სტრუქტურული და ლექსიკური თავისებურებები და სწორად უჩვენებია ის უალრესად დიდი როლი, რაც ამ თხზულებებმა ითამაშეს ქართული პროზის განვითარებაში, სერთოდ, და სალიტერატურული ენის გამდიდრებაში, კერძოდ.

შრომა უეჭველად მნიშვნელოვანი შენამატია ჩვენი მეცნიერებისა. ავტორის კვლევაძიების შედეგები ნათლად და სრულად გვიჩვენებს საბას უდიდეს დამსახურებას ქართული სალიტერატურული ენის განვითარებაში. მას ცხოველი ინტერესით გაეცნობიან არამარტო სპეციალისტები, არამედ ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ენა, ვინც თვალყურს ადევნებს მისი განვითარებისა და მეცნიერული შესწავლის ისტორიას,,,

ორივე ძეგლის სიმფონია-ლექსიკონი შედგენილია საქმის პროფესიული ცოდნით, გადმონერილი და გაანალიზებულია ტექსტებში ნახმარი ყველა სიტყვა. სწორადაა ნაჩვენები თოთოეული სიტყვის სემანტიკა და სტრუქტურა. ლექსიკური ერთეულების განმარტების საფუძვლად აღებულია "სიტყვის კონა" და ქართული ენის შემდეგდროინდელი ლექსიკონები" (პროფ. ა. ლლონტის რეცენზიიდან).

დავით გენაძის სადისერტაციო ნაშრომი "სულხან-საბა ორბელიანის ენა", - წერს ა. მარტიროსოვი, - საყურადღებო გამოკვლევაა, რომელშიც მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ვრცლად განხილულია ცნობილი ქართველი მწერლისა და ლექსიკოგრაფის ენის თავისებურებანი. დისერტანტს ყოველმხრივ შეუსწავლია ახალი ქართული ენის ადრინდელი პერიოდის შესანიშნავი ნაწარმოებები "სიბრძნე სიცრუისა" და „მოგზაურობა ევროპაში“. მთლიანი სახით მოუცია მათი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური დახასიათება ძველ და ახალ ქართულთან მიმართებით და შეუდგენია ამ ნაწარმოებთა სიმფონია-ლექსიკონები ლექსიკოგრაფიის თანამედროვე დონის შესაფერისად. სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც დისერტანტის ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობის ნაყოფია, გარკვეული წვლილი შეაქვს ქართული ენის შესწავლის საქმეში. იგი სათანადო სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქართული ენის ისტორიის საკითხების კვლევა ძიებით" (პროფ. ა. მარტიროსოვის რეცენზიიდან).

"დავით გენაძის ნაშრომი სულხან-საბა ორბელიანის შესახებ მრავალ საინტერესო დაკვირვებას შეიცავს და მიღებული დასკვნები ძირითადად გასაზიარებელია" (ზ. ჭუმბურიძის რეცენზიიდან).

საბა ორბელიანის თხზულებებზე დაკვირვებამ ავტორი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „XVII-XVIII საუკუნეების პერიოდის სალიტერატურო ქართული ენა თავისი ფონეტიკური სისტემით, სტრუქტურითა და ლექსიკით შორდება და ემიჯნება ძველ ქართულ ენას. მან გეზი აიღო საერთო-სახალხო, ცოცხალი სასაუბრო ენისაკენ და ამ ეპოქაში ძირითადად კიდევ მთავრდება ახალი ქართულის ჩამოყალიბების პროცესი.

დავით გენაძის მეცნიერული მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება ისიც, რომ იგი აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების მუშაობაში, კითხულობდა მოხსენებებს, გამოთქვამდა თავის მისაზრებებს სხვათა მოხსენებების ირგვლივ და ა.შ.

3. მნიშვნელოვანია დავით გენაძის ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი ახალგაზრდა, რომლებიც დღეს სამეცნიერო პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მისთვის ჩვეული ენერგიითა და საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებით ხელმძღვანელობდა ყოველთვის დ. გენაძე თავისი ასპირანტების მუშაობას, უწევდა მათ კონსულტაციებს, ეხმარებოდა ძნელად გასაგები საკითხის გარკვევაში, რითაც უფრო საინტერესოსა და შინაარსიანს ხდიდა მათ მეცნიერულ საქმიანობას დასაწყისს ეტაპზე. არაერთხელ გაუწევია აგრეთვე მას ოპონენტობა სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთათვის, ამაზე მეტყველებს ის მრავალი რეცენზია, რომლებიც ინახება დავით გენაძის პირად არქივში.

4. დავით გენაძის კვლევის სფეროში ქართული ენის სწავლების საკითხებიც შედიოდა. მის კალამს ეკუთვნის არაერთი მეთოდური ხასიათის ნაშრომი, რომლებშიც სათანადო სისრულით განხილულია მშობლიური ენის სწავლების აქტუალური საკითხები.

1962 წელს მან გამოსცა "ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის პრაქტიკუმი", რომელიც გათვალისწინებულია სპეციალური ფაკულტეტის სტუდენტთათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

ძალზე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული დავით გენაძეს წერილში "ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების სწავლებისათვის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტზე". გამოქვეყნდა იგი საქართველოს სსრ პედაგოგიურ ინსტიტუტების დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის პროფესორ მასწავლებელთა I რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მასალებში.

ნაშრომში მოცემულია ავტორის მოსაზრებანი და პრაქტიკული გამოცდილების შედეგები ზმნის ძირითად მორფოლოგიურ კატეგორიათა სწავლების ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. უწინარეს ყოვლისა, დასმულია საკითხი პროგრამის განტვირთვის შესახებ. ცხადია, დაწყებითი სკოლის მასწავლებლებისათვის საკმარისი არ იქნება იმის ცოდნა, რაც მხოლოდ დაწყებით კლასებში ისწავლება, მაგრამ არც ის არის სწორი, რომ დაწყებითი სკოლის მომავალ მასწავლებელს მოვთხოვოთ მაქსიმუმი იმისა, რისი ცოდნაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის არის საჭირო: "აქ უნდა მოიძებნოს რაღაც საშუალო, ოპტიმუმი, რომელიც გამართლებული იქნება დაწყებითი სკოლის ამოცანებით, ინტერესებითა და პრაქტიკული გამოცდილებით" - დასძენს ავტორი.

წერილში განხილულია ინვერსიის, ზმნის ფუძის, მწკრივებისა და სერიების, გარდამავლობის, გვარისა და უღლების სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები და გამოთქმულია ისეთი მოსაზრებები, რომელთაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადების დროს მშობლიურ ენაში.

ნაშრომში "სინტაქსის სწავლების ზოგიერთი საკითხი" (საქ. სსრ პედაგოგიკის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთა მე-4 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები) ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ სადავო საკითხთა სწავლების მეთოდების შემუშავებაზე, რომლებიც თავს იჩენს სიტყვათა შეკავშირების, წინადადების წევრების, წინადადებათა სტრუქტურული ტიპების და პუნქტუაციათა სწავლების დროს.

მისი აზრით, სინტაქსის სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას ასეთ შემთხვევებში საგრძნობლად შეუწყობს ხელს აზრთა ურთიერთ გაცვლის საშუალებით სადავო საკითხების რაციონალურად გადაწყვეტა.

საინტერესო მოსაზრებები აქვს აგრეთვე გამოთქმული დავით გენაძეს ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიურ საკითხებზე შრომაში "ქართული ენის სწავლების ზოგიერთი საკითხი საშუალო სკოლაში" (ქუთაისის პედაგოგიკის 23-ე სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 1959 წ.). დასახელებულ შრომაში ავტორი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ქართული ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის სკოლაში აუცილებელია უწინარეს ყოვლისა გვეყენოს უნაკლოდ შედგენილი პროგრამა და მეცნიერულად გამართული, პედაგოგიკური თვალსაზრისით სრულყოფილი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები.

"ქართული ენის ამჟამად მოქმედი პროგრამა და სახელმძღვანელო, მართალია, ძირითადად პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებს მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნები და ამოცანები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც პროგრამა და არც პროგრამა და არც სახელმძღვანელო თავისუფალი არაა ცალკეული დეფექტებისაგან. ჩვენც სწორედ მასზე ვამახვილებთ ყურადღებას. ამ დეფექტების აღმოფხვრა დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ხელს შეუწყობს ქართული ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეს" (გვ. 93).

ზმნის გარდამავლობის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს "გარდამავლობის სწავლება დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტზე" (საქ. სსრ პედაგოგიკის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის პროფესორ-მასწავლებელთა II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 1963)

აღნიშნულ შრომაში ავტორი გვთავაზობს თავის მოსაზრებას იმ სიძნელეთა დაძლევის საშუალებებზე, რომლებიც ზმნის გარდამავლობის სწავლებას ახლავს პედაგოგიურ ფაკულტეტზე.

განსაზღვრების სწავლების საკითხებს ეხება "გრამატიკულ განსაზღვრებათა სწავლება მე-5-8 კლასებში" (ქუთაისის პედაგოგიკის 26-ე სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 1962)

ნაშრომში წარმოდგენილია პროგრამის, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მეთოდური ლიტერატურის ანალიზი. ყურადღება გამახვილებულია განსაკუთრებით იმ ნაკლოვანებებზე, რომელთაც ადგილი ქონდათ გრამატიკული განსაზღვრებების სწავლებაში.

“ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა: ა) გრამატიკული განსაზღვრებები ისწავლებოდეს შეგნებულად; ბ) სისტემატურად ხდებოდეს, ამ მხრივ, მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცება; გ) მივალნიოთ იმას, რომ მოსწავლეები თავისუფლად იყენებდნენ პრაქტიკაში შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებულ გრამატიკულ განსაზღვრებებს; (გვ.72)

1978 წელს ცალკე წიგნად გამოიცა დავით გენაძის ნაშრომი “მართლწერის საკითხების სწავლებისათვის სკოლაში”, რომელიც ყოველთვის დარჩება სამაგიდე წიგნად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის.

თავის პედაგოგიური მოღვაწეობის ერთ-ერთ, თითქმის ყველაზე საინტერესო უბნად დ. გენაძე პრაქტიკანტ-სტუდენტებთან მუშაობას თვლიდა.

სანიშნოდ დაყენებული პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაცია, რასაც თავისი დაუცხრომელი მუშაობის შედეგად იგი ადვილად აღწევდა ხოლმე სკოლებში, მყარ ნიადაგს ქმნიდა იმისთვის, რომ სტუდენტებს იმთავითვე მიეღოთ პირველი სერიოზული პედაგოგიური ნათლობა.

დავით გენაძე არც შემდეგ წყვეტდა ურთიერთობას თავის სტუდენტებთან, როცა ისინი უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებდნენ. სიამოვნებით უწევდა მათ დახმარებას ყველგან და ყოველთვის, აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებებს, ეხმარებოდა ახალგაზრდა მასწავლებლებს გრამატიკის რთული საკითხების სწავლების მეთოდების შემუშავებაში.

თავისი ცხოვრების აზრად, პატრიოტულ და მამულიშვილურ მოვალეობად მას ახალგაზრდა კადრებისათვის ზრუნვა მიაჩნდა.

მისი ლექციები თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიასა თუ სინტაქსში, ძველ ქართულ ენასა თუ სტილისტიკაში ყოველთვის მიმზუდველი, საინტერესო და ადვილად მისაწვდომი იყო მსმენელთათვის. მოხდენილი და ცოცხალი იუმორი, რომელთაც ასე მოხერხებულად ჩაურთავდა ხოლმე ხანდახან, კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას და სილამაზეს მატებდა მის მიერ წაკითხულ ლექციას.

ახლო მეგობრული და მამაშვილური ურთიერთობა ჰქონდა თავის სტუდენტებთან, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლიდა ხელს ყოფილიყო მომთხოვნი და პრინციპული, ზოგ შემთხვევაში მკაცრიც. იცოდა თითოეული სტუდენტის ავ-კარგი, იყო მათი სიხარულისა და მწუხარების თანამოზიარე, ჩანაფიქრს ადვილად უხვდებოდა ყველას და თავის გულის სიტბოსაც არავის აკლებდა.

5. დავით გენაძე ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

იგი, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური განათლების სამინისტროს ქართული ენის მეთოდური კომისიის თავმჯდომარე, პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მან პირველი მეცნიერული და პედაგოგიური ნათლობა მიიღო და სადაც ის დავაჟყავდა როგორც მეცნიერი და პედაგოგი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო შრომების კრებულების გამოცემის საქმეს. ჩინებულად უძღვებოდა აგრეთვე ამავე ინსტიტუტის ქართული ენის კათედრასთან არსებულ მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობას, თვითონაც გამოდიოდა საინტერესო მოხსენებებით ქართული ენის სწავლების საკითხებზე, უზიარებდა მსმენელებს თავის შეხედულებებს და ყოველთვის ცდილობდა დაემყარებინა საქმიანი ურთიერთობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან. ხშირად ხელმძღვანელობდა იმ კომისიების მუშაობას, რომლებსაც ქუთაისის საქალაქო კომიტეტის დადგენილებით ევალუბოდა, შეესწავლა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა ქალაქის სკოლებში.

ჰყავდა ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე. დავით გენაძის პირადი არქივი სავსეა წერილებით, მილოცვებით, რომლებიც მას მოდიოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ფრონტელ მეგობრებთან ხომ გამუდმებული მიწერ-მოწერა ჰქონდა.

დავით გენაძის მოულოდნელად გარდაცვალებამ თავზარი დასცა ყველა მის ახლობელს, ნაცნობ-მეგობარს და მრავალრიცხოვან მონაფეებს. ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ შენს გვერდით აღარ არის ადამიანი, რომელიც ასე უხვად დაეჯილდოებინა ბუნებას სიკეთით, ერთგულებით, მოვალეობის ღრმა შეგნებით, დიდი შინაგანი ძალით, პრინციპულობით, მოქალაქეობრივი სისპეტა-

კით და შეურიგებლობით ყოველგვარ უპატიოსნებასთან. ყველა მის საქმიანობას მუდამ ეტყო-
ბოდა დიდი გულმოდგინება და დახვეწილი გემოვნება. უყვარდა ხუმრობა და სიცილიც. თავისი
მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მან, მართალია, ღირსეულად
მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ჩანაფიქრი და ნამოწყება დარჩა გა-
ნუხორციელებელი. ნავიდა ჩვენგან შემოქმედებითი დავაჟუკაციების ხანაში.

იმ მნუხარების დღეებში მისი მასწავლებლები და მეგობრები თითქოს თავიანთ უკანასკნელ
ვალს იხდიდნენ, როცა წერდნენ: “უბრალო და გულმართალი კაცი იყო დავით გენაძე, შესაშური
პედაგოგიური ალლო ქონდა და ერთგული მეგობრობა იცოდა, ჭირში გაუტყეხელს, ნაომარს, სივ-
დილთან თვალგანასწორებს ენამზეობა და სიკეთის თქმა ეხერხებოდა. პირდაპირიც იყო და პრინ-
ციპულიც, მაგრამ უნივერსიტეტში სულ ათიოდე წლის მანძილზე მაინც დიდი სიყვარული მოიმ-
კო”.¹

“დავითი მომხიბლავი პიროვნება, სადა და სპეტაკი ადამიანი, გულმხურვალე პატრიოტი, უანგა-
რო პედაგოგი და უებრო მეგობარი იყო. იგი ყველგან და ყოველთვის დიდი სიყვარულით იყო გარე-
მოსილი, თვითონაც სხვებს ასეთსავე გრძნობით უშურველად პასუხობდა”.²

დავითის მრავალრიცხოვანი სტუდენტების აზრს გამოხატავდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის
მეოთხე კურსის სტუდენტი მ. გონაშვილი, როცა საფლავთან წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა:

“ძნელია საუბარი საყვარელ ადამიანზე, მითუმეტეს, თუ ეს ადამიანი ჩვენს გვერდით აღარაა,
ძნელია გახსენება დავით გენაძისა ისე, ცრემლი რომ არ მოგერიოს, ის, ვისაც ერთხელ მაინც რქო-
ნია საშუალება შეხვედროდა ბატონ დავითს, მოესმინა მისი ბუხუნა ხმა, დაენახა მისი კეთილი ღი-
მილი, ვეღარასოდეს დაივიწყებს მას.

მე ვხედავდი, როგორ ეცვლებოდათ მოლიმარი სახეები სტუდენტებს, როგორ უკანკალებდათ
ნიკაპი, როცა დავითის უეცარი გარდაცვალება გაიგეს. გვიჭირდა უნივერსიტეტის პირველ კორ-
პუსში შესვლაც კი, თითქოსდა მთელი უნივერსიტეტი დაცარიელებულიყო, ფერი ეცვალა; ბატონ
დავითს ყველას და ყველაფრის უსაზღვრო სიყვარული შეეძლო, მას ჰქონდა

შესაშური სიკეთე, სიტბო და სიყვარული. ბატონი დავითი წმინდა იესოს ჰგავდა, იგი ხალხში
მოარული სიკეთე იყო. მადლს იზამდა, ქვაზე დადებდა და შედეგს არც კი დაუცდიდა, ახალი სიკე-
თის დასათესად მიდიოდა.

მე მგონია, ზენა რამდენიმე ათეულ წელიწადში ერთხელ დაბადებს ხოლმე ასეთ ადამიანს, შე-
ამკობს საოცარი კეთილშობილური თვისებებით, ასეთი ადამიანები ლეგენდასავით შემოდიან
ხალხთა გულებში, გაათბობენ მას, კაცის თვალს სიკეთეს დაანახვებენ და მერე ლეგენდასავით
ქრებიან, ადამიანები, სიცოცხლეს სინმინდესა და ნათელს რომ აძლევენ. ასეთი მადლით იყო მი-
რონცხებული ბატონი დავითი.”

1979 წლის 7 ივლისს ახლობლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის პე-
დაგოგიური ინსტიტუტების მრავალრიცხოვანი კოლექტივები, ფართო საზოგადოებრიობა უკა-
ნასკნელად გამოეთხოვენ დავითის ცხედარს. უმძიმესი იყო მასთან განშორების წუთები. მსობლი-
ური კუთხის მინამ სამარადჟამოდ ჩაიკრა გულში თავისი ღირსეული შვილი.

Handwritten notes in Georgian script, including names and dates like '1. ივ. ქვიციანიძე', '2. ჯორჯიაშვილი', '3. შალ. ბიბიკიძე', '4. პატი შალვაშვილი', and '26.11.1979'.

¹ ს. ძიძიგური, გ. როგავა, ი.ქავთარაძე. უნივერსიტეტი გლოვობს. გაზ. “ქუთაისი”. 4.07. 1979 წ.
² დ. ბრეგაძე, გ. მჭედლიძე, “თვალსაჩინო მეცნიერი, უებრო მეგობარი”. იქვე



ბახსენება გულქართლი კაცი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი დავით გენაძე ახლა 80 წლისა იქნებოდა. ორ ათეულ წელზე მეტია. რაც აღარ არის. მისმა გარდაევალებამ დიდი ტკივილი განგვაცდევინა ყველა მის ახლობელს, ნაცნობ-მეგობრებს.

”სახსოვრად ჩემს სიყრმის სტუდენტსა და მეგობარს” - ასე აწერია მის მიერ ჩემთვის ნაჩუქარ ერთ წიგნს. დიახ, მე მისი სტუდენტი ვიყავი, თვითონ იგი კი მაშინ ბატონ გიორგი როგავას ასპირანტი

გახლდათ. ომგამოვლილი ახალგაზრდა ვაჟკაცი, როგორც პედაგოგი, პირველად ჩვენს კურსთან მუშაობდა. ჩვენთანვე წაიკითხა პირველი საცდელი ლექციაც ქართული ენის სინტაქსში. მიმზიდველი თხრობა იცოდა, ახსნა - ნათელი და ლოგიკური, ხმა ისეთი ჰქონდა, თითქოს მკერდიდან გუგუნით სიტბო ამოსდიოდა. ამას თვალების შუქიც ემატებოდა. საკმარისი იყო ერთი დანახვა. ერთი წინადადებაც კი და მიხვდებოდით, თქვენს წინაშე გულმართალი, კეთილი ადამიანი იდგა. ნარბშეკრული, გაჯავრებული, ხმაანეული არასოდეს გვინახავს.

კარგი ყველაფერი უცბად ბავშვივით აღიტაცებდა ხოლმე. გრძნობის დამალვა არ შეეძლო. პოეზია ძლიერ უყვარდა. სალალობო ლექსებსაც წერდა.

ქართული ენის სტრუქტურის ნიჭიერი მკვლევარი გახლდათ. მრავალი საყურადღებო ნაშრომი დაგვიტოვა. მარტო მისი სადოქტორო დისერტაცია რად ღირს. იგი ხომ ფუნდამენტური გამოკვლევაა სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის შესახებ.

ტანად ბრგესა და ღონიერს საოცრად რბილი და მშვიდი ბუნება ჰქონდა, მახსოვს, ერთხელ მისაღები გამოცდების დროს. შემოვიდა ერთი ყმანვილი, რომელსაც „2“ მიელო და ნაწერის ნახვას ითხოვდა. სანამ მე ნაწერს ვეძებდი დავითმა მოიხმო შემოსული და საუბარი დაუნყოფულს ნუ გაიტყვ, უკეთ მოემზადები და ჩააბარებო. მერმე გვერდით დაისვა და ნაწერი აჩვენა. თანაც უხსნიდა, სად რა შეცდომა იყო. ათიოდე წუთის შემდეგ ყმანვილი წამოხტა და მუშტი შეკრა, სახეზე მგლისფერი ედო. დავითს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია, დინჯად წამოდგა, მარჯვენა მკლავის სახელო ოდნავ აიწია. მაჯა გამოაჩინა და ყმანვილს ტკბილად უთხრა: შენ, ჩემო ძმაო, ახსნა თუ გინდა, ახსნა ეგ არის. თუ არა და არც სხვა საქმეში გაგექცევით. დავითის მსხვილ მაჯას რომ მოჰკრა თვალი, ყმანვილი სწრაფად შეტრიალდა და გაგვეცალა. მე გამეღიმა და ვკითხე: ოდესმე ვინმესთვის თუ დაგირტყამთ-მეთქი? - ალბათ ბავშვობაში, ახლა ჩემი ხელი მტერსაც ნუ მოახვედროს ღმერთმაო - ღიმილითვე მიპასუხა.

საუკეთესო პედაგოგი იყო. არაჩვეულებრივი გამომცდელი. გამოცდა ისე მიჰყავდა, თითქოს ტკბილად ესაუბრებოდა გამოსაცდელს, რომელსაც შიში და დაძაბულობა აღარ აწუხებდა და თუკი რამე იცოდა, თავისუფლად ჰყვებოდა ხოლმე. ამის გამო ”ორსაც” იშვიათად წერდა. მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტის პასუხი ლიტერატურაში თუ მოეწონებოდა, გრამატიკიდან მარტივ კითხვებს მისცემდა და ისიც იმგვარად, რომ დასტურის გარდა გამოსაცდელს არაფერი სჭირდებოდა. მერმე გაიღიმებდა და იტყოდა: ეყოფა, სხვა რამ აქ ვასწალოთო.

დავითი მაღლიანი ადამიანი იყო. წრფელი, პირდაპირი, გულლია. სიკეთეს ჩუმიად და უანგაროდ თესავდა და ისე კი, რომ ხშირად იმან, ვისაც ეხმარებოდა, არც კი იცოდა ეს, ან შემთხვევით თუ შეიტყობდა. ერთხელ მისაღები გამოცდების დროს დავიჩივლე: ისტორიის ფაკულტეტზე აბიტურიენტები სულ ყმანვილები არიან, მე ბევრი ”2” დავწერე და ვაითუ ვინმემ მაზღვევინოს-მეთქი. ნავედი შინ. მეორე დღეს ვხედავ, ჩემ მიერ გასწორებულ ყველა ნაწერში დავითის ხელმოწერაც არის. სხვა დროს უფრო დიდ საქმეშიც წამეშველა. საყვედურიც მიიღო

ამის გამო, მაგრამ ჩემთვის ეს არ გაუმხელია, შემთხვევით შევიტყეე.

გონებრივი და ფიზიკური შრომა თავდაუზოგავი იცოდა. ეგონა, ვერაფერი მოერეოდა. ინვალიდობის ჯგუფი რომ მისცეს, გაცოცდა. ექიმების შეცდომააო - ფიქრობდა. მართალია. მაღალი წნევა მაქვს, მაგრამ არ მანუხებსო. თავს არ უტყდებოდა.

გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე ვნახე, ვისაუბრეთ. წამიკითხა თავისი ლექსი, რომელსაც "ავანტიურა" ერქვა. ეს მისი თავგადასავალი იყო. საკუთარი თავი ნიკორა ხარის სახით ჰყაედა გამოყვანილი, ხარისა. რომელმაც დაზარდა "ორი მოზვერი, კარგები, ართუ ავები". სამწუხაროდ. ეს ლამაზი ლექსი აღარ მახსოვს. ლექსის სევედიანმა კილომ კი ცუდი წინათგრძნობა გამიჩინა. გულდამძიმებული დავშორდი.

სულ მალე მოულოდნელად გარდაიცვალა. სიკედიდიმა ფეხზე მყოფს მოუსწრო და ზესტაფონში, თავისი ალალი შრომით აშენებული სახლის კიბეზე წააქცია.

"გულქართლი კაცი" უნოდა მოხდენილად მას ერთმა ენათმეცნიერმა. დიახ, იგი მართლაც იყო გულგაშლილი, კეთილი, უხვი, წრფელი, მართალი...

მეც მის მოგონებას ამ სათაურს ვაძლევ.

ლეილა კვანტალიანი

ბაზეთი "ქუთაისი". 19789 წ.

ჩვენი პროფესორი

დავით გენაძეს ადრეც ვიცნობდი, მაგრამ მესამე კურსიდან, როცა უშუალოდ მისი საგნის შესწავლა დავინწყეთ, თითქმის დავმეგობრდით.

რომელ ჩვენგანს, მის რომელ ყოფილ სტუდენტს შეუძლია დაავინწყდეს ეს უანგარო პიროვნება, მისი ალალ-მართალი სახე, მისი სიკეთე, გულისხმიერება და ის მამამვილური დამოკიდებულება, რასაც იჩენდა თითოეული სტუდენტის მიმართ. . .

შრომისმთყვარეობას, ნიჭიერებას დიდად აფასებდა და თუ კი შეამჩნევდა სტუდენტს მეცნიერებისადმი ინტერესს, ყველაფერს აკეთებდა- მისი შემოქმედებითი ნიჭის გაღვივებისათვის ყოველნაირად ცდილობდა ასეთი ახალგაზრდა შესაძლებლობისამებრ გამოჩენილიყო.

მეც მქონდა ბედნიერება, მისი სტუდენტი ვყოფილიყავი... მერე თბილისში გადავიდა.

ჩვენი მეგობრობა მაინც არ შეწყვეტილა. თეატრის ხშირი სტუმარი იყო, როცა პირველად გამოქვეყნდა ჩემი მოთხრობა, მაშინვე გამომეხმაურა.

ჩემს წინ დევს ბატონი დავითის მიერ გამოგზავნილი კეთილი სურვილებით სავსე 1976 წლის, ახალი წლის მოსალოცი ბარათი.

როგორ გავიხარე მაშინ, როცა იგი მივიღე.

მიხაროდა რომ ისევ ვახსოვდი ჩემს საყვარელ აღმზრდელს და დამასწრო კიდევ ახალი წლის მოლოცვა.

რა თქმა უნდა, მაშინვე ვუპასუხე. ამასთან იმავე წელს პროფესორის საპატიო წოდებაც მივულოცე. თბილისში შეხვედრისას ანგარიშივით ვაბარებდი, რასაც ვაკეთებდი, რას ვაპირებდი მომავალში.

ეს იყო კაცი, რომელმაც თავისი სიტყვა თქვა, როგორც ქართული მეცნიერების წინსვლაში, ასევე ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაშიც. კაცი, რომელსაც უყვარდა თავისი საქმე და სწამდა ახალგაზრდობისა.

ნასტან კვიციანი

ლალდო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი. მწერალი

მეომრული გზით პროფესორის კათედრამდე



დავით გენაძე, ოქროპირის ძე, თვითონაც ოქროპირი და სიტყვამართალი, სიყვარულისა და სიკეთის მთესველი, საქმესწორი და უღალატო კაცი, მუდამ ღიმილმოსილი და მეგობრის მაძიებელი — ასე იცნობდა მას ყველა.

დავით გენაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მუდამ ახალგაზრდა და ახალგაზრდობის დიდი მოყვარული, შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგი, მკვლევარი და მეცნიერი, ცხოვრებაში უბრალო და ყველასთან თავმდაბალი, ჭეშმარიტი ადამიანი და ადამიანობის ეტალონი, ... მან მხოლოდ 62 წელიწადს იცოცხლა.

ადრე, მაგრამ სიყვარულით გარემოსილი წავიდა, კოლეგებისა და ნაცნობ მეგობრების, აღმზრდელებისა და აღსაზრდელების სიყვარულით გარემოსილი.

1917 წელს დაიბადა იგი და ეამაყებოდა კიდევ: ოქტომბრის თანატოლი ვარო, უშრომლად არცერთი დღე და საათი არ გაუტარებია, სამსახურში თუ ოჯახში მისთვის დასვენება არ არსებობდა, ყოველთვის შრომობდა, ფუსფუსებდა, სამერმისო გეგმებს ადგენდა, გონებრივ მუშაობასთან ერთად, როცა ამის საშუალება მიეცემოდა, ფიზიკურადაც შრომობდა. გიორგი მერჩულეს თქმისა არ იყოს: "შრომაი დიდად უყვარდა" და "დღე და ღამე ხელითა თვისითა იქმოდა".

დ. გენაძემ 1936 წელს დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი და ამის შემდეგ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ორ წელიწადს დაჰყო აქ. შემდეგ ქუთაისის ალ. ნუღუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. როგორც ნიჭიერმა და ბეჯითმა სტუდენტმა იმთავითვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, მაშინ რა იცოდა, რომ სწავლა დროებით უნდა შეეწყვიტა და ჯერ კიდევ გამოუცდელს, სიკვდილ სიცოცხლის, ყოფნა არყოფნის მკაცრი გამოცდა უნდა ჩაებარებინა.

რისხვად დაატყდა ჩვენ ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას დიდი სამამულო ომი. ყოველდღიურად ათასობით ახალგაზრდა მიემართებოდა ფრონტისაკენ. აგვისტოს თვეში სტუდენტი დავით გენაძეც სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა.

იგი 414-ე ქართული დივიზიის შემადგენლობაში განამწესეს. აქედან დაიწყო მისი საბრძოლო ეპოპეა: "ვმონანილეობდი დიდ სამამულო ომის ბრძოლებში, -მოგვითხრობს დავითი თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში, 1942-1943 წლებში სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად ჩვენმა დივიზიამ გერმანელი ფაშისტებისაგან გაათავისუფლა ქალაქები და სტანიცები: - იმჩორსკაია, მოზდოკი, პროხლადნი, პიატიგორსკი, გეორგიევსკი, მინვოდი, ნევინომისკი, ჩერქეზსკი, უსტლაბინსკი, ანაპა, ნოვოროსიისკი და სხვა. 1943 წლის დეკემბერში ბრძოლით გადავედით ყირიმის ნახევარკუნძულზე.

1944 წლის პირველ ნახევარში 414-ე ანაპის ქართულმა მსროლელმა დივიზიამ მონანილეობა მიიღო ქერჩის, ფეოდოსიის, სიმფეროპოლისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის გამართულ მძიმე ბრძოლებში, რის შემდეგაც დივიზია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1367-ე ლეგიონს, რომელშიც მე ვმსახურობდი, მიენიჭა სევასტოპოლის სახელი".

სწორედ ამ ბრძოლებში გამოავლინა დ. გენაძემ სამშობლოსადმი თავდადების დიდი მამულიშვილური გძნობა, სწორედ ამ მრისხანე დღეებში გახდა იგი კომუნისტური პარტიის წევრიც. ჰორჯერ საკუთარი სისხლიც გაიღო ბრძოლებში, მაგრამ ორჯერვე, განკურნების შემდეგ თავის მშობლიურ დივიზიას დაუბრუნდა, როგორც ნალმმტყორცნი ოცეულის მეთაური.

აი, რას მოგვითხრობს დავით გენაძის შესახებ გადამდგარი პოლკოვნიკი ვარლამ ჯანჯღავა: "კალაბატკისათვის გმირულად იბრძოდა დ. გენაძის ოცეული, ნალმების სიმცირის გამო მრისხანე იარაღს მხოლოდ ნაწილი იყენებდა, დანარჩენები კი იბრძოდნენ, როგორც ქვეითები. 1943 წლის 23 თებერვალს მთელი დღე მიმდინარეობდა სიხლისმღვრელი ბრძოლები. მძიმედ დაიჭრა დ. გენაძე — ტყვიამ მხარი გაუხვრიტა"... გამოჯანმრთელების შემდეგ დ. გენაძე ისევ თავის დივიზიას დაუბრუნდა, რომელიც აზოვის ზღვის სანაპიროზე იდგა. დავითი ამ დროს უკვე პარტიის წევრობის კანდიდატი იყო, მას ყველა მონაცემი ქონდა პოლიტმუშაკად დაწინაურებისათვის. ფურჩიეთ წასულიყო პოლიტმუშაკების მოსამზადებელ კურსებზე. გვიპასუხა: - დაფასებისა და ნდობისათვის მაღლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ, თუ ჩემს სურვილს გაითვალისწინებთ, გთხოვთ ისევ ოცეულის მეთაურად დამნიშნოთ... მინდა დაგარწმუნოთ, რომ სანამ ომი არ დამთავრდება, ვიბრძოლებ მთელი მონდომებით, ამასთან ოცეულში მე ვიქნები არამარტო მეთაური, არამედ ავტიტორიც და პოლიტმუშაკიცო. ყველაფერი ეს ისე გულწრფელად და დამაჯერებლად თქვა, რომ არ დავაძაღეთ, დავეთანხცმეთ". დავითმა თავისი სიტყვა შეასრულა. განკურნე-

ბის შემდეგ ისევ თავის დივიზიასა და ოცეულს დაუბრუნდა და იმსხურა არამარტო ომის დამთავრებამდე, არამედ შემდეგაც.

დავით გენაძის მეომრული დამსახურება ღირსეულად დააფასა სამშობლომ. დაჯილდოებული იყო ნი-
თელი ვარსკვლავის ორდენით და დიდი სამამულო ომის ორდენით, აგრეთვე მედლებით “კავკასიის დაცვი-
სათვის” და “გერმანიაზე გამარჯვებისათვის”.

დავითი 1947 წელს დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან და მუშაობა დაიწყო მშობლიური ზესტაფო-
ნის კოლმეურნეობაში. აი, რას წერს იგი სიყრმის მეგობარს: “სასწავლებელში წასვლამდე კვლავ თოხს მინ-
და მოვკიდო ხელი, უფრო იმისათვის რომ სულიერი სიმშვიდე მოვიპოვო, ეს ფრაზა კი არ არის, ჯუმბერ, ეს
სინამდვილეა! როცა ვმუშაობ, თითქოს ყველაფერი წყნარდება და მშვიდდება, სული ინმინდება და სარკე-
სავით ხდება. წიგნებმა შრომის მაგივრობა ვერ გამიწიეს, თუმცა ისინიც კარგი მეგობრები არიან ჩემი”. შემ-
დეგ დავითმა ინსტიტუტში განაგრძო ომის გამო შეწყვეტილი სწავლა. 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა
ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, მაგრამ ინსტიტუტი არ დაუ-
ტოვებია - იქვე დატოვეს სამუშაოდ ასისტენტის თანამდებობაზე. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულე-
ბასთან ერთად წარმატებით მოამზადა და ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები,
ხოლო 1953 წელს საქართველოს სსრ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ასევე
წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსა-
პოვებლად თემაზე - “გარდამავალ ზმნათა დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში”. თავის
ამ პირველსავე გამოკვლევაში ავტორმა დიდი შემოქმედებითი უნარი გამოავლინა, რის შედეგადაც ბევრი
ფასეული დასკვნაც გააკეთა და სათანადო შესწორებებიც შეიტანა სამეცნიერო ლიტერატურაში მანამ-
დე უკვე წამოყენებულსა და გაბატონებულ დებულებებში. ამოტომ იყო რომ ოფიციალურმა ოპონენტებმა
აღნიშნულ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს. სახელგანთქმული ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი
ვარლამ თოფურია, როგორც ოფიციალური ოპონენტი, აღნიშნავდა, რომ “ავტორის მიერ მოცემული დრო-
კილოთა ფორმების ანალიზი სწორია და სანდო... ამ ნაშრომით ავტორმა გადადგა ნაბიჯი წინ ქართული
ზმნის ისტორიული ასპექტის შესწავლის საქმეში”... 1955 წელს დავით გენაძეს მიენიჭა დოცენტის წოდება.
იგი დიდი გულმოდგინებით იკვლევდა აგრეთვე ქართველ მწერალთა ენისა და სტილის საკითხებს. ამ მხრივ
განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ფუნდამენტალური ნაშრომი - “სულხან-საბა ორბელიანის ენა
("სიბრძნე სიცრუისა" და "მოგზაურობა ევროპაში")".

ეს გამოკვლევა დ. გენაძის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენს. ავტორმა იგი წარმატებით დაიცვა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1970 წლის 2 დეკემბერს.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ დავით გენაძეს მალე პროფესორის წოდებაც მიენიჭა. მისი
შრომების ერთი ნაწილი ქართული ენის სწავლების საკითხებს ეძღვნება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მისი მო-
ნოგრაფიები - “ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის პრაქტიკუმი” (1962 წ.) და “მართლწერის საკითხების
სწავლებისათვის სკოლაში” (1978 წ.) სტატია “ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების სწავლე-
ბისათვის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტზე” და სხვ.

დავით გენაძე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განუწყვეტლივ ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას ჯერ
ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1948-1968 წ.წ.), ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-
ში (1968-1979 წ.წ.) ამასთანავე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1960-1968 წ.წ.) განაგებდა ქართული
ენისა და მეთოდოლოგიათა კათედრას, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში იგი
საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებდა ახალი ქართული ენის კათედრი გამგის მოადგილის ფუნქციებს.

პედაგოგიური მოღვაწეობის ნაყოფიერი მუშაობისათვის 1958 წელს დაჯილდოვდა “სახალხო განათ-
ლების წარჩინებულის” სამკერდე ნიშნით.

როგორც ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დ.
გენაძე სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა ძველსა და ახალ ქართულ ენაში, დიდი მონდომებით ხელმძღვა-
ნელობდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას. იგი სტუდენტთა უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობდა.

ასევე გამოირჩეოდა დავით გენაძე, როგორც ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების გულისხმიერი აღ-
მზრდელი და ხელმძღვანელი. დღეს რესპუბლიკის არაერთ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობენ მისი ხელ-
მძღვანელობით მომზადებული მეცნიერები, ყოფილი ასპირანტები თუ სამეცნიერო ხარისხის მაძიებელნი.
ისინი ყველანი დიდი სიყვარულით იგონებენ თავიანთ ამაგდარ აღმზრდელს. “მე დიდი ბედნიერება მარგუნა
ბედმა, - წერს დოცენტი ლეილა აბზიანიძე, - როცა ბატონი დავითის მადლიანმა გონებამ უხელმძღვანელა
ჩემს მეცნიერულ ნათლობას”. ასე ფიქრობენ და იგონებენ დავითს სხვა მისი აღზრდილებიც.

და დღეს კიდევ ერთხელ სიყვარულით ვისხენებთ ამ მადლიან კაცს, როგორც მისი ერთი სტუდენტი წერ-
და - “გაივლის წლები და მუდამ გვეხსომება მისი დიდრონი თაფლისფერი, სიკეთით სავსე თვალები, სპეტა-
კი, თოვლისფერი თმები, ალალი ღიმილი და ბუხუნა ხმით ნათქვამი: - გამარჯობათ, ახალგაზრდებო!”.

ი. ბაბუნაშვილი.

თბილისის სახელმწიფო ინჟინერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე - პროფესორი.

ბ. ჯორჯანაძე, თ. სანიკიძე - პროფესორები

ო. ურიდია, ი. ვეჟაძიძე, მ. ტუსკია, ე. კოპორიძე, ი. კიკნაძე, მ. კოხალაძე,

ლ. ბაგუჩაძე, ნ. ჭანიშვილი - დოცენტები



ქედუსრელნი

ქართული ანდაზა ამბობს: კაცი გაჭირვებაში იცნობაო. ჭეშმარიტებაა. დიდ სამამულო ომში, განსაკუთრებით აქტიური მოქმედების დროს, ადვილად გამოიცნობოდა ხოლმე ყველა მისი მონაწილე. ნებისმიერ მომენტში იქმნებოდა ურთულესი სიტუაცია, როდესაც საჭირო იყო უდიდესი ნებისყოფა, ნამდვილი გამირობა, ქვეგანაყოფის, ნაწილის, შენაერთის უნარიანი მართვა. ომის ყოველ მონაწილეს ახსოვს არაერთი ვაჟკაცი, რომელმაც მის თვალწინ თავი გამოიჩინა, სამშობლოსა და ხალხის ერთგულება დაამტკიცა, პატივისცემა და მოგონება დაიმსახურა. დღეს გვინდა მკითხველს გავაცნოთ კიდევ ერთი ასეთი შესანიშნავი ადამიანი, უფროსი ლეიტენანტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ან გარდაცვლილი დავით ოქროპირის ძე გენაძე. მიმოვიხილავთ მისი ღრმაშინაარსიანი ცხოვრება-საქმიანობის მხოლოდ ერთ მხარეს, პერიოდს, როცა წყდებოდა საბჭოეთის ქვეყნის ბედი.

დავით გენაძე ფრონტზე 1943 წლის მაისში გავიცანი, როცა იგი ყუბანის ხუტორ კალაბატკისათვის ბრძოლებში მიღებული მძიმე ჭრილობის მოშუშების შემდეგ დაბრუნდა თავის 414-ე დივიზიაში. პირველმა შეხვედრამ, გასაუბრებამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამის შემდეგ პირადი დაკვირვებით არაერთხელ დავრწმუნდი, რომ იგი მართლაც უშიშარი მეომარი, შესანიშნავი აგიტატორი და ადმირატი იყო, ყველა ადამიანური თვისებით შემკობილი, კეთილი, ალალმართალი. მასთან ურთიერთობა ომის შემდეგაც არ გამინწყვეტია, ერთმანეთს ვხვდებოდით ომის ვეტერანთა ყოველწლიურ ტრადიციულ შეკრებებზე. ეს ურთიერთობა უფრო სისტემატიური და საქმიანი გახდა, როცა იგი ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ. ხუთი წლის განმავლობაში იყო დივიზიის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, თავმჯომარის მოადგილე.

ამიტომ უდიდესი კმაყოფილებით წავიკითხე დოცენტ ლეილა აბზიანიძის გულთბილი წერილი მასზე სათაურით „უიშვიათესი პიროვნება“ (გაზეთი „ქუთაისი“ 1983 წლის 19 აპრილი) და მინდა დავადასტურო: მართლაც, ბუნებამ დავით გენაძე „ისე ხვავრიელად აღავსო სიკეთით, რომ მთელი მისი სიცოცხლე უმშვენიერესი და უზადო მადლიერებით გაატარა. მისი ცხოვრების ყოველი მონაკვეთი, სწავლის, შრომისა თუ ბრძოლისა, დიდი სევდისა თუ ბედნიერებისა, მწარე ტკივილისა თუ ადამიანური სიხარულისა, დამშვენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილების უმაღლესი ნიშნით».

დავით გენაძე დაიბადა 1917 წლის 28 აგვისტოს ზესტაფონში, გლეხის ოჯახში. ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ (1936 წ.) ორი წელიწადი მუშაობდა ფეროშენადნობთა ქარხანაში. 1938 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის ალ. ნულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. დიდი სამამულო ომის დაწყებისას 1941 წლის აგვისტოში მეოთხეკურსელი გაინვიეს წითელი არმიის რიგებში. მეთაურთა ექვსთვიანი კურსების დამთავრების შემდეგ მიენიჭა უმცროსი ლეიტენანტის წოდება და გაიგზავნა დივიზიაში, რომელიც დაღესტანში ყალიბდებოდა.

1942 წლის მარტში დაინიშნა ნამდგმსატყორცნთა ოცეულის მეთაურად. აქ იგი დღენიდაც მუშაობდა, ასწავლიდა პირად შემადგენლობას და აჩვენებდა მას ყველა ვითარებაში საბრძოლო მოქმედებას, ტიტანურ შრომას, სიძნელეების გადალახვას და სულ მალე ოცეული ბრძოლისუნარიანი გახდა. ყველა სახის საბრძოლო დავალება შეეძლო სწრაფად და ხარისხიანად შეესრულებინა, რაც არაერთხელ გამოვლინდა ტაქტიკური სწავლების დროს.

ამ საქმეში მას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია თითოეული მეომრის ხასიათის, ბუნების, განწყობილების, განათლების გათვალისწინებით მიზანსწრაფულმა, ინდივიდუალურმა მუშაობამ, კომუნისტებსა და კომკავშირელებზე, აგიტატორებსა და საბრძოლო აქტივზე დაყრდნობამ, მათი შესაძლებლობის უნარიანად გამოყენებამ.

მე-3 ნაღმმტყორცნელთა ასეული პოლკთან ერთად გადავიდა თერგის მეორე ნაპირზე. სასწრაფოდ მოამზადა საცეცხლე პოზიცია, ჩასანგრდა და დაუყოვნებლივ შეუდგა შეტევისათვის მზადებას. ამ საქმეში ერთ-ერთი პირველი იყო დ. გენაძის ოცეული.

შეტევის წინ ასეულის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა პავლე ტაბატაძემ სამეთვალთვალო პუნქტი გადაიტანა პირველ სანგრებში, მტერი კარგად დაზვერა, მისი საცეცხლე ნერტების ადგილსამყოფელი დაადგინა, ოცეულთა მეთაურებს კონკრეტული ამოცანა დაუსახა, მთელი ყურადღება მტრის საცეცხლე ნერტების მოსპობას დაუთმო. როცა მოწინააღმდეგემ იგრძნო, რომ ტაბატაძის ასეულის ზუსტი ცეცხლი მოსვენებას არ აძლევდა, გადანყვიტა მისი მოსპობა-დადუმება. ამ მიზნით ექვსლულიანი ნალმმტყორცნი მოიშველია. აფეთქებების ბოლში გაეხვია ჩვენი პოზიციები. ასეთ ვითარებაში ჩვენები სწრაფად გადავიდნენ სათადარიგო საცეცხლე პოზიციებზე. მტერმა ეს დიდხანს ვერ შენიშნა და ისევ ძველ ადგილას ურტყამდა. ჩვენები კი ეფექტიანად უშენდნენ მტერს. დ. გენაძის ოცეულის მთელი პირადი შემადგენლობა ამ ვითარებაში სიმტკიცითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა, თვით მეთაური ვაჟკაცობისა და უშიშროების მაგალითს აძლევდა ყველას. დავით გენაძის ოცეული დიდი შემართებით იბრძოდა იშიროსკაიას, თამაზოვას, მოზდოკისა და გრივენსკაიასათვის. მეთაური მუდამ ქვეითთა საბრძოლო მწყობრში იყო და სიკვდილმთესველ ნაღმებს აწვიმდა დამპყრობლებს.

სტანიცა გრივენსკაიას განთავისუფლების შემდეგ დივიზიას ახალი, მეტად მძიმე ამოცანა დაევალა. ერთი გარემოება დამატებით ართულებდა მდგომარეობას. ადრე დათბა, თოვლი და ყინული გადნა. გზები გაუვალი გახდა. ამის გამო შეუძლებელი შეიქნა არტილერიისა და ნალმსატყორცნებას წაღება. სამწუხაროდ, არც 82 მმ ნალმსატყორცნების წაღება მოხერხდა მთლიანად. რამდენიმე კილომეტრზე, მუხლებამდე ტალახში, ზურგით სხვა აღჭურვილობასთან ერთად მათი ტარება აღემატებოდა მეომრების ფიზიკურ შესაძლებლობას, მაგრამ ჩვენმა გულადებმა, მათ შორის დ. გენაძის ოცეულმა, შეძლეს რამდენიმე ცალი დაშლილი წაელოთ და მაქსიმალურად გამოეყენებინათ ისინი კრიტიკულ მომენტში.

კალაბატკისათვის გამირულად იბრძოდა დავით გენაძის ოცეული. ნაღმების სიმცირის გამო, მრისხანე იარაღს მხოლოდ ნაწილი ხმარობდა, დანარჩენი კი იბრძოდნენ როგორც ქვეითები. 1943 წლის თებერვალს მთელ დღეს მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. მძიმედ დაიჭრა დ. გენაძე - ტყვიამ მხარი გაუხვრიტა. ამ დღეს მძიმედ დაიჭრა ს.მ. მჭედლიძე, გამირულად დაეცნენ ბ. ბ. მელიქიძე ე. ვ. თორთლაძე, შ. გ. გულიკაშვილი და სხვები.

დავით გენაძე გამოჯანმრთელების შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა, დაუბრუნდა დივიზიას, რომელიც მაშინ აზოვის ზღვის სანაპიროზე იდგა. დავითი იმ დროს უკვე პარტიის წევრობის კანდიდატი იყო. როგორც წესი, დივიზიაში ახლად მოსული პარტიის არც ერთი წევრი თუ კანდიდატი არ იგზავნებოდა ქვედანაყოფში პოლიტდარგში დივიზიის მეთაურის მოადგილესთან და პოლიტგანყოფილების უფროსთან გაუსაუბრებლად. ეს ის პერიოდი იყო, როცა დივიზიაში მწვავედ იდგა მწყობრიდან გამოსული პოლიტმუშაკის შემცვლელის შერჩევის დაჩქარებისა და საერთოდ, პარტპოლიტაპარატის განმტკიცების საკითხი. მაშინ ასეულებსა და ბატარეებში, ცალკეულ ოცეულებში ჯერ კიდევ არსებობდა ინსტიტუტი მეთაურის მოადგილისა პოლიტდარგში, დ. გენაძეს ყველა მონაცემი ჰქონდა პოლიტმუშაკად დაწინაურებისათვის, ამიტომ გასაუბრების შემდეგ ვურჩიეთ წასულიყო პოლიტმუშაკების მოსამზადებელ კურსებზე. გვიპასუხა: დაფასებისა და ნდობისათვის მაღლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ თუ ჩემს სურვილს გაითვალისწინებთ, გთხოვთ ისევ ოცეულის მეთაურად დამნიშნოთ, ჯარისკაცად არ ვარ დაბადებული, ომის დამთავრების შემდეგ, რომელიც, ვფიქრობ, არც ისე შორსაა, მინდა ვისწავლო და ვიმუშაო მხოლოდ სპეციალობით, მინდა დაგარწმუნოთ, რომ სანამ ომი არ დამთავრდება, ვიბრძოლებ მთელი მონდომებით, ამასთან ოცეულში მე ვიქნები არა მარტო მეთაური, არამედ აგიტატორიც და ბოლიტმუშაკიც.

ყოველათფერი ეს ისე გულწრფელად და დამაჯერებლად თქვა, რომ არ დავაძაღეთ, დავეთანხმეთ.

ტამანისა და ყირიმისათვის ბრძოლებში ნალმმტყორცნელთა ბატარეის ოცეულის მეთაური კვლავინდებურად ვაჟკაციური შემართებით ერკინებოდა მომხდურებს, ზუსტი და გამანადგურებელი ცეცხლით მუსრს ავლებდა მტერს, გზას უკაფავდა ქვეითთა დანაყოფებს. ერთი მაგალითი: ერთი ჩვენი ქვედანაყოფი მტრის ბატარეის ცეცხლში მოექცა და ძალზე ზარალდებოდა. დავით გენაძემ სწრაფად დაადგინა ბატარეის პოზიცია, მოამზადა საჭირო მონაცემები და ისე მარდად, ზუსტად დაუშინა ნაღმები, რომ მალე ჩააჩუმა,

დავით გენაძე სამშობლოსათვის ბრძოლაში 1944 წლის თებერვალში მეორედ დაიჭრა ქერჩის პლაცდარმზე, მაგრამ გამოჯანმრთელების მერე კვლავ დაუბრუნდა თავის ქვედანაყოფს. იგი საოცრად თბილი კაცი იყო. მუდმივი მიმოწერა ჰქონდა პიონერებთან, სკოლებთან, თავისი მეომრების ოჯახის წევრებთან, ამავე დროს ზურგიდან მიღებულ არც ერთ წერილს არ ტოვებდა უყუ-

რადღებოდ, ასეთი წერილების ჩამოთვლა, მით უმეტეს შინაარსის გადმოცემა, შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ ორით შემოვიფარგლებით.

წლის დასაწყისში დავითმა მიიღო ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეების წერილი, ხელს აწერდა 23 მოსწავლე. »პიონერული სალამი სამშობლოს ერთგულ დამცველს, ჩვენს ერთგულ ძმას დავითს!

არ გიცნობთ ახლოს, მაგრამ თქვენს შესახებ ბევრი რამ გვსმენია თ. ნიქაბაძისა და ელეონორა დევდარიანისაგან.

ვიცი თქვენი კარგი წარსული, ვიცნობთ თქვენი პარტორგის ბარათის შინაარსს თქვენი დაჯილდოების შესახებ, ვიცნობთ თქვენი ბარათების აღმადგენთაგანებელ სიტყვებს, რომლებიც ჩვენს პატარა გულელებში მტრის სიძულვილს ნერგავს და მოგვინოდებს ვისწავლოთ ფრიადზე, ვიყოთ სანიმუშონი ყოველმხრივ... ამასთან გვინდა გიპატიაკოთ, რომ ჩვენ ვსწავლობთ მხოლოდ კარგებზე და ფრიადებზე, ვეხმარებით წითელ არმიას, რითაც შეგვიძლია, ვეხმარებით ფაშისტების მონობისაგან განთავისუფლებულ რაიონებს წიგნებითა და სხვა სასწავლო ნივთებით».

მონინავე მეომრის შალვა ბოდაველის მეუღლემ ანიკომ მისწერა „...თუ შეიძლება, გთხოვთ, რამდენიმე დღით ჩემი შალვა სახლში გამოუშვათ... --- თუ ეს შეუძლებელია, გთხოვთ არ დამცინოთ».

დავითმა, ცხადია, ანიკოს თხოვნის პირველი ნაწილი ვერ შეასრულა, მაგრამ ძალზე თბილი საპასუხო წერილი გაუგზავნა და ამავე დროს ქმრის ვაჟკაცობითაც გაახარა.

1945 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ანიკოსაგან მადლობის წერილი მიიღო, აღსავსე ჩვენი გამარჯვების რწმენით.

«ვერაგი პირსისხლიანი ფაშისტები რომ წამოვიდნენ და ცოფიანი მგლებივით მოიწვედნენ, განა არ იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ერთი მთლიანი და ძლიერი ოჯახი იყო? ბოლოს გაიგო, თუ რამდენად მტკიცეა საბჭოთა ხალხი და შეუძლია გამირული მკერდით დაიცვას სამშობლო, მაგრამ გვიან არის. მას საბოლოო განადგურება და სიკვდილი ელის».

დავით გენაძე უადრესად თავმდაბალი, კეთილი და ობიექტური კაცი იყო. ამას იმათთვის, ვინც მას ახლოს იცნობდა, მტკიცება არ ჭირდება, მაგრამ სხვებისათვის მინდა მოვიგონო ერთი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1965 წლის 19 აპრილით, აი რას წერდა იგი მაშინ:

«ამ რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „თბილისში» წავიკითხე თქვენი წერილი სევასტოპოლისათვის ბრძოლების შესახებ, ძლიერ მომეწონა, კარგი იქნება, თუ ასეთ სტატიებს უფრო ხშირად გამოაქვეყნებთ... სტატიაში ჩემი გვარიც ამოვიკითხე, ამისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ, როგორ მინდოდა იქ ჩემი 120მმ ნალმმტყორცნი ბატარეის მეთაურიც ყოფილიყო ნახსენები - კაპიტანი პავლე ტაბატაძე. ის ძალიან კარგი მეთაური, მამაცი მებრძოლი და ნამდვილი პატრიოტი იყო. ბატარეა მისი მეთაურობით სანიმუშოდ ასრულებდა სარდლობის დავალებას, თვით უმძიმეს პირობებშიც კი არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა არც ერთი ცდა საფრთხისაგან თავის არიდებისა, იმედი მაქვს, როცა თქვენი ნაშრომი დაიბეჭდება, მისი სახელიც იქნება მოხსენებული».

იგი სავსებით სწორი იყო ამაში, ამიტომაც მისი სურვილი სიამოვნებით შევასრულე. ომის შემდეგ ვალმოხდილი, მკერდდამშვენებული დაუბრუნდა დავითი მშობლიურ მხარეს, თავის ინსტიტუტს. უმაღლესი წარჩინებით დაამთავრა და ხელი მოჰკიდა მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობას, დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, შემდეგ დოქტორის ხარისხი, მიიღო პროფესორის წოდება, მის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად.

დავითი ამავე დროს ეწეოდა დიდად სასარგებლო საქმიანობას ახალგაზრდობის სამხედრო პატრიოტული აღზრდისათვის.

სამწუხაროდ, 60 წლის ასაკში, როცა მას კიდევ შეეძლო ბევრი კეთილი და სასარგებლო საქმე გაეკეთებინა, გულმა უმტყუნა და მოულოდნელად გარდაიცვალა.

ამ ღირსეული და სასახელო პიროვნების სიყვარული, პატივისცემა, ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში, მას ყოველთვის მოიხსენიებენ მადლიერების გრძნობით.

პარლამ ჯანჯღავა

გადამდგარი პოლკოვნიკი

პროფესორ დავით გენაძის დაბადების 70 წლისთავის გამო

ვინაც გამულის იყო ტრფიალი...



ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ოქროპირის ძე გენაძე ქართული საენათმეცნიერო სკოლის ღირსეულ წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნოდა. 30 წლის განმავლობაში იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა პედაგოგიურ და სამეცნიერო სარბიელზე.

ფართო და მრავალმხრივი იყო მისი საკვლევადიებო ინტერესების სფერო. დ. გენაძის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომლებშიც სათანადო სიღრმით გაშუქებულია ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის პრობლემატური საკითხები. მეცნიერების ძიების შედეგებზე საუკეთესოდ მეტყველებს ის სიახლენი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართველოლოგიისათვის. არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა მან აგრეთვე ქართული ენის სწავლების საკითხებს.

1941-1945 წლებში დავით გენაძემ გაიარა საბრძოლო ცხოვრების მეტად რთული და ძნელად სავალი გზა, დაიჭრა ორჯერ.

1947 წელს დემობილიზაციით დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან და სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიკურ ინსტიტუტში, ენისა და ლიტერატურის მე-3 კურსზე.

1948 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და, როგორც ნიჭიერი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა, ქართული ენის კათედრის შუამდგომლობით, იმავე კათედრაზე დატოვეს სამუშაოდ.

1949 წელს დ. გენაძე ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიკურ ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში ქართული ენის სპეციალობით, დაამთავრა 1952 წელს მომდევნო წელს საქართველოს სსრ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დავით გენაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე - "გარდამავალ ზმნათა დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში".

1961 წელს ქუთაისის პედაგოგიკურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა პედაგოგიური ფაკულტეტის მეთოდითა კათედრა. დავით გენაძე ამ კათედრის გამგედ მუშაობდა 1968 წლამდე. შემდეგ იგი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალი ქართული ენის კათედრაზე. 1973 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. ამ დროიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ წლამდე იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორია.


დავით გენაძის მოღვაწეობა მარტო უნივერსიტეტით არ შემოიფარგლებოდა. იგი წლების მანძილზე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქართული ენის მეთოდური კომისიის თავმჯდომარე.

ჯერ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იგი კითხულობდა ლექციების კურსებს თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში, სინტაქსში, ძველ ქართულ ენაში, სტილისტიკასა და ქართული ენის სწავლების მეთოდითა. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა თეორიული სიღრმით, ფაქტობრივი მასალის სიუხვით, ენობრივი პროცესების ფაქიზი ანალიზით.

სტუდენტ-ახალგაზრდობაზე უსაზღვროთ შეყვარებული, დღენიადაგ მათ წრეში ტრიალებდა, შესაქებს შეაქებდა, გასაკიცხს გაკიცხავდა, მაგრამ გაჭირვებაში შველა იცოდა. მშობლიურ ენაზე უსაზღვრიდ შეყვარებული, სტუდენტებსაც უწერგავდა მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას.

დავით გენაძე მოულოდნელად გამოეთიშა ქართულ საენათმეცნიერო სკოლას. ბუნებას იგი უხვად დაეჯილოდებინა სიკეთით, ერთგულებით, მოვალეობის ღრმა შეგნებით, დიდი შინაგანი ძალით, პრინციპულობით, მოქალაქეობრივი სისპეტაკით. მის საქმიანობას მუდამ ეტყობოდა დიდი გულმოდგინება და დახვეწილი გემოვნება. უყვარდა ხუმრობა და სიცილი. უბრალო და გულმართალი კაცი იყო დავითი. შესაშური პედაგოგიური ალლო ქონდა და ერთგული მეგობრობა იცოდა. ჭირში გაუტყხელს, ნაომარს, სიკვდილთან თვალგანანსწორებს, ენამზეობა და სიკეთის გამოხატვა ეხერხებოდა. პირდაპირიც იყო და პრინციპულიც. თავის მეცნიერული და პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, მან მართალია ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ჩანაფიქრი და წამოწყება დარჩა განუხორციელებელი... ნავიდა ჩვენგან შემოქმედებითი დავაუკაცების ხანაში და დაგვიტოვა დიდი ტკივილი.

კ. კუხლავილი დოცენტი



უიშვიათესი პიროვნება

ბუნებამ იგი აღრიდანვე დედით დააობლა. მას წილად არ ხვდა ღვიძლი დედისაგან მიელო დაუშურველი სითბო, რაც ასე კვალად გასდევს ადამიანის მთელ ცხოვრებას. მაგრამ, წარმოდგინეთ უიშვიათესი ბედნიერება ამ კაცისა... ბუნებამ იგი ისე ხვავრიელად აღავსო სიკეთით, რომ მთელი მისი სიცოცხლე უმშვენიერესი და უზადო მაღლმოსილებით გაატარა. მისი ცხოვრების ყოველი მონაკვეთი, სწავლის, შრომისა თუ ბრძოლისა, დიდი სევდისა თუ დიდი ბედნიერებისა, მწარე ტკივილისა თუ ადამიანური სიხარულისა, დამშვენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილების უმაღლესი ნიშნით.

პროფესორი დავით გენაძე მაღალი სულის ადამიანი იყო, რამეთუ კაცის სული სხვა არა არის რა, თუ არა კოსმიური სულის ნაწილი, კეთილი დემონი, ანუ ღმერთი მისსავე სხეულში დამკვიდრებული. მისი შეუვალი ბუნება ყოველთვის ჭეშმარიტების გზას ადგა, ის არ იზიარებდა წარმოდგენათა მცდარობასა და ბუნდოვანებას, მისი სწრაფვა საზოგადო სიკეთის თესვა იყო და უდრტვინველად იღებდა ყველაფერს, რასაც თავისი ბედი არგუნებდა წილად.

დავით გენაძემ თავისი სიცოცხლე ჭეშმარიტების, სამართლიანობის და კეთილგონიერების სამსახურს შეაღია.

თითქმის ყოველთვის თავდაჭერილი და შემწყნარებელი იყო უსამართლობის მომქმედთა მიმართ. მართლაც, რომ მისი სწრაფვა და მოქმედება საზოგადო სიკეთის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად, რამეთუ მის ნათელ გუნებას ასეთი მოქმედება ესატყვისებოდა მხოლოდ. მას ვერავინ უხერხებდა აუგის თქმას, რადგან მისი სრულქმნილება, მაღლმოსილება და როგორც თავისი, ისე სხვების საქმეთა დაუზარელი მოგვარების ჭეშმარიტად უებრო უნარი, არავის აძლევდა ამის თქმის საბაბს.

ბუნებით ლალს უყვარდა ხუმრობაც, მაგრამ არა წრეგადასული. იგი ყოველთვის ცდილობდა თითოეულისათვის მიეგო კუთვნილი. გულწრფელობა მისი ხასიათის მტკიცე თვისება იყო, არასდროს გადადიოდა ზომიერებისა და კეთილგონიერების ზღვარს, არც ჩვეულებრივი საუბრისას, არც მეცნიერული სჯა-ბაასის დროს, არც ჩაცმულობით და არც საბოძვარის გაცემისას. ისე იქცეოდა, როგორც შეჭფერის კაცს, რომელსაც კეთილის ქმნისას მხოლოდ ის აინტერესებს, რისი ქმნაც სურს. მისი საკუთარი დღიურები ღალადებენ, თუ როგორ გულდასმით ჰქონდა წინასწარ გამოთვლილი ყოველი ნაბიჯი.

მაღალნიჭიერება მისი სულის თავისებური ნყოფა გახლდათ. ცხადია, მისი სურვილისაგან დამოუკიდებლად ბოძებული. ძალიან ცოტამ იცის, რომ ბატონი დავითი მშვენიერი პოეტიც იყო, მან არამც თუ თავისი ლექსების გამოქვეყნება მოისურვა, არამედ მათი დიდი ნაწილი საკუთარ არქივშიც კი არ შემოინახა, მე კარგად მახსოვს მისი ლექსად დაწერილი ქართული ვაზის საგალობელი... „მიგრეხილო, მოგრეხილო, დალოცვილო ვაზის ნერგო...“ მართლაც, რომ მისი სიკეთით სავსე ცხოვრება ვაზს მოგვაგონებს, რომელიც უშურველად გვთავაზობს სავსე მტევნებს და არაფერს მოითხოვს სანაცვალოდ. კმაყოფილია მარტოოდეს იმით, რომ ბოლომდე მოგვცა თავისი სიტკბო, ასე აგროვებს ფუტკარი თავლს, ასეა კეთილი საქმის მომქმედი კაციც, რომელიც საქვეყნოდ კი არ გაჰყვირის - აი, რა ვქენიო, არამედ უხმაუროდ გადადის მეორე საქმეზე მსგავსად ვაზისა, რომელიც ყოველი ახალი რთველისათვის ხელახლა ამნიფებს მტევნებს. ან კიდევ: რა ფრთიანი სტრიქონი აქვს ჩადებული ქუთაისისადმი მიძღვნილ ლექსში „და როცა მთვარე ბაგრატის ტაძარს, დაეკიდება ოქროს ეშვებით“... დავით გენაძის სულში და სხეულში მარადი გაზაფხული იდგა. იგი ხომ თავისი ღვთაებრივი ზემთაგონების ნყალობით ხედავდა ფერუთვალავ ხილვად სინამდვილეს. ბატონი დავითი თავისი ალალი გულისთქმის გამოსავალს, მენყრად დაძრულ სიკეთეს სანყაულით არ ზომავდა და კარგადაც გრძნობდა, რომ მხოლოდ დიდი ტკივილის ხარჯით შეიძლება სიყვარულის მოპოვება და ბედნიერების ნაპირებთან მიახლოება და ადამიანიც მანამ ცოცხლობს, სანამ ის ალალი გზით ეძებს ამ ბედნიერებას.

ბუნებით ლალს უყვარდა ხუმრობაც, მაგრამ არა წრეგადასული. იგი ყოველთვის ცდილობდა თითოეულისათვის მიეგო კუთვნილი. გულწრფელობა მისი ხასიათის მტკიცე თვისება იყო, არასდროს გადადიოდა ზომიერებისა და კეთილგონიერების ზღვარს, არც ჩვეულებრივი საუბრისას, არც მეცნიერული სჯა-ბაასის დროს, არც ჩაცმულობით და არც საბოძვარის გაცემისას. ისე იქცეოდა, როგორც შეჭფერის კაცს, რომელსაც კეთილის ქმნისას მხოლოდ ის აინტერესებს, რისი ქმნაც სურს. მისი საკუთარი დღიურები ღალადებენ, თუ როგორ გულდასმით ჰქონდა წინასწარ გამოთვლილი ყოველი ნაბიჯი.

კაცობრიობის ყველაზე მწვავე პრობლემა ყოველთვის ადამიანის ეშმარიტი ადამიანურობის შენარჩუნება იყო. ადამიანურობა კი დავით გენაძის სულიერ-სხეულებრივი მთლიანობის უმთავრესი ფენომენი გახლდათ. იგი ყველა შემთხვევაში მადალზნეობის ჭეშმარიტი მქადაგებელი იყო. ბუნებამ როგორ ჭარბად დაანათლა ბატონ დავითს დამატებითი ტკივილი - თანაზიარობის მწვავე გრძნობა. რაოდენ დიდი იყო მისი სიხარული, რომელსაც ანიჭებდა მას სასოებაში ჩავარდნილის თანადგომა, გაჭირვებაში შველა.

უიშვიათესი იყო მისი მეომრული შემართება. ეცემოდმენ მის გვერდით ადამიანები და სწორედ ამ უღმერთო ხოცვა-ჟლეტაში მან თავისი საბრძოლო გზა მტერთა რისხვისტეხის და სხეულის მწველი ცრემლთა დენით მოიარა. აი, ასეთი ნათელი, მოკრძალებული, უპრეტენზიო, სადა ცხოვრებით განვლო მან თავისი სიცოცხლის ექვსათეულს მცირედ გადაცილებული ხანი.

ყველაფერი ძველდება მზისქვეშეთში, ცვდება და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს. ვაი, რომ მას ერთგვარად „ლამაზმა“ სიკვდილმა არ დააცალა დაძველება. იგი ახლა 66 წლისა იქნებოდა, უდროოდ წავიდა ჩვენგან ნეტარსახსენებელი უებრო მეგობარი.

მე დიდი ბედნიერება მარგუნა ღმერთმა, როცა ბატონი დავითის მაღლიანმა გონებამ უხელმძღვანელა ჩემს მეცნიერულ ნათლობას. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ეს აღმაფრენა - დავით გენაძის უდროო სიკვდილით გამოწვეულმა მძიმე სევდამ მთლიანად გადაფარა ჩემი ალტაცება...

ბედნიერებაა, რომ მსგავსად საყვარელი მამისა, დავითის შვილებიც მოკრძალებული ნაბიჯით მიიწევენ წინ...

ერთი შეხედვით, შეიძლება კაცმა ვერც კი შენიშნოს, რომ დავით გენაძე ბედნიერი კაცი იყო. მის გვერდით იდგა შესაშური ერთგულების მქონე მეუღლე, ქალბატონი მედეა. ნაკლებ დაიჩემებს ვინმე, ასე ძლიერად განიცადოს მეუღლის უღვთო სიკვდილით გამოწვეული სევდა, მაგრამ მაინც რწმენით გაუძღვეს ოჯახს და შვილებს.

ბატონი დავითი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი და პედაგოგი, 31 წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ენეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. მან ბრწყინვალედ დაიცვა ჯერ საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაციები, მას გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა.

პროფესორმა დავით გენაძემ თავის მეცნიერულ-პედაგოგიური ნათლობა ჯერ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო, სადაც 20 წელზე მეტი დაჰყო, ხოლო სიცოცხლის ბოლო 10 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაატარა. ქუთაისშიც და თბილისშიც მან უიშვიათესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა...

ლეილა აზიანიძე

დოცენტი.

სიყვარულს გვასწავლიდა

დღესასწაულს ღიმილი და მხიარულება ამშვენებს, მაგრამ ცრემლიანი დღესასწაულიც გვაქვს, ხსოვნასა და სიყვარულში უკვდავყოფილთ ახალი ძალით რომ წარმოაჩენს. ასეთი დღესასწაულია 9 მაისი, რომელმაც ჩვენს ქვეყანას გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების სიხარული მოჰგვარა, მაგრამ ბევრი ცრემლიც ააკიაფა... 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლედ დაგვიჯდა ეს გამარჯვება, 20 მილიონისა, ძეგლებად, სტენდებად, მარადიულ ცეცხლად რომ დაგვიბრუნდნენ და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებში განაგრძობენ სიცოცხლეს. მათ სიკვდილი არ უწერიათ.

ომგადახდილთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაურჩა ქარცეცხლიან დღეებს. ქვეყანა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებისათვის, ცხოვრების წინსვლისა და განმტკიცებისათვის, თავდადებულ ენერგიულ შრომას მოითხოვდა და ისინიც გულით ჩაებნენ ამ შრომაში. ბრძოლასა და შრომაში გამოწრთობილ ადამიანთა რიგებს ამშვენებს პროფესორი დავით ოქროპირის ძე გენაძის სახელი. დავითი 1968 წელს მოვიდა ჩვენს უნივერსიტეტში, ახალი ქართული ენის კათედრაზე. ვიცოდით, რომ დავით გენაძე ომის მონაწილე იყო, ხშირად მოგვისმენია მისი ფრონტული თავგადა-

საელები, მაგრამ ამას ისეთი თავმდაბლობით ჰყვებოდა, რომ არასოდეს წარმოუჩინია საკუთარი დამსახურება.

1975 წელს, როდესაც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავს აღნიშნავდა ჩვენი ქვეყანა, ხშირად აკითხავდნენ თანამებრძოლები, ეთათბირობდნენ, რადგან ბატონი დავითი 414-ე დივიზიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოიდგილე იყო. იგი ყველაფერს ყოველთვის ისეთი უბრალოებით აკვებდა, რომ არც კი იქცევდა სხვათა ყურადღებას.

პროფესორ დავით გენაძის დღიურებიდან მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მედეამ გადმოგვცა ასეთი ჩანაწერი: „დღე ისე არ გაივლის, რომ ომის ამბები არ გამახსენდეს. არათუ წლები და თვეები, მეხსიერებაში წარუშლელად არის აღბეჭდილი დღეები და საათებიც კი. უქმად მიყრია ომისდროინდელი დღიურები და ჩანაწერები, წერილები, საინტერესო დოკუმენტები... რამდენჯერ ვცადე მოკლედ მაინც ამეწერა ჩემი თავგადასავალი 1941 წლიდან 1947 წლამდე. ვცადე, მაგრამ ცხოვრებამ ყოველთვის იქით შემაბრუნა, საითკენაც ნაკლებ მიმიწევდა გული. თუ მშვიდობა იქნა, ამაებს დაუნერვლს არ დავტოვებ“, მაგრამ, საუბედუროდ, არ დასცალდა ამის ასრულება. მისი პირადი არქივისა და გადამდგარი პოლკოვნიკის ვ. ჯანჯღავას წერილების მიხედვით აღვადგინეთ დ. გენაძის საბრძოლო ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები. 1941 წლის აგვისტოში გაიწვიეს ჯარში ქუთაისის პედინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი დავით გენაძე. მეთაურთა ექვსთვიანი კურსების დამთავრების შემდეგ მიენიჭა უმცროსი ლეიტენანტის წოდება და ჩაირიცხა 414-ე მსროლელთა დივიზიაში. ეს დივიზია ქართველი მებრძოლებითა და მეთაურებით იყო დაკომპლექტებული. დავით გენაძე ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაურად დაინიშნა. აქ იგი თავდაუზოგავად იბრძოდა.

განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გადაიხადა 414-ე ქართულმა დივიზიამ სოფელ კალაბატკის გათავისუფლებისას, რომლის დროსაც დავითი დაიჭრა მხარში.

დავით გენაძე გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა დივიზიას, რომელიც მაშინ აზოვის ზღვის ნაპირზე იდგა.

414-ე ქართული დივიზია 1943 წლის შემოდგომაზე შეუერთდა მე-18 არმიას.

ნოვოროსიისკის გრანდიოზული ბრძოლების შემდეგ დაიწყო შეტევა ქალაქ ანაპის გასათავისუფლებლად. 1943 წლის სექტემბერში თავდადებული ბრძოლით გაათავისუფლეს ქ. ანაპა. ამ დივიზიას ი. ბ. სტალინის ბრძანებით ანაპის სახელი მიენიჭა.

ანაპის 414-ე ქართული დივიზია გმირულად იბრძოდა ყირიმის ნახევარკუნძულის ფაშისტური ურდოებისაგან გასაწმენდად. „განსაკუთრებით დაუფინყარია ჩემთვის, - იგონებს დ. გენაძე, - გმირი ქალაქის, სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. შეტევა დავიწყეთ 7 მაისს, 9 მაისს სევასტოპოლი თავისუფალი იყო.“

ტამანისა და ყირიმისათვის ბრძოლებში ნაღმმტყორცნელთა ბატარეის ოცეულის მეთაური კვლავინდებურად ვაჟკაცური შემართებით ერკინებოდა მტერს. იგი ქერჩის ბრძოლებში ხელმეორედ დაიჭრა 1944 წლის თებერვალში.

ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოს ჯილდოებით მკერდდამშვენებული დ. გენაძე კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს. ასპირანტურის დამთავრებისთანავე დაიცვა ჯერ საკანდიდატო, შემდეგ კი - უკვე თბილისის უნივერსიტეტში - სადოქტორო დისერტაცია. მიენიჭა პროფესორის წოდება.

დავით გენაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ გული ჩასწყვიტა ყველას - მის კოლეგებსაც და სტუდენტებსაც. ამ მცირე მოგონებებსაც ერთ-ერთი სტუდენტის გამოსათხოვარი სიტყვებით დავამთავრებ: „ვერ შევგუეთ უთქვენობას, თქვენ ზღვა სიყვარულს იტევდით, სიკეთისა და მზის სიყვარული გვასწავლეთ და თვითონ კი სიკეთის ხატება - ცრემლად იქეციოთ“

მანანა ტუსკია

მომონება პროფესორ ღავით ბენაქეზა

ჩემს წინ მაგიდაზე აწყვია წიგნები ბატონ დავითისაგან ნაჩუქარი, წერილები, მოსალო-
ცი ბარათები, ჩემი პირველი ქართული ენის გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი მისი ხელმოწერით.
არ ვიცი საიდან დავიწყო. თითქოს ყველაფერი გუშინ იყო. დღეს კი ჩვენს გვერდით აღარაა ჩემი
ყოფილი პედაგოგი, ადამიანი, რომელიც აღმზრდელის სრული განსახიერება იყო. ბატონ დავით
გენაძეს ადრეც ვიცნობდი, მაგრამ მესამე კურსიდან, როცა უშუალოდ მისი საგნის შესწავლა და-
ვინყეთ, თითქმის მაშინვე დავმეგობრდით, რომელ ჩვენთაგანს მის ყოფილ სტუდენტებს შუძლია
დაავინყდეს ეს უანგარო პიროვნება, მისი ალალ-მართალი სახე, მისი სიკეთე, გულისხმიერება და
ის მამაშვილური დამოკიდებულება, რასაც იგი იჩენდა თვითეული სტუდენტის მიმართ. შრომის-
მოყვარეობას, ნიჭიერებას დიდად აფასებდა და თუ კი ახალგაზრდაში შეამჩნევდა მეცნიერები-
სადმი დაინტერესებას, უანგაროდ, ყველაფერს აკეთებდა მისი შემოქმედებითი ნიჭის გაღვივები-
სათვის და ყოველნაირად ცდილობდა ასეთი სტუდენტი გამოჩენილიყო შესაძლებლობისამებრ.

არასდროს დამავინყდებდა სტუდენტთა XXII სამეცნიერო სესია, რომელიც 1962 წლის 6
მარტს დაიწყო და გაგრძელდა 9 მარტამდე. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს
სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები. მათ შორის, მეც. მასპინძლობდა ჩვენი პედაგო-
გიური ინსტიტუტი. 9 მარტს დღის 3 საათზე 35 აუდიტორიაში წავიკითხე მოხსენება თემაზე "გა-
მომეტყველებითი კითხვის სწავლება დაწყებით სკოლაში". ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ დოც.
დავით გენაძე. მოხსენების ირგვლივ ბევრი იმსჯელეს. ის აზრიც კი წამოიჭრა, რომ გამომეტყვე-
ლებითი კითხვა პედაგოგიურ ინსტიტუტებში ცალკე საგნად უნდა ისწავლებოდეს. ბატონ დავითის სიხა-
რულს საზღვარი არ ჰქონდა, რაკი ჩემმა მოხსენებამ ასეთი ინტერესი გამოიწვია. სესიის დახურ-
ვის დღეს მასპინძელმა სტუდენტებმა ჩვენი ხელოვნება ვუჩვენეთ ჩამოსულ სტუმრებს. ინსტი-
ტუტთან არსებული დრამატული კოლექტივის მიერ ნაჩვენები იქნა აკ. წერეთლის ორმოქმედები-
ანი პიესა "კინტო", რომელშიც კინტოს როლს მე ვასრულებდი. პიესას მონონება ხვდა. საერთოდ
ქუთათურებმა კარგად ვუმასპინძლეთ, კმაყოფილნი იყვნენ სტუმარ-მასპინძელნი, იმავე წლის
აპრილის 23-24-ში გორში გაიმართა სტუდენტთა საენათმეცნიერო სესია, რომელშიდაც მონაწი-
ლეობას ლეზულობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ პედაგო-
გიური ინსტიტუტების სტუდენტები. ამ სესიაში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისის პედაგოგი-
ური ინსტიტუტიდან შერჩეული იქნა სულ შვიდი სტუდენტი, მათ შორის, მეც. ამჯერად კი სესიის
სხდომის პირველივე დღეს, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის აუდიტორიაში, წრის მონაწილეთა
წინაშე, წარვსდექი მოხსენებით, „პატრიოტული გრძნობის აღზრდა ქართული ენის გაკვეთილზე
დაწყებით სკოლაში“, ჩემი ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, ისევ ბატონი დავითი გახლდათ. სესია-
ზე ძალზე მომზადებული და საინტერესოდ მოაზროვნე ახალგაზრდობა დავგიხვდა. განსაკუთრე-
ბით, უნივერსიტეტელები იპყრობდნენ ყურადღებას. მოხსენების

შემდეგ სეტყვასავით დამაყარეს შეკითხვები. ძლივს ვასწრებდი პასუხის გაცემას, უამრავი შეკით-
ხვა წერილობით გადმომცეს, რომლებიც დღესაც შენახული მაქვს იმ თემასთან ერთად, უნდა გე-
ნახათ ბატონ დავითის სახე, როცა მე ვპასუხობდი. როცა ყველაფერი დასრულდა, არ შევუქივარ,
მაგრამ სახეზე ემჩნეოდა კმაყოფილება, მარტო ეს მითხრა-„სად გქონდა ბოშო, ეს პასუხებიო“,
მეც არ დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე, ქუთაისიდან წამოვიღეთო, რაზეც ბევრი ვიცინეთ.

საერთოდ ქუთაისელმა სტუდენტებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, სესიის მონაწილე-
ები გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის ა და ლიტერატურის კათედრამ დაგვა-
საჩუქრა მათი სალიტერატურო წრის აღმანახ „მერანის“ ორი ნომრით, 1958 და 1960 წლის გამო-
ცემებით. დაგვათვალისწინებინეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ბოლოს ჩვენდა საპატივ-
ცემულოდ, თვითმოქმედი ძალებით გამართეს კონცერტი და ახალმეგობარშეძენილები დავბრუნ-
დით ქუთაისში. იმ კონცერტში მეც მივიღე მონაწილეობა. ბატონი დავითი სიამაყით უცქერდა
მსმენელებს, როცა მე სცენაზე ლექსს ვკითხულობდი. საერთოდ, რატომღაც, უცნაურ სტუდენტს
მეძახდა.

ბატონმა დავითმა ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა გზა მეცნიერებისაკენ, იგი ხომ დახმარე-
ბას არასდროს არ იზარებდა! პირიქით, ჯერ კიდევ დასრულებული არ მქონდა ინსტიტუტი, რომ
გამომეტყველებითი კითხვის სწავლების საკითხი ძალიან სერიოზულად დააყენა კათედრაზე და
ამ საგნის სწავლება მე მომადო, შემდეგ კი, როცა ინსტიტუტი დავასრულე, უკვე მის გვერდით
ვმუშაობდი, პარალელურად ვმუშაობდი 23-ე სკოლაში პედაგოგად. პრაქტიკაზე მყოფი სტუდენ-
ტების მეთოდისტობა დამაკისრა და თან იბრძოდა, რომ გამომეტყველებითი კითხვის სწავლება

როგორმე ცალკე, დამოუკიდებელ საგნად ყოფილიყო ინსტიტუტში. ამ საკითხთან დაკავშირებით მამზადებდა. ერთ დღეს მომიტანა მოსკოვის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1963 წელს გამოცემული წიგნი “Выразительное чтение» - დაგჭირდება შვილო, გამოგადგებაო. მე მეგონა რომ მათხოვა. გადავშალე და ყდაზე წავიკითხე წარწერა „ნესტანს-მომავლისათვის. დ. გენაძე 12/ II-64წ. ჯავრობდა, ერთი ქართული წიგნიც მქონდა კიდეც და ვერ ვიპოვეო. 1965 წლის 14 იანვარს კი დამირეკა და მახარა, რომ თებერვლიდან უკვე საათები გექნება ინსტიტუტშიო, ამ დღეებში გამოი- არე აუცილებლადო. 17 იანვარს მივედი ინსტიტუტში, გაბრწყინებული სახით შემეგება, დამარიგა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როგორ უნდა მოვმზადებულიყავი ლექციებისა და პრაქტიკუმების ჩასატარებლად, ყველაფერი მითხრა, იმის გარდა, თუ როგორ მოახერხა ჩემთვის ამდენი სიკეთე.

მე გაოგნებული ვუსმენდი. “მართლა, ბოშო, არ დამავინყდეს, ის წიგნი ვიპოვე”-ო და მაჩვენა გრ. ბარამიძის „გამომეტყველებითი კითხვა სკოლაში“ და თავისი ლამაზი კალიგრაფიული ხელით გარკვევით წააწერა: „სახსოვრად ჩემს ყოფილ კარგ სტუდენტს და ახლა კოლეგას ნესტანს - დ. გენაძე 17/1 65 წ.“ და გადმომცა. მე რითი გადავიხადოთ ბატონო დავით მეთქი, - მადლობის მაგივრად ძლივს წარმოვთქვი, საკუთარ წიგნს როცა გამოსცემ, მაჩუქე და ანი ბიძია, თემაზე მუშაობასაც ჩაუჯექიო, და თუ ოდესმე სამეცნიერო მუშაობას და დღემდე ისევე ჩემს უჯრაში შემონახულ თემას მივუბრუნდებოდი, რა თქმა უნდა ისევე ბატონი დავითი იქნებოდა ჩემი ხელმძღვანელი, გზის გამკაფავი, მაგრამ 1966 წელს ყველას მოულოდნელად თეატრს მივაშურე, რაზეც ბატონმა დავითმა ასე მითხრა, ვერაფერს ვერ გეტყვი, რადგან თეატრი ასე ძალიან გიყვარს (მან კარგად იცოდა თეატრალური ხელოვნებისადმი ჩემი უსაზღვრო გატაცება) ოლონდო, დასძინა, თემაზე მუშაობა გააგრძელე, ხელს არ შეგიშლისო თეატრი.

ამის შემდეგ ბატონ დავითისა და ჩემი მეგობრობა მაინც არ შეწყვეტილა, თეატრის ხშირი სტუმარი იყო. როცა პირველად გამოქვეყნდა ჩემი მოთხრობა მაშინვე გამომეხმაურა. 1968 წელს კი თბილისში გადავიდა სამუშაოდ.

ჩემს წინ ძვეს ბატონ დავითის მიერ გამოგზავნილი, მისი კეთილი სურვილებით სავსე, 1975 წლის ახალი წლის, მოსალოცი ბარათი. როგორ გავიხარე მაშინ, როცა ის მივიღე, მიხაროდა, რომ ისევე ვახსოვდი ჩემს საყვარელ აღმზრდელს და დამასწრო კიდეც ახალი წლის მოლოცვა, რა თქმა უნდა, მეც მაშინვე ვუპასუხე. იმავე წელს პროფესორის საპატიო წოდება მივულოცე მას.

თბილისში კი როცა ვნახავდი ხოლმე, ანგარიშივით ვაბარებდი, რასაც ვაკეთებდი, რასაც ვაპირებდი მომავალში. მახარებს შენი მოთხრობები, პიესების თარგმანებიო. როცა ვკითხულობ, მინდა ყველას ვუთხრა, რომ შენ ჩემი ყოფილი სტუდენტი ხარო.

1978 წლის სექტემბერში კი ჩვენი თეატრის გასტროლების დროს, ვნახე. 5 მაისის “სახალხო განათლებაში” ვნახე თუ არა, შენი პრემიერებული მოთხრობა “ისევ სკოლაში”, მაშინვე წავიკითხე, ამოვჭერი და ჩემ სტუდენტებსაც გავაცანი შენი თავიო. მერე თავის ბოლო ნაშრომზე მესაუბრა “მართლწერის საკითხების სწავლებისათვის სკოლაში”. შენ არ გჭირდება, მაგრამ მაინც გაჩუქებ, როგორც მეცნიერების მოღალატესო. მე გამეცინა და ასე ვუპასუხე, მეცნიერებას ვუღალატე ბატონო დავით, მართლწერისათვის კი არ მიღალატია მეთქი. ჩემმა პასუხმა გულიანად გააცინა, ხელი გადამხვია და მითხრა: ფრიადს გინერ მაგ პასუხისათვისო. ეს იყო მისი უკანასკნელი შეფასება ჩემი და თურმე ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც, 1979 წლის 4 ივლისს პრესაში მოულოდნელად გამოქვეყნებულმა ცნობამ და ნეკროლოგმა გული ამიცრემლა.

სახეზე დამჩნეული სიკეთით შემომცქერის ისევე ჩემი საყვარელი აღმზრდელი და უფროსი მეგობარი გაზეთის ფურცლიდან, ადამიანი, რომელიც თავის სიტყვით, საქმით და კალმით თავდადებით ემსახურებოდა ქართული მწცნიერების წინსვლისა და ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის სანუკვარ საქმეს, ადამიანი, რომელმაც თავისი მოულოდნელი წასვლით ერთნაირად დაგვწყვიტა გული დიდსა და პატარას, ყველას, ვინც კი მას იცნობდა და ბევრი სიკეთე, მხოლოდ სიკეთე დაუტოვა მოსაგონრად საყვარელ ოჯახს, კოლეგებსა თუ მის აღზრდილებს.

ლალდო მესხიშვილის სახელობის

ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი.

მწერალი



ISBN 978-9941-0-6767-9



9 789941 067679